დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ტარიელ სივსივაძე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
1.ინა ბიწაძე-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
2.ინგა ლომაძე-საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საგნობრივი ექსპერტი
3.ხათუნა ჯიმშიაშვილი-საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნობრივი ექსპერტი
4.თერი ხობუა-უცხო ენათა საგნობრივი ექსპერტი
5.ნინო ზირაქიძე-ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
6.ნონა გამხიტაშვილი-ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
7.ლელა კვირტია-სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
8.ჯულიეტა ტაბეშაძე-მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
9.ლია ნეფარიძე-სპორტის საგნობრივი ექსპერტი
10.ნათია კოხოძე-ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	222727985

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	დაბა ადიგენი
იურიდიული მისამართი	ადიგენის მუნიციპალიტეტი სოფელი ბოლაჯური
ფაქტობრივი მისამართი	სოფელი ბოლაჯური
საფოსტო ინდექსი	0300
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	არ აქვს
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	bolajuri@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	591412447

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 5 23 0000913796 21/07/2023 და MES 0 23 0000979348 ბრძანებები
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	06 – 07 სექტემბერი, 2023 წ.

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური I – VI კლასი	ქართული	ადიგენის მუნიციპალიტეტი სოფელ ბოლაჯური
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური VII – IX კლასი	ქართული	ადიგენის მუნიციპალიტეტი სოფელ ბოლაჯური
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური X – XII კლასი	ქართული	ადიგენის მუნიციპალიტეტი სოფელ ბოლაჯური

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურის სკოლაში ავტორიზაციის ჯგუფის თავმჯდომარის, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტის და საბუნებისმეტყველო საგანთა ექსპერტის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 06 და 07 სექტემბერს. ვიზიტის დღის წესრიგი შეთანხმებული იყო სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან. ვიზიტით განსაზღვრულ საკითხებთან დაკავშირებით სკოლა სრულ მზადყოფნაში დაგვხვდა. მობილიზებული იყო სკოლის პედკოლექტივი, დირექცია და ადმინისტრაცია. ვიზიტმა საქმიან ატმოსფეროში ჩაიარა. 12:00 საათიდან დავიწყეთ online შეხვედრები სკოლის კათედრების წარმომადგენლებსა და საგნობრივ ექსპერტებს შორის. ჩართვისას ტექნიკური სახის პრობლემები არ შეგვქმნია. დრო გამოყენებული იქნა მაქსიმალურად ეფექტიანად. ყველა კათედრასთან გასაუბრება განხორციელდა 06 სექტემბერს. ცალკეული საკითხების დაზუსტებისათვის(ცალკეული ექსპერტების(მაგ.მათემატიკის, ტექნოლოგიების, დაწყებითი კლასების)შემთხვევაში ასევე გამოყენებული იქნა 07 სექტემბერი. ექსპერტთა ჩართვას ორგანიზებას უწევდა საბუნებისმეტყველო საგანთა ექსპერტი. მთელი სამუშაო პროცესის მიმდინარეობისას, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საავტორიზაციო პროცესში ჩართული იყო ადიგენის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ და ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა მოვახდინეთ სკოლის ინფრასტრუქტურის დათვალიერება, ასევე, ადგილზე ვნახეთ სასწავლო რესურსები, ლაბორატორიები და ბიბლიოთეკა. საბუნებისმეტყველო საგანთა ექსპერტმა ასევე დაათვალიერა საგანმანათლებლო რესურსები ქიმია-ფიზიკა-ბიოლოგიის მიმარულებით. ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი მუშაობდა სასკოლო დოკუმენტაციასთან, აზუსტებდა მნიშვნელოვან საკითხებს. ვიზიტის მთელი პროცესი წარიმართა კეთილგანწყობილ გარემოში.

ვიზიტის დასასრულს(07 სექტემბრის დღის ბოლოს) შევხვდით სკოლის კოლექტივს, რაც ასევე საქმიანად წარიმართა. სკოლის წარმომადგენლებს მივაწოდეთ გარკვეული სახის ინფორმაცია სასკოლო დოკუმენტაციის, სკოლის ინფრასტრუქტურული მდგომარეობის შეფასების, სკოლის თვალსაჩინოდ ძლიერი მხარის და იმ გამოსასწორებელი ხარვეზების შესახებ, რაც ადმინისტრაციული წარმოების წინასწარი სამუშაოების ჩატარებისას გახდა ჩვენთვის ცნობილი. სკოლის მთლიან პერსონალში შესამჩნევია მაღალი კულტურა განსხვავებული აზრის მიმღებლობასა და გაზიარებასთან დაკავშირებით. ავტორიზაციის ჯგუფის წევრების მიერ გამოთქმული მოსაზრებები ყურადღებით იქნა მოსმენილი, ასევე, გამოითქვა მზაობა სკოლის პერსონალის მეტი თანამშრომლობითი ურთიერთობის საფუძველზე სკოლის ახალი, სტრატეგიული მნიშვნელობის დოკუმენტაციის შემუშავებისა და სასკოლო ცხოვრებაში გატარებასთან დაკავშირებით. სკოლას პოზიტიური მოლოდინები აქვს მესამე თაობის ესგ-ს დანერგვაში შესაბამისი საგნობრივი მიმართულების ექსპერტების დახმარების გზით, 2023/24 სასწავლო წელში მოახდინოს კურიკულუმების დახვეწა და განხორციელება, სკოლის მიერ დაგეგმილი ყველა სასწავლო აქტივობა მორგებული იქნას მისწავლეთა და დანარჩენი სასკოლო საზოგადოების ფართო ინტერესებს. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, რომ სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლას გააჩნია სათანადო ინტელექტუალური რესურსი, დაძლიოს მის წინაშე არსებული მნიშვნელოვანი გამოწვევები და გადაიქცეს წარმატებული პრაქტიკის მქონე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებად.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლას თვალსაჩინო მიღწევები გააჩნია არაფორმალური განათლების მიმართულებით, კერძოდ, სკოლაში შექმნილია სამოქალაქო განათლების კლუბი „განათლება მომავლისათვის“, რომელსაც აქტიურ მხარდაჭერას უწევს სამოაქლაქო განათლების მასწავლებელი. კლუბი აქტიურად არის ჩართული საგრანტო პროექტებში, აქვთ წარმატებული, თემის და მოსწავლე-ახალგაზრდობის საჭიროებაზე მორგებული პროექტები. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა პროექტზე მუშაობის ამსახველი მასალები. როგორც სამოქალაქო განათლების მასწავლებელმა აგვიხსნა, მოსწავლეთა მოტივაცია დიდია, თანამშრომლობენ რეგიონალურ არასამთავრობო ორგანიზაციებთან(USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამა, ახალციხის ახალგაზრდული ცენტრი), ასევე, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და პროფესიულ სასწავლებელ „ოპიზართან“, მათთან ერთად არჩევენ ყველაზე საჭირო, პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებულ პროექტებს. ერთ-ერთი ასეთი საგრანტო პროექტი გახლავთ „პროფესიული ორიენტაცია და კარიერის მართვა ახალგაზრდებში“. პროექტის მიზანია მოსწავლეებისათვის მეტი ინფორმაციის მიწოდება იმ პროფესიული პროგრამების შესახებ, რომლიც ხელმისაწვდომია რეგიონალური მასშტაბით. აღნიშნული პროექტის ფარგლებში მოსწავლებლეებმა გაიარეს პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის მართვის სასერტიფიკატო კურსი, რის შედეგად სკოლის ბაზაზე შეიქმნა პროფესიული ორიენტაციის კონსულტირების სერვისი, რომელსაც სკოლის 3 მოსწავლე ხელმძღვანელობს. პროექტი მდგრადია და აქვს გრძელვადიანი შედეგები. აღნიშნული კურსი დაეხმარება ახალგაზრდებს მიიღონ დროული და საჭირო ინფორმაცია, მოახდინონ მოსაზრებების და გამოცდილების გაზიარება, ხელი შეუწყონ თანატოლთა განვითარებას და პროფესიულ დაგეგმარებასა და მხარდაჭერას.

სკოლის იგივე კლუბს განხორციელებული აქვს საინტერესო პროექტი „სამოქალაქო განათლების მდგრადი განვითარებისთვის“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმისა და „Jaan Tõnnissoni Instituut-ის" პარტნიორობით. ინიციატივის ფინანსური მხარდამჭერია ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს „განვითარების სფეროში თანამშრომლობისპროგრამა“. პროექტის თემატიკა ეხმიანება უთანასწორობის საკითხს, რომელიც კონკრეტიზებულია „განწყობების და დამოკიდებულების კვლევა უთანასწორობის შესახებ“ დონეზე. კვლევის მიზანი იყო, ბოლაჯურის სასკოლო საზოგადოების გამოცდილებების კვლევა უთანასწორო დამოკიდებულებებისა და ქცევის კუთხით. აღნიშნული პროექტის განხორციელების შედეგად გაიზარდა პროექტში

ჩართული მონაწილეების(მოსწავლეების, მშობლების, სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლების) ინფორმაციულობისა და ცნობიერების დონე მდგრადი განვითარების მე-10 მიზნის შესახებ, პროექტის მონაწილეებმა გაანალიზეს , რომ თვითონაც შეუძლიათ გლობალური პრობლემების მოგვარებაში თავიანთი მოკრძალებული წვლილის შეტანა.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
მოსწავლეთა რაოდენობა: 300	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☒	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის მაჩვენებელს(300 მოსწავლე), იმ მოტივით, რომ სკოლის შენობა გათვლილია 150 მოსწავლეზე(მგფ-სა და სკოლას შორის გაფორმებული ქონების/ობიექტის მიღება-ჩაბარების აქტი N GOG/ET/CW/194-1 11/10/2021 წ.)

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები
ექსპერტთა ჯგუფმა „მეტწილად შესაბამისად“ შეაფასა ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, „მეტწილად შესაბამისად“ შეაფასა ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, „მეტწილად შესაბამისად“ შეაფასა ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	ხარვეზი

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი 1.1.1.1	სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, 2023 წლის 20 ნოემბრამდე შეიმუშაოს მისიის და ხედვის დოკუმენტი, რომელიც შესაბამისობაში იქნება ზგემ-ის დოკუმენტთან
ინდიკატორი 1.1.1.2.	სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, 2023 წლის 20 ნოემბრამდე შეიმუშაოს მისიის და ხედვის დოკუმენტი, რომელშიც სკოლა განსაზღვრავს საკუთარ როლს სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით.
ინდიკატორი 1.1.1.4.	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, მისია, ხედვა და ღირებულებები დოკუმენტის მიღების შემდეგ უზრუნველყოს მისი გაზიარება სასკოლო საზოგადოებაში.
ინდიკატორი1.2.1.1.	სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, 2023 წლის 20 ნოემბრამდე შეიმუშაოს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედოგეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომლითაც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
ინდიკატორი 1.2.1.2.	სტრატეგიული გეგმა არის	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, 2023 წლის

	შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას).ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;	20 ნოემბრამდე შეიმუშაოს სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც დაეფუძნება სკოლის ფილოსოფიას, მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს.
ინდიკატორი 1.2.1.3	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი.ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, 2023 წლის 20 ნოემბრამდე შეიმუშაოს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც დაეფუძნება სტრატეგიულ გემას და ყოველწლიურ თვითშეფასებას.
ინდიკატორი 1.2.1.4.	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, 2023 წლის 20 ნოემბრამდე შემუშავებულ სამოქმედო გეგმაში განისაზღვროს სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, შესაბამისი რესურსები.
ინდიკატორი 1.2.2.1.	სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში შეიტანოს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები;
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი 3.1.1.1.	სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, 2023 წლის 15 ნოემბრამდე შექმნას მრჩეველთა საბჭო

ინდიკატორი 3.1.2.2.	სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, 2023 წლის 30 ნოემბრამდე შეიმუშაოს თავისი პერსონალის საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული მართვის პოლიტიკა;
ინდიკატორი 3.2.1.1.	სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, 2023 წლის 15 ნოემბრამდე შეიმუშაოს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
ინდიკატორი 3.2.1.2.	პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმისშესაბამისად;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, 2023 წლის 15 ნოემბრამდე შეიმუშაოს პერსონალის განვითარების საჭიროებათა კვლევის შედეგების საფუძველზე განსახორციელებელი აქტივობების გეგმა
ინდიკატორი 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, 2023 წლის 20 ნოემბრის ჩათვლით ა)მიმართოს შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს საგანგებო მართვის გეგმის შეთანხმებასთან დაკავშირებით. ბ)უზრუნველყოს შენობის კონსტრუქციული მდგრადობის დოკუმენტის მოპოვება
ინდიკატორი 3.4.1.7.	სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, 2023 წლის 15 ნოემბრამდე უზრუნველყოს მრჩეველთა საბჭოს შექმნა, ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების გაუმჯობესებისათვის

ინდიკატორი 3.6.1.1.	ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, 2024 წლის 30 ოქტომბრამდე უზრუნველყოს კომპიუტერული ლაბორატორიის შესაბამისი ტექნიკით სრულად აღჭურვა
ინდიკატორი 3.6.3.1.	სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, 2023 წლის 30 დეკემბრამდე უზრუნველყოს სკოლის ოფიციალური ვებგვერდის შექმნა
ინდიკატორი 3.6.3.2.	სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, 2023 წლის 30 დეკემბრამდე უზრუნველყოს სკოლის ოფიციალური ვებგვერდის შექმნა და მასზედ(მის მიერ განხორციელებული) საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელება
ინდიკატორი 3.6.3.4.	სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაციაქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე,რომელზეც ახორციელებს სწავლებას;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, 2023 წლის 30 დეკემბრამდე უზრუნველყოს სკოლის ოფიციალური ვებგვერდის შექმნა
ინდიკატორი 3.6.3.5.	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, 2023 წლის 30 დეკემბრამდე უზრუნველყოს სკოლის ოფიციალური ვებგვერდის შექმნა და მასზედ მისია, ხედვა, ღირებულებების, სკოლის სტრუქტურის, პროგრამ(ებ)ის

	ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.	სახელწოდებების, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურების და მისანიჭებელი კვალიფიკაციის (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნების, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისების, გასაჩივრების მექანიზმების, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიშის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების და საკონტაქტო ინფორმაციის განთავსება.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი 4.2.3.1.	სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, 2023 წლის 30 დეკემბრამდე უზრუნველყოს ინდ.გეგმების შესაბამისობაში მოყვანა ესგ-სა და მულტიდისციპლინური გუნდის მიერ გაცემულ დასკვნებთან

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია
კომპონენტი 2.2.	კურიკულუმის განხორციელება	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, 2024 წლის 30 ოქტომბრამდე უზრუნველყოს კომპიუტერული ლაბორატორიის შესაბამისი ტექნიკით სრულად აღჭურვა

კომპონენტი 2.2.	კურიკულუმის განხორციელება	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, 2024 წლის 30 ოქტომბრამდე უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის სრულად აღჭურვა.
კომპონენტი 2.2.	კურიკულუმის განხორციელება	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, 2024 წლის 30 ოქტომბრამდე უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის სრულად აღჭურვა.
ინდიკატორი2.2.2.5.	სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, 2023 წლის 30 დეკემბრამდე უზრუნველყოს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის შექმნა;

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N3.1.2.6.	სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.	სასურველი იქნება, სკოლამ დანერგოს მექანიზმები პერსონალის წახალისებასთან დაკავშირებით.
ინდიკატორი N3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	სკოლას მიეცა რჩევა, შიდა კონტროლის უფრო ეფექტურად განხორციელების მიზნით, სკოლის შიდა სივრცეშიც განათავსოს ვიდეო-სათვალთვალო სისტემა, ასევე, უზრუნველყოს შესაბამისი კადრის აყვანა შრომის უსაფრთხოების დაცვის მიმართულებით
ინდიკატორი N3.5.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვისშესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	სკოლას მიეცა რჩევა, საბიბლიოთეკო ფონდის ახალი მხატვრული ლიტერატურით აღჭურვასთან დაკავშირებით
ინდიკატორი N3.7.1.2.	სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.	სკოლას მიეცა რჩევა, 2024 წლის შესყიდვების გეგმა შეადგინოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მოთხოვნათა

		გათვალისწინებით, ფართო ჩართულობის და საჯაროობის პრინციპების გათვალისწინებით.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N4.1.2.1.	სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;	სკოლას მიეცა რჩევა, 2023/24 სასწ.წლის დასაწყისშივე შეიმუშაოს და დაამტკიცოს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი.
ინდიკატორი N4.2.2.3.	სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.	სკოლას მიეცა რჩევა, ხარისხის გაუმჯობესების მიზნით გამოიყენოს კითხვარები(ჩაატაროს კვლევა) და ინტერვიუები ფოკუსჯგუფებთან, ხოლო შედეგები გამოიყენოს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში
ინდიკატორი N4.2.3.1.	სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;	სკოლას მიეცა რჩევა VI და VII კლასის სსსმ მოსწავლეებისათვის , 2023/24 სასწ.წლის დასაწყისში შემუშავენული იქნას რემედიაციის პროგრამა და სკოლამ განახორციელოს მის ხელთ არსებული ყველა შესაძლო აქტივობა, რათა დაძლეული იქნას გამოტოვებული კლასების საგნობრივი პროგრამები.
ინდიკატორი N4.2.3.2.	სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.	სკოლას მიეცა რჩევა, უზრუნველყოს სოციალური სამსახურის შესაბამისი პირის(სოც.მუშაკის) ჩართულობა მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის საქმეში. რემედიაციის პროგრამის შემუშავებაში

		ჩართული იქნას დაწყებითი საფეხურის ყველა მასწავლებელი(იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ მოსწავლეებს გამოტოვებული აქვთ დაწყებით საფეხურის რამდენიმე კლასი).

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	რჩევა
ინდიკატორი 2.1.1.2	კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები	სასურველია, რომ მომავალში სკოლის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებში იყოს შესწავლილი სასკოლო საზოგადოების ყველა სტრუქტურული ერთეულის (მასწავლებლების, მოსწავლეების, მშობლების, დირექტორის და დირექციის) ინტერესები, კვლევის/ანალიზის შედეგები მრავალფეროვნად აისახოს კურიკულუმში.
ინდიკატორი 2.1.2.2.	კურიკულუმები მიემართება ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები	სკოლას მიეცა რჩევა საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი მიმართულებით, დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე: საგნობრივი კურიკულუმებში ცალკეულ შემთხვევებში არ მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, მაგ. საგანში „მე და საზოგადოება“ მესამე კლასის კურიკულუმში, მეორე და მესამე თემებში არ მუშავდება სამიზნე ცნებები: პიროვნება და ცვლილება. მეოთხე კლასის კურიკულუმში პირველ თემაში არ მუშავდება სამიზნე ცნება საზოგადოება. მეორე თემაში არ მუშავდება სამიზნე ცნებები: პიროვნება, საზოგადოება, ცვლილება. როდესაც კომპლექსურ დავალებაში რომელიმე სამიზნე ცნება, ან ცნებები მუშავდება, აუცილებლად უნდა მიეთითოს ძირითადი კონტექსტ მაგალითი. ჩვენი საქართველო. მეხუთე კლასის კურიკულუმში არ არის წარმოდგენილი მეორე სავალდებულო თემა - „იმერეთი“ და

		მესამე სავალდებულო თემა - „სამეგრელო“. პირველ თემაში, „ქართლი“, არ მუშავდება შემდეგი სამიზნე ცნებები: მეურნეობა, საზოგადოება, მრავალფეროვნება, სახელმწიფო. მეოთხე თემაში, „სვანეთი“, არ მუშავდება: სივრცე, დრო, საზოგადოება, მრავალფეროვნება. მეხუთე სავალდებულო თემაში, „აჭარა“, არ მუშავდება: სივრცე, მეურნეობა, დრო, სახელმწიფო. მეექვსე კლასის კურიკულუმში არ არის წარმოდგენილი სავალდებულო თემები - „რაჭა-ლეჩხუმი“, „აფხაზეთი“, „თბილისი“, „სახელმწიფო-ჩვენი საქართველო“. პირველ სავალდებულო თემაში, „კახეთი“, არ მუშავდება შემდეგი სამიზნე ცნებები: დრო, საზოგადოება, მრავალფეროვნება, სახელმწიფო. მეორე თემაში, „აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი“ არ მუშავდება: სივრცე, მეურნეობა, მრავალფეროვნება, სახელმწიფო. მესამე თემაში, „სამცხე-ჯავახეთი“ არ მუშავდება: სივრცე, მეურნეობა, საზოგადოება, სახელმწიფო. მეოთხე თემაში, „გურია“ არ მუშავდება: სივრცე, მეურნეობა, დრო, საზოგადოება, მრავალფეროვნება. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ყველა თემაში ყველა სამიზნე ცნება უნდა დამუშავდეს. თუ სამიზნე ცნებების დამუშავება ამ ეტაპზე არ/ვერ ხდება კომპლექსური დავალებებით, აუცილებელი მოთხოვნაა, რომ საგნობრივ კურიკულუმში მითითებული იყოს ის საკითხი/საკითხთა კლასტერი, რომლის საშუალებითაც ხდება ამა თუ იმ სამიზნე ცნების დამუშავება. საგნობრივი კურიკულუმები მოითხოვს გადახედვასა და დავეწას. გეოგრაფია მეშვიდე კლასის საგნობრივ კურიკულუმში, პირველ თემაში საკითხები ისე უნდა იყოს დაჯგუფებული, რომ ჩანდეს, რომელ სამიზნე ცნება/ცნებები მუშავდება ამა თუ იმ საკითხის ფარგლებში. ასევე, უნდა დაკონკრეტდეს რომელი ქვეცნება

		მუშავდება კომპლექსურ დავალებაში. მეორე თემაში „აფრიკა“ ა ჩანს რომელი სამიზნე ცნებები მუშავდება. მესამე თემაში „ავსტრალია და ოკეანეთი“ არ ჩანს რომელი საკითხების საშუალებით დამუშავდება სამიზნე ცნებები „გეოგრაფიული გარსი“ და „მოსახლეობა და მეურნეობა“. მეოთხე თემაში კი არ ჩანს სამიზნე ცნებები: „გეოგრაფიული მოვლენა და პროცესი“ დ „მოსახლეობა და მეურნეობა“. მერვე კლასის გეოგრაფიის კურიკულუმში ყველა თემაში არ მუშავდება ყველა სამიზნე ცნება. მაგ. პირველ თემაში არ ჩანს „მოსახლეობა და მეურნეობა“ და „მდგრადი განვითარება“; მეორ თემაში არ ჩანს „გეოგრაფიული გარსი“ და „გეოგრაფიული მოვლენა, გეოგრაფიული პროცესი“; მესამე თემაში არ ჩანს „გეოგრაფიული მოვლენა, გეოგრაფიული პროცესი“; მეოთხე თემაში არ ჩანს არცერთი სამიზნე ცნება; მეხუთე თემაში კი არ მუშავდება სამიზნე ცნებები: „მოსახლეობა და მეურნეობა“ და „მდგრადი განვითარება“. მეცხრე კლასის გეოგრაფიის კურიკულუმში ასევე ყველა თემაშ არ მუშავდება ყველა სამიზნე ცნება. მაგ. პირველ და მეოთხე თემებში არ მუშავდება არცერთი სამიზნე ცნება; მეორე თემაში არ მუშავდება „გეოგრაფიული მოვლენა, გეოგრაფიული პროცესი“ და „მოსახლეობა და მეურნეობა“; ისტორია მერვე კლასის კურიკულუმში არასწორად არის მითითებული სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო თემები. ამასთან ერთად, მეორე თემა საერთოდ შეუვსებელია. კონკრეტული კომპლექსური დავალების შერჩევისას აუცილებლად უნდა ჩანდეს კონტექსტ მაგალითი, რომელზე დაყრდნობითაც დამუშავდება ესა თუ ის სამიზნე ცნება, რაც ასევე არ არის წარმოდგენილი კურიკულუმში.

		მეცხრე კლასის კურიკულუმში, პირველ თემაში არ მუშავდება შემდეგი სამიზნე ცნებები: დრო, სივრცე, საზოგადოება, ძალაუფლება. მეორე და მესამე თემებში კი არცერთი სამიზნე ცნება არ ჩანს. კურიკულუმი არ არის დასრულებული სახით წარმოდგენილი. მოქალაქეობა მოქალაქეობის საბაზო საფეხურის სამივე კლასის კურიკულუმებისთვის გამოყენებულია განსხვავებული ჩარჩო, თუმცა სავალდებულო თემები და საკითხები სწორად არის განსაზღვრული. იქიდან გამომდინარე რომ მოცემული ჩარჩო პროექტი არ იძლევა შესაძლებლობას დავადგინოთ რომელ სამიზნე ცნებას როგორ დაამუშავებს მასწავლებელი კონკრეტუ თემაში სასწავლო წლის განმავლობაში, რომელ კომპლექსურ დავალებებს განახორციელებს და რომელ კონტექსტ მაგალითებ გამოიყენებს, რთულია კონკრეტული რეკომენდაციების მიცემა. აღნიშნული ფაქტი ადასტურებს იმას, რომ ავტორიზაციისთვის მზადების პროცესში არ მოხდა თანამშრომლობა კათედრის წევრებს შორის, რადგან ისტორიის და გეოგრაფიის კურიკულუმები განსხვავებული (თანამედროვე) ფორმით არის წარმოდგენილი. ასევე არსებული ფაქტი აჩენს ეჭვს, რომ სკოლა და პედაგოგს არ უსარგებლია იმ დახმარებით, რომელიც შეეძლ გამოეყენებინა 3 დღიანი ქოუჩინგის სახით. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ყველა თემაში ყველა სამიზნე ცნება უნდა დამუშავდეს. თუ სამიზნე ცნებების დამუშავება ამ ეტაპზე არ/ვერ ხდება კომპლექსური დავალებებით, აუცილებელი მოთხოვნაა, რომ საგნობრივ კურიკულუმში მითითებული იყოს ის საკითხი/საკითხთა კლასტერი, რომლის საშუალებითაც ხდება ამა თუ იმ სამიზნე

		ცნების დამუშავება. საგნობრივი კურიკულუმები მოითხოვს გადახედვასა და დახვეწას. გეოგრაფია გეოგრაფიის მე-10 კლასის კურიკულუმში, პირველ თემაში არ მუშავდება სამიზნე ცნება „გეოგრაფიული გარსი“. მეორე თემაშ ვხვდებით სამიზნე ცნებას „გეოგრაფიული მოვლენა, გეოგრაფიული პროცესი“, რაც არასწორია, რადგან საშუალო საფეხურზე აღნიშნული სამიზნე ცნება არ არის სტანდარტით განსაზღვრული. გეოგრაფიაში არ არის წარმოდგენილი მე-11 კლასის საგნობრივ კურიკულუმი, რაც ხარვეზია და სკოლამ უნდა გამოასწოროს. ისტორია ისტორიის მეათე კლასის საგნობრივ კურიკულუმში არ არის წარმოდგენილი მესამე სავალდებულო თემა - „გვიანანტიკური ხანა და ადრეული შუა საუკუნეები“. მეორე თემაში არ მუშავდე სამიზნე ცნებები: ისტორიული წყარო, დრო, სივრცე, ისტორიული მოვლენა/პროცესი. ისტორიის მეთერთმეტე კლასის კურიკულუმში ყველა სამიზნე ცნების გასწვრივ უნდა იყოს მითითებული ქვეცნება, რომელიც მუშავდება კომპლექსურ დავალებაში. ასევე უნდა ეწეროს კომპლექსური დავალების იდეა და კონტექსტ მაგალითი. ისტორიის მეთორმეტე კლასის კურიკულუმში უნდა დაკონკრეტდეს სამიზნე ცნებები და შესაბამისი საკითხები. საქართველოს ისტორია საქართველოს ისტორიის მეათე კლასის საგნობრივ კურიკულუმში არ არის წარმოდგენილი მესამე სავალდებულო თემა - „საქართველო გვიანანტიკურ და ადრეულ შუა საუკუნეების ეპოქაში (1014 წლამდე)“.

		საქართველოს ისტორიის მეთერთმეტე კლასის კურიკულუმში ყველა სამიზნე ცნების გასწვრივ უნდა იყოს მითითებული ქვეცნება, რომელიც მუშავდება კომპლექსურ დავალებაში. ასევე უნდა ეწეროს კომპლექსური დავალების იდეა და კონტექსტ მაგალითი. მოქალაქეობა მოქალაქეობის მე-10 კლასის კურიკულუმი არ არის წარმოდგენილი, რაც ხარვეზია და სკოლამ უნდა გამოასწოროს. მოქალაქეობის მე-11 კლასის კურიკულუმში, მეორე თემაში სამიზნე ცნების, „სამოქალაქო მონაწილეობა“ და „მდგრადი განვითარება“ ქვეცნებები არასწორად არის განსაზღვრული. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ყველა თემაში ყველა სამიზნე ცნება უნდა დამუშავდეს. თუ სამიზნე ცნებების დამუშავება ამ ეტაპზე არ/ვერ ხდება კომპლექსური დავალებებით, აუცილებელი მოთხოვნაა, რომ საგნობრივ კურიკულუმში მითითებული იყოს ის საკითხი/საკითხთა კლასტერი, რომლის საშუალებითაც ხდება ამა თუ იმ სამიზნე ცნების დამუშავება. საგნობრივი კურიკულუმები მოითხოვს გადახედვასა და დავეწას.
ინდიკატორი 2.1.2.4	განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებ	სახელმწიფო ენის კათედრამ სამივე საფეხურზე სასურველია იმუშავოს შეფასების რუბრიკების სრულყოფაზე მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად სამივე საფეხურზე. საბუნებისმეტყველო კათედრა
ინდიკატორი N2.2.2.1	სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები სკოლას მიეცა რჩევა, დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში კერძოდ:

		მე-2 კლასის საბუნებისმეტყველო კურიკულუმის ჩარჩოში ყველა სავალდებულო თემის ფარგლებში, სამიზნე ცნებებთან აისახოს ქვესაკითხები და ქვეცნებები, აგრეთვე მე-2 და მე-3 სავალდებულო თემებს სახელმძღვანელოს გარდა დაემატოს სხვა ტიპის სასწავლო რესურსები მაგ. (ტელესკოლის ლინკები, ელექტრონული, ბეჭდური, ფოტო, ვიდეო მასალების ლინკები და ა.შ). მე-3 კლასის საბუნებისმეტყველო კურიკულუმის ჩარჩოში სავალდებულო თემების ასახვა არ შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმაში შემოთავაზებულ სარეკომენდაციო ორ თემას - „ჩემი ქვეყნის ბუნება“ და „მზის სისტემა“, ამიტომ დაკორექტირდეს ზემოთაღნიშნული კურიკულუმის ჩარჩო და მასში აისახოს სავალდებულო თემებთან შესაბამისი სამიზნე ცნებები, ქვეცნებიბი, ქვესაკითხი, საკითხები, კომპლექსური დავალების იდეა, კონტექსტ-მაგალითები, სასწავლო რესურსები. მე-4 კლასის საბუნებისმეტყველო კურიკულუმის ჩარჩოში გასწორდეს მე-2 თემის დასახელება -„ციკლური პროცესების“ ნაცვლად აისახოს „ციკლური პროცესები ბუნებაში“. მე-6 კლასის საბუნებისმეტყველო კურიკულუმის ჩარჩოს დიზაინი წარმოდგენილია არასრულყოფილად, მასში გამოკვეთილად არ არის მოცემული შემდეგი სვეტები: „თემა“, „სამიზნე ცნება ქვეცნებიბი ქვესაკითხი“, „საკითხი“, „კომპლექსური დავალების იდეა“, „კონტექსტმაგალითები“, „სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის“. აქედან გამომდინარე ამ თანმიმდევრობით გადანაწილდეს ან/და აისახოს სვეტებში სრული ინფორმაცია სკოლის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის ქიმიის, ბიოლოგიის და ფიზიკის საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოებში გასწორდეს შემდეგი ხარვეზები კერძოდ: ქიმიის მე-9 კლასის ქიმიის კურიკულუმის თემაში - „ნივთიერებათა მრავალფეროვნება - ნათლად ჩამოყალიბდეს კომპლექსური დავალების იდეა. ბიოლოგიის მე-8 კლასის მე-4 სავალდებულო თემის - „ჯანმრთელობა და მავნე თვისებების“ ფარგლებში დაემატოს სამიზნე ცნება „სასიცოცხლო

		თვისებები“ შესაბამისი სამიზნე ცნებებით, ქვესაკითხებით და სასწავლო რესურსებით. სწორად აისახოს მე-9 კლასის ბიოლოგიის მე-3 თემის დასახლება, „ადამიანის რეპროდუქციის სისტემის“ ნაცვლად ჩაიწეროს - „ადამიანის რეპროდუქციული სისტემა და ჯამრთელობა“; მე-5 თემაში, მე-4 კლასტერის ძირითად საკითხს - „ევოლუციის საფუძველი“, დაემატოს სამიზნე ცნება „ჯანმრთელობა და მავნე თვისებები, მე-5 სავალდებულო თემაში - „ სახეობა და პოპულაცია“ ძირითადი საკითხს - „ევოლუციის საფუძვლები“ დაემატოს სამიზნე ცნება „ჯანმრთელობა და დაავადება“ ქვეცნებები/ქვესაკითხებით და სასწავლო რესურსებით. ფიზიკის მე-7 კლასის კურიკულუმში დაემატოს სავალდებულო თემა „თანაბარი და არათანაბარი მოძრაობა“, „ძალა და წნევა“, ასევე, მე-8 კლასის კურიკულუმში დაემატოს სავალდებულო თემა - „სითბური მოვლენები“ შესაბამისი სამიზნე ცნებებით/ ქვესაკითხებით და სასწავლო რესურსებით. გარდა ამისა საბაზო საფეხურის ქიმიის, ბიოლოგიის და ფიზიკის საგნობრივ კურიკულუმების ჩარჩოებში გასწორდეს ტექნიკური ხარვეზები, რომელიც დაკავშირებულია ზედმეტ ველებთან, შეუვსებელ სვეტებთან და ა.შ. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები სკოლის მიერ წარმოდგენილ საშუალო საფეხურის ქიმიის და ფიზიკის საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოებში გასწორდეს შემდეგი ხარვეზები, კერძოდ: ქიმიის მე-11 კლასის პირველი სავალდებულო თემის „ელექტროლიტური დისოციაცია და ხსნარების“ -პირველ კლასტერის ფარგლებში სამიზნე ცნებას - „ქიმიური და ფიზიკური მოვლენებში“ დაემატოს ქვეცნებები - „ელექტროგამტარიანობა, დისოციაციის ხარისხი, დისოციაციის მუდმივობა“ ამავე თემის მე-2-ე კლასტერში საგნობრივ სამიზნე ცნებაში- „ფიზიკური და ქიმიური მოვლენები“ დაემატოს ქვეცნებები- ელოქტროდისოციაცია, ჰიდროტაცია, ჰიდროლიზი; ასევე,

		დაემატოს გამოტოვებული საგნობრივი მზნა სამიზნე ცნება-ქიმიური ბმა შესაბამისი დასამუშავებელი ქვეცნებები - მაგ. ბისპოლარობა. მე-2 თემის - „ელექტროქიმია, ჟანგვა აღდგენის რეაქციებში“ - მეორე კლასტერის ძირითადი საკითხის ფარგლებში სამიზნე ცნება ნივთიერების ფარგლებში აისახოს ქვეცნებები. ფიზიკის მე-10 კლასის კურიკულუმში დაემატოს სავალდებულო თემა „ელექტროსტატიკა“, შესაბამისი სამიზნე ცნებებით, ქვესაკითხებით და სასწავლო რესურსებით, აგრევე სავალდებულო თემაში- „მუდმივი დენის კანონები“ აისახოს ფიზიკის საშუალო საფეხურის ყველა სამიზნე ცნებები. გარდა ამისა საშუალო საფეხურის ქიმიის, ბიოლოგიის ფიზიკის საგნობრივ კურიკულუმების ჩარჩოებში გასწორდეს ტექნიკური ხარვეზები, რომელიც დაკავშირებულია ზედმეტ ველებთან, შეუვსებელ სვეტებთან და ა.შ.
ინდიკატორი N2.2.2.2	საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;	უცხო ენები კარგი იქნება თუ მოსწავლეებს მიეცემათ საშუალება სამივე საფეხურზე ჩაერთონ ისეთ პროექტებსა და არაფორმალურ აქტივობებში, რომელიც ორიენტირებული იქნება შემდეგ კომპეტენციებზე: თვითცნობიერება, თვითრეგულაცია, სოციალური ცნობიერება, ურთიერთობის უნარები და პასუხისმგებლობა გადაწყვეტილებაზე.
ინდიკატორი N2.2.2.3	შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე	უცხო ენები შეფასება სამივე საფეხურზე უმჯობესია ინტეგრირებული იყოს სასწავლო პროცესში.იგი მოსწავლის ყოველდღიური პროცესის განუყოფელი ნაწილია. შეფასება ხელს უნდა უწყობდეს: მოსწავლეების აქტიურ ჩართულობას, შეფასების პროცესში მრავალფეროვანი ინსტრუმენტების

		გამოყენებს. შეფასება უნდა ავლენდეს მოსწავლის ძლიერ და სუსტ მხარეებს და აძლევდეს მოსწავლეს კონსტრუქციულ უკუკავშირს იმასთან მიმართებაში თუ როგორ მიმდინარეობს სასწავლო პროცესი და როგორ შეიძლება იმუშაოს არსებულ გამოწვევებზე
ინდიკატორი N2.2.3.1	სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები სასურველია, სამივე საფეხურზე გამოიკვეთოს ღია და მხარდამჭერი გარემოს შექმნის მეტი მტკიცებულებები
ინდიკატორი N2.2.3.3	სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები სასურველია, შეიქმნას ერთიანი დოკუმენტი, რომელშიც ასახული იქნებოდა სკოლის ხედვა თანამაშრომლობითი კულტურის და ეფექტიანი კომუნიკაციის დანერგვისა და განხორციელების გზების შესახებ, მათ შორის გამოიკვეთოს სასკოლო საზოგადოების თითოეული სეგმენტის როლი: მასწავლებლების, მოსწავლეთა, მშობლებისა და სკოლის ადმინისტრაციის.
ინდიკატორი N2.2.3.4	უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები სასურველია, მეტად იქნეს წახალისებული სასკოლო საზოგადოების მონაწილეობა კურიკულუმის შექმნის პროცესში, და გამოკვლეული იქნეს (მაგალითად, ფოკუს-ჯგუფების, კითხვარების, თემატური ინტერვიუების მეშვეობით) ცალკეული რგოლის ხედვა კურიკულუმის განვითარების პროცესში მათი როლისა და წვლილის შესახებ.
ინდიკატორი N2.3.1.1	მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე უმჯობესია განისაზღვროს, წელიწადში რამდენჯერ და რომელი ინსტრუმენტის საშუალებით მოახდენენ კურიკულუმის

		დანერგვის პროცესის მონიტორინგსა და შეფასებას სამივე საფეხურზე. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები დაწესებულებამ, შეიმუშაოს სკოლის საჭიროებებთან და კონტექსტთან მორგებული კონკრეტული წესი, რომელშიც გაწერილი იქნება სასწავლო პროცესის შეფასებისა და მონიტორინგის ინსტრუმენტები, პროცედურები, აგრეთვე მეთოდების შემუშავება/შერჩევა, პროცესების მიზნობრივი ღონისძიებების ჩატარება და რეკომენდაციების შემუშავება.
ინდიკატორი N2.3.1.3	მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები სასურველია, სკოლამ გაითვალისწინოს, რომ ანალიზში ასახული უნდა იყოს კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, განსაზღვრული უნდა იყოს ხელისშემშლელი ფაქტორები და არსებული შესაძლებლობები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის. ეს მიდგომა გახდის შესაძლებელს მონიტორინგის და შეფასების ანალიზის შემდგომი პროცესის სწორად პროგნოზირებას და მის საფუძველზე უზრუნველყოფს შესაბამისი რეკომენდაციებს გაცემას სკოლის კურიკულუმის ან/და სამოქმედო გეგმის კორექტირებისთვის.
ინდიკატორი N2.3.2.1	შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები სასურველია, შეფასების მრავალფეროვნების წყაროები უფრო გაფართოვდეს, და მოიცავდეს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრს; ამისათვის

		გამოყენებული იქნას როგორც წყარო, სხვადასხვა დოკუმენტური, სტატისტიკური, ფინანსური თუ სხვა ტიპის რესურსი.
ინდიკატორი N2.3.2.2	შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები სასურველია, სასწავლო პროცესის შემადგენელი კონტექსტის შესასწავლად გამოყენებული იქნას სოციალური კვლევების მეთოდები და ინსტრუმენტები შესაბამისი სამიზნე ჯგუფების განსაზღვრა.
ინდიკატორი N2.3.2.3	შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები სასურველია, გამოყენებული იქნას სოციალური კვლევების მეთოდები ფართო სპექტრი (ინტერვიუ, სატელეფონო ინტერვიუ, გამოკითხვა, ფოკუს-ჯგუფი, არაფორმალური გასაუბრება, დაკვირვება) და შემუშავდეს შესაბამისი ინსტრუმენტები
ინდიკატორი N2.3.2.4	შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები სასურველია, კონკრეტულად გამოიკვეთოს, თუ რა საშუალებების გამოყენებით ხორციელდება მულტიფაქტორული ანალიზი და კონკრეტულად რომელი ფაქტორების იდენტიფიცირება და ანალიზი ხორციელდება.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია
1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები
1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლის მისია მოცემულია სკოლის 2022/23 სასწ.წლის

სასკოლო გეგმაში, ხედვისა და ღირებულებების გარეშე. სკოლის დირექტორის 2023 წლის 05 სექტემბრის N40

ინდ.ადმ.სამართლებრივი აქტით სასკოლო საზოგადოების ფართო წარმომადგენლობით შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელმაც

უნდა შეიმუშავოს სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების ახალი დოკუმენტი, რომელიც შესაბამისობაში იქნება ზგემ-ის დოკუმენტთან. **სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის თანახმად, მისის-ხედვის დოკუმენტი შემუშავებული იქნება 2023 წლის 20 ნოემბრამდე.**

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2.როგორც აღვნიშნეთ, სკოლა არის საკუთარი მისია/ხედვა/ღირებულებების დოკუმენტის შემუშავების პროცესში. აღნიშნულიდოკუმენტის მიღებას აპირებენ 2023/24 სასწ.წლის 1-ელი სემესტრის განმავლობაში. **სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის თანახმად, მისის-ხედვის დოკუმენტი შემუშავებული იქნება 2023 წლის 20 ნოემბრამდე.**

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებების დოკუმენტის შემუშავების მიზნით შექმნილი ჯგუფი დაკომპლექტებულია სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებით, მასში გაერთიანებულები არიან მასწავლებლები, მშობლები და საშუალო საფეხურის მოსწავლეები.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს შემუშავებული მისია/ხედვა/ღირებულებების დოკუმენტი(სამუშაო პროცესში არიან). **სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის თანახმად, მისის-ხედვის დოკუმენტი შემუშავებული იქნება 2023 წლის 20 ნოემბრამდე.**

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

5.სკოლის მისია მოცემულია 2022/23 სასწ.წლის სასკოლო გეგმაში, ხედვა და ღირებულებები არ უჩანთ. გასული საწავლო წლის სასკოლო გეგმა საჯაროა და შესაბამისად, მასში ფიქსირებული მისია ყველა დაინტერესებული პირისათვის არის ხელმისაწვდომი. სკოლის მიერ ახალი მისია-ხედვა-ღირებულებების შემუშავების მიზნით დაწყებული სამუშაოები დასრულდება 2023/24 სასწ/ წლის ბოლომდე და დოკუმენტი განთავსებული იქნება როგორც სკოლის ოფიციალურ ვებ.გვერდზე, ისე შიდა სივრცეში(გამოიკვრება საინფორმაციო დაფაზე).
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6.სკოლის სახელწოდება-სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლა-შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლის 2023/24 სასწ.წლის სასკოლო გეგმა.

- სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლის დირექტორის მ/შემსრულებლის 2023 წლის 05 სექტემბრის N 40 ბრძანება ამავე სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების დოკუმენტის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ.
- სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლის წესდება და სატიტულე ფურცელი.
- შესაბამისობის გეგმა

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.მიმდინარე ეტაპისათვის სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლას არ აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია. სკოლის დირექტორის მ/შემსრულებლის 2023 წლის 05 სექტემბერის N 39 ბრძანებით, სასკოლო საზოგადოების ფართო წარმომადგენლობით შექმნილია სამუშაო ჯგუფი სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების დოკუმენტის მეთოდოლოგიის შემუშავების მიზნით. **სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის თანახმად, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია შემუშავებული იქნება 2023 წლის 20 ნოემბრამდე.**

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია

2.სკოლას შემუშავებული აქვს 2018-24 წლების 6 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა. სკოლის დაგეგმარების დოკუმენტის მეთოდოლოგიის შემუშავების შემდეგ, მიმდინარე კალენდარული წლის ბოლოს სკოლას დაგეგმილი აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავება. ამ ეტაპისათვის **ინდიკატორი 1.2.2.2. არც ფასდება და არც ხარვეზდება.**

3.სკოლას გააჩნია ერთწლიანი განვითარების გეგმა, რომელიც არ არის მისადაგებული თუნდაც სკოლის ძველ სტრატეგიული განვითარების გეგმასთან. მართალია, ერთწლიან გეგმაში გაწერილია გარკვეული სახის აქტივობები, მაგრამ არ ჩანს მათი შესრულების(მით უმეტეს, კონტროლის) მექანიზმი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლას მიეცა რჩევა, სტრატეგიული დაგეგმარების დოკუმენტის დამტკიცების(მიღების) შემდეგ, ამ დოკუმენტზე დაყრდნობით, შეიმუშაოს სკოლის განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.
ინდიკატორი 1.2.2.3. ამ ეტაპზე არც ფასდება და არც ხარვეზდება.

4.სკოლას აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმის დოკუმენტი, მაგრამ იგი არ არის შესაბამისობაში ამჟამად მოქმედ სტანდარტთან. აღნიშნულ დოკუმენტში არ არის გაწერილი რეალისტური ვადები, მონიტორინგის მექანიზმი და რაც მთავარია, გაწერილი აქტივობების შესრულებისათვის საჭირო რესურსი.
ინდიკატორი 1.2.2.3. ამ ეტაპზე არ ფასდება და არ ხარვეზდება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

სკოლის დირექტორის მ/შემსრულებლის 2023 წლის 05 სექტემბრის N 39 ბრძანება

ინტერვიუ სკოლის დირექტორის მ/შემსრულებელთან

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

.....

.....

.....

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის დირექტორის მ/შემსრულებლის 2023 წლის 05 სექტემბრის N39 ბრძანებით განსაზღვრული ჯგუფი მუშაობს სკოლისდაგეგმარების მეთოდოლოგიური დოკუმენტის შექმნაზე. ამ ეტაპზე, მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები არ არის წარმოდგენილი დასრულებული სახით. **სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის თანახმად, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც აისახება მონიტორინგისადა შეფასების მექანიზმები, შემუშავებული იქნება 2023 წლის 20 ნოემბრამდე.**

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია

2.გამომდინარე იქიდან, რომ სკოლას ჯერჯერობით არ გააჩნია სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი,

ვერ ვახდენთ შეფასებას, მომავალში სკოლა რამდენად შეძლებს სტრატეგიული გეგმის მონიტორინგს და შეფასებას, ასევე, რამდენად იქნება გათვალისწინებული სასკოლო საზოგადოების და სხვა დაინტერესებული პირების უკუკავშირი. რამდენადაც ეს პროცესი დროში იქნება გაწერილი, შესაბამისად, ამ **ინდიკატორის შეფასება ამ ეტაპზე შეუძლებელია.**

3.სკოლას არ გააჩნია 7 წლიანი სტრატეგიული დაგეგმარების დოკუმენტი, ხოლო ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ძალიან ზოგადია. სკოლას აქვს 6 წლიანი სტრატეგიული გეგმა, თუმცა მისი მონიტორინგი არასოდეს განხორციელებულა, არც შესრულებულ შედეგებზე არსებობს რაიმე სახის მტკიცებულება მისი საჯარო სივრცეში განთავსებასთან დაკავშირებით.
ინდიკატორი არ ექვემდებარება შეფასებას

4.როგორც ავღნიშნეთ, სკოლას არ აქვს სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, შესაბამისად, არ მომხდარა მათი შესრულების ანგარიშის მოსმენა, თუმცა, სკოლას აქვს მზაობა, მას შემდეგ, რაც მიღებული(დამტკიცებული) იქნება ზემოთ ხსენებული დოკუმენტები, შედეგები გამოყენებული იქნება სკოლის განვითარებისათვის.
ამ ეტაპზე **1.2.2.4. ინდიკატორი შეფასებას არ ექვემდებარება.**

დასტურდება (მტკიცებულებები): სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

.....

.....

.....

შეფასება:
- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას გააჩნია შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, კათედრები. სკოლაში არ ჰყავს მრჩეველთა საბჭო, დირექციას წარმოადგენს დირექტორის მ/შემსრულებელი, რომელიც თავის დროზე იყო საქმისმწარმოებელი და ყოფილი დირექტორის(რომელიც პანდემიის შედეგად გარდაიცვალა) ინდ.ადმ.სამართლებრივი აქტის საფუძველზე განასზღვრული იყო დირექტორის მიერ თავისი უფლებამოსილების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში დირექტორის ფუნქციების შემსრულებელ პირად(EMIS-ში რეგისტრირებული). ამ ეტაპისათვის, აღნიშნული პირი ასრულებს როგორც დირექტორის, ისე საქმისმწარმოებლის და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციებს. რაც შეეხება ზემოთ ხსენებული სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების აღწერას, სკოლას არ აქვს ასეთი დოკუმენტი, ხოლო მრჩეველთა საბჭო არ არის შექმნილი. სკოლას მიეცა რჩევა, გადადგას ქმედითი ნაბიჯები სკოლის დირექციის, როგორც სტრუქტურული ერთეულის, ჩამოყალიბების მიმართულებით, ასევე, შექმნას მრჩეველთა საბჭო ამჟამად მოქმედი სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლებისაგან და აქციოს იგი სასკოლო ცხოვრების მნიშვნელოვან მონაწილედ. **სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის თანახმად, მრჩეველთა საბჭო შეიქმნება 2023 წლის 15 ნოემბრამდე.**
ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია

2.სკოლის მოქმედი სტრუქტურული ერთეულები ახორციელებენ სასწავლო პროცესისათვის ხელშემწყობ საქმიანობას. ვიზიტის პერიოდში გვქონდა შესაძლებლობა, დავკვირებოდით კათედრების საქმიანობას, ასევე, სასკოლო გეგმის შემუშავების პროცესს. კათედრების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები შეადგენს სასკოლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების მნიშვნელოვან მექანიზმს, სოფელ ბოლაჯურის სკოლის კათედრებს უკვე მზად ქონდათ კურიკულუმების პროექტები, რომელთა შემუშავება ხორციელდებოდა სკოლის მიერ დამტკიცებული კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მოთხოვნათა გათვალისწინებით. სკოლის სამეურვეო საბჭოს დაგეგმილი ჰქონდა 2023/24 სასწ.წლის სასკოლო გეგმის განხილვა-შეთანხმება, რის შემდეგაც პედაგოგიური საბჭო დაამტკიცებდა ზემოთ ხსენებულ გეგმას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინტერვიუ და პროცესებზე დაკვირვება.
- 2022/23 სასწ.წლის სასკოლო გეგმა.
- 2022/23 სასწ.წლის კათედრის ანგარიშები.
- შესაბამისობის გეგმა

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის პერსონალს შეადგენს ნასწავლებლების, დირექცია-ადმინისტრაციის და ტექნიკური პერსონალის მთლიანი შემადგენლობა. სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლაში დასაქმებულია 18 მასწავლებელი და 8 დანარჩენი პერსონალი. წინა ინდიკატორებში ავღნიშნეთ, რომ დირექციის ფუნქციებს ასრულებს ერთი ადამიანი(პირი), რომელსაც შეთავსებული აქვს სხვა ფუნქციებიც(საქნისმწარმოებლის, უფლებამოსილი პირის). ასეთი პირობების შედეგად გაძნელებულია დანარჩენი

პერსონალის მართვის პროცესის ორგანიზება. მიუხედავად ამისა, სასკოლო პროცესი მიმდინარეობს კანონმდებლობის

ფარგლებში, რაც ნამდვილად არის დირექტორის მ/შემსრულებლის და მთელი კოლექტივის თანამშრომლობითი ურთიერთობის შედეგი. სკოლა იცავს თავის მიერ შემუშავებულ რეგულაციებს(შინაგანაწესი), ასევე, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს საკოლო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების საფუძველზე. სკოლაში ვიზიტის დროს დაგვიდასტურეს, რომ მასწავლებელთა ჩართულობისა და თანამშრომლობითი კულტურის ჩამოყალიბების შედეგად წყვეტენ სკოლის წინაშე წამოჭრილ პრობლემებს, ასევე, ხელს უწყობენ სკოლის წარმატებული გამოცდილების აღიარების და გაზიარების პოლიტიკის განხორციელებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.სკოლის შინაგანაწესით გაწერილია პერსონალის მხრიდან სამსახურში გამოუცხადებლობის შეტყობინების წესი, რა დროსაც სკოლა ახორციელებს გაკვეთილის ჩანაცვლებას ან გადანაცვლებას. იგივე პროცედურა არის გათვალისწინებული დანარჩენი პერსონალის შემთხვევაშიც. სკოლაში ფუნქციონირებს დირექტორის ბრძანებით შექმნილი ხარისხის განვითარების ჯგუფი, რომელშიც გაერთიანებულია ყველა კათედრის წარმომადგენელი. სკოლას აქვს ამ ჯგუფის წევრების და კათედრების წარმომადგენლების, ასევე, მასწავლებელთა ურთიერთდასწრების პრაქტიკა. სკოლა არ აწარმოებს გადანაცვლებული/ჩანაცვლებული გაკვეთილების აღრიცხვის ჟურნალს,რის გამოც შეუძლებელია იმის გარკვევა, თუ რამდენად ხშირია ასეთი შემთხვევები(ეს შემთხვევები რომ არის, ცალსახად დაგვიდასტურეს) და როგორ უმკლავდებიან მსგავს გამოწვევას. სკოლას მიეცა რჩევა, აწარმოოს გაკვეთილების გადანაცვლება/ჩანაცვლების რეესტრი და პრევენციული და ინტერვენციული მართვის პოლიტიკა გახადონ უფრო ეფექტური. **სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის თანახმად, პერსონალის საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული მართვის პოლიტიკის დოკუმენტი შემუშავებული იქნება 2023 წლის 30 ნოემბრამდე.**

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

3.სკოლას კონკურსის წესით მიღებული ჰყავს სკოლის ექთანი, რომლის ვაკანსიასთან დაკავშირებითაც გამოცხადებული იყო ღია კონკური. აღსანიშნავია, რომ სკოლას თავიდან ქონდა ექიმის ვაკანსია, რამდენიმე კონკურსის შედეგად შესაბამისი კვალიფიკაციის კადრი არ დარეგისტრირდა, რის გამოც, სამინისტროსთან შეთანხმების შედეგად დაშვებული იქნა ექთნის ვაკანსია. ექთანიც შეირჩა ღია კონკურსით, რის შემდეგაც გამოვლენილ პირთან გაფორმებული იქნა შრომითი ხელშეკრულება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4.სკოლაში დასაქმებული პირების კვალიფიკაცია შესაბამისობაშია დაკავებულ თანამდებობასთან. სკოლის ყველა მასწავლებელი სტატუსის მატარებელია(უმაღლესი განათლებით), მათ შორის ჰყავთ ერთი წამყვანი მასწავლებელი. დანარჩები პერსონალის კომპეტენციები ასევე შესაბამისობაშია მათ ფუნქციებთან. პერსონალის პირად საქმეებში სრულად არის წარმოდგენილი სავალდებულო დოკუმენტები, მათ შორის ცნობები ნასამართლეობის არქონის და ნარკოლოგიური სახის დანაშაულების არქონის შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5.სკოლის პერსონალის მართვა ხორციელდება იმ ზოგადსავალდებულო სახის წესებით, რომელიც შემუშავებული და

მიღებულია ამავე პერსონალის წარმომადგენლებისაგან, კერძოდ, შინაგანაწესი დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ, მაგრამ დამტკიცებამდე ყველა დაინტერესებულ პირს აქვს უფლება, წარმადგინოს ცვლილებათა პაკეტი ან ნორმის მისეული ინტერპრეტაცია. იგივე შეიძლება ითქვას პედაგოგიურ საბჭოსთან დაკავშირებით, სადაც სკოლა ამტკიცებს თავის სასკოლო

გეგმას. აქაც, სასკოლო გეგმის შემუშავება ხორციელდება გუნდურად, კათედრების ჩართულობით და გადაწყვეტილებაც მიიღება გუნდურად, თუმცა საბჭოს ნებისმიერ წევრს აქვს უფლება დააფიქსიროს თავისი აზრი. სოფელ ბოლაჯურის სკოლის პერსონალი არა თუ მონაწილეობას იღებს სასკოლო პროცესების მართვაში, არამედ გუნდურად არის პასუხისმგებელი ამ პროცესების სწორად წარმართვისათვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6.სკოლის შინაგანაწესში გაწერილია წარმატებული გამოცდილების აღიარების და გაზიარების მექანიზმები. წარმატებული საქმიანობის შემთხვევაში სკოლა ასეთ პირებს აჯილდოებს მადლობის სიგელით, ასევე, შეუძლია გადასცეს ფულადი ჯილდო ან ფასიანი საჩუქარი. ამ ეტაპისათვის, სკოლას აქვს მხოლოდ მადლობის გამოცხადების პრაქტიკა, რაც შეეხება დანარჩენ წამახალისებელ აქტივობებს, მათი გამოყენებისათვის სკოლას არ აქვს შესაბამისი ფინანსური რესურსი(როგორც თვითონ აგვიხსნეს). სკოლას მიეცა რჩევა, გადადგას ქმედითი ნაბიჯები წარმატებული პირებისკიდევ უფრო აქტიურად წახალისებასთან დაკავშირებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესის დამტკიცების ოქმი(სამეურვეო).
- სკოლის პედსაბჭოს ოქმი სასკოლო გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით.
- პერსონალის პირადი საქმეები.
- ინტერვიუ კათედრების წარმომადგენლებთან და დირექტორის მ/შემსრულებელთან.
- შესაბამისობის გეგმა.

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას არ აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევის პრაქტიკა, ასეთი საქმიანობით არასოდეს დაკავებულან, თუმცა არის ცალკეული შემთხვევები, როცა თვითონ მასწავლებლები სთავაზობენ დირექციას გარკვეული სახის მხარდაჭერის აღმოჩენის თაობაზე წინადადებას. ამ ეტაპისათვის აქტუალურია საკითხი, 2023/24სასწ.წლის 1-ელი სემესტრისათვის მოიწვიონ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი(ქოუჩი) კომპლექსური დავალებები უკეთ შედგენის და დანერგვის მექანიზმის შესწავლის მიზნით. **სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის თანახმად, პერსონალის პროფესიული განვითარებასთან დაკავშირებით დოკუმენტი შემუშავებული იქნება 2023 წლის 15 ნოემბრამდე.**

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2.როგორც ავღნიშნეთ, სკოლას არ აქვს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევის პრაქტიკა, არ ხდება საჭიროებათა იდენტიფიკაცია, არც რაიმე სახის გეგმა არ არის შემუშავებული. ვიზიტის პერიოდში, სკოლის პერსონალთან შეხვედრის დროს თვალსაჩინო გახდა, რომ სკოლის მასწავლებლებს ნამდვილად სჭირდებათ გარკვეული სახის მხარდაჭერა, თუნდაც სასკოლო კურიკულუმების შემუშავება-განხორციელების მიმართულებით. სკოლას მიეცა რჩევა, უახლოეს მომავალში შეიმუშაოს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები და პერსონალის განვითარება განახორციელოს გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად. **სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის თანახმად, პერსონალის**

პროფესიული განვითარებასთან დაკავშირებით საჭიროებათა კვლევაზე დაფუძნებული გეგმა შემუშავებული იქნება 2023 წლის 15 ნოემბრამდე.

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

3.სკოლა, შესაძლებლობის ფარგლებში ხელს უწყობს პერსონალის პროფესიულ განვითარებას, ამ მიზნით სკოლამ, საკუთარი ფინანსური რესურსის გამოყენებით მოახდინა ბუღალტრის გადამზადება 2020 წელს დაგეგმილი ფასიანი ტრენინგის საფუძველზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.სკოლას არ ჰყავს ახალი თანამშრომლები(ყველა მათგანი წლების წინ არის მიღებული), თუმცა მე-3 თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის დაწყების პროცესში წარმოიშვა მასწავლებელთა სამუშაო გარემოსთან ადაპტაციის საჭიროება. სკოლის მასწავლებლებს მოუხდათ „გადაწყობა“ კომპლექსური დავალებების შემუშავებისა და მოსწავლეებისათვის შეთავაზების მიმართულებით, ასევე, შეფასების რუბრიკების მორგების მხრივ კონკრეტული ფორმატის დავალებების შეფასებისათვის. სკოლა ცდილობდა ეს პროცესი წარმართულიყო პოზიტიურ გარემოში, თუმცა აღნიშნული მიმართულებით შედეგები კვლავ სუსტია. ვიზიტის პერიოდში ცხადად გამოჩნდა მასწავლებლებისათვის მხარდაჭერის საჭიროება, იგივე საჭიროებაზეა საუბარი საგნობრივი მიმართულებების ექსპერტების მიერ წარმოდგენილ დასკვნებში.

ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული**.**

5.პერსონალის(მასწავლებლების) მოთხოვნის საფუძველზე, სკოლა 2023/24 სასწ.წლის პირველ სემესტრში გეგმავს დასწრებითი ხასიათის ქოუჩინგის ჩატარებას კურიკულუმების დახვეწისა და კომპლექსური დავალებების უკეთ შემუშავებასთან დაკავშირებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ბუღალტრის ფასიანი ტრენინგის მომსახურების ქვითარი.
- ინტერვიუ სკოლის მასწავლებლებთან
- შესაბამისობის გეგმა

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას აქვს საგანმანათლებლო საქმიანობის დაგეგმვის პრაქტიკა, რაც ჩანს საგნობრივი მიმართულებების კათედრების მიერ წარმოდგენილ ანგარიშებში. სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლამ 2022/23 სასწავლო წლის ბოლოს შეაჯამა წლის დასაწყისში დაგეგმილი აქტივობების შედეგები, მოახდინა გამოვლენილი ხარვეზის იდენტიფიცირება და ეს ყველაფერი გაითვალისწინა ახალი, 2023/24 სასწ.წლის სასკოლო გეგმის შემუშავების პროცესში. ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა ამ გეგმის დახვეწის პროცესი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.სკოლის სტრუქტურული ერთეულები, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებენ ისეთი ტიპის საქმიანობას, რომელიც ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის ნორმალურად წარმართვას. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია საგნობრივი კათედრების საქმიანობა, სადაც მიმდინარეობდა სასკოლო კურიკულუმების პროექტირების პროცესი. სასკოლო გეგმის შემუშავებისათვის სკოლას მომზადებული ქონდა ნიადაგი ჯერ კიდევ 2023 წლის ივნისის ბოლოს, როცა კათედრებმა წარმადგინეს ანგარიშები, რომელთა საფუძველზედაც შესაძლებელი გახდა სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეების

დადგენა(კონკრეტული სასწ. წლის გათვალისწინებით). სკოლის სამეურვეო საბჭოს აქვს სასკოლო გეგმის განხილვა-შეთანხმების ხოლო პედაგოგიურ საბჭოს-მისი დამტკიცების გამოცდილება. სკოლაში არ ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელსაც შეეძლო დაედგინა ის რისკები, რომელიც შესაძლებელია დაემუქროს სასწავლო პროცესის ნორმალურად წარმართვას. აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლას აქვს ვალდებულება, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისადმი მოქმედი სავალდებულო სტრუქტურული ერთეულების ფორმატში შექმნას მრჩეველთა საბჭო და მისი საქმიანობა მიუსადაგოს თანამედროვე მოთხოვნებს. **სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის თანახმად, მრჩეველთა საბჭო შეიქმნება 2023 წლის 15 ნოემბრამდე.**

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

3.სკოლის შინაგანაწესში დეტალურად არის მოცემული პერსონალის, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ დირექციის გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა. სკოლაში შექმნილია დისციპლინური კომიტეტი, რომელსაც შეუძლია, საჭიროების შემთხვევაში აწარმოოს დისციპლინური მოკვლევა. სკოლას ამ დრომდე არ ქონია დისციპლინური სახის წარმოება, არც მშობლებისაგან/კანონიერი წარმომადგენლებისაგან ყოფილა გასაჩივრებული სკოლის რაიმე სახის გადაწყვეტილება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით. დამრიგებელი მოსწავლეებს აცნობს თავიანთ უფლება-მოვალეობებს. სკოლის საინფორმაციო დაფაზე გამოკრულია 112-ის, სახალხო დამცველის და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ცხელი ხაზის ნომრები. სკოლის მოსწავლეების მშობელს/წარმომადგენელს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში ფიქსირებულია მხარეთა უფლებები და ვალდებულებები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023/24 სასწ.წლის სასკოლო გეგმის პროექტი.
- 2022/23 სასწ.წლის სექტემბრის ოქმები(სამეურვეო, პედსაბჭო).
- 2022/23 სასწ.წლის კათედრების ანგარიშები.
- შესაბამისობის გეგმა

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1.სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციის მიზნით სკოლა იყენებს დასწრებითი სახის შეხვედრებს, ასევე, საინფორმაციო დაფას და სოციალურ ქსელს(სადაც სკოლას აქვს გვერდი). საზოგადოებისაგან უკუკავშირი ძირითადად გაიცემა ზეპირსიტყვიერად. სკოლას არ აქვს გამოკვეთილი პრაქტიკა, აღნიშნული უკუკავშირზე რეაგირების და მისი განვითარებისათვის გამოყენების თვალსაზრისით. სკოლას აქვს მზაობა, სკოლის მართვის პროცესებთან დაკავშირებით მეტი ინფორმაცია განათავსონ ოფიციალური ვებ.გვერდზე.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.სკოლის ისეთ კოლეგიალურ ორგანოებში, როგორიც არის სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი(მრჩეველთა საბჭო არ აქვთ) უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წარმომადგენელთა ფართო წარმომადგენლობა. მიუხედავად იმისა, რომ დისციპლინურ კომიტეტს აქამდე არ ქონია დისციპლინური წარმოება, იგი მოქმედი ორგანოა და შექმნილია პარიტეტულ საწყისებზე, 6 პირის შემადგენლობით. ეს ორგანო აირჩევა ყოველწლიურად და ამის დამამტკივებელი დოკუმენტაცია(ოქმები) მოიპოვება სოფელ ბოლაჯურის სკოლის კანცელარიაში. რაც შეეხება სამეურვეო საბჭოს, იგი შექმნილია კანონმდებლობის საფუძველზე(არჩეულია მასწავლებელთა, საფეხურების მიხედვით მშობელთა და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარის შემადგენლობით.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში „სსიპ ბოლაჯურის საჯარო სკოლა“
- სამეურვეო საბჭოს ოქმები(დისციპლინური კომიტეტის არჩევის შესახებ)

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის ტერიტორია დაცულია ფიზიკური თვალსაზრისით, გარე პერიმეტრი სრულად კონტროლდება ვიდეო-სათვალთვალო სისტემის საშუალებით(10 კამერა არის დამონტაჟებული). სკოლას არ ჰყავს მანდატური, მაგრამ განსაზღვრული ჰყავთ უსაფრთხოებაზე უფლებამოსილი პირი. ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის რეგულაციები გაწერილია შინაგანაწესში. სკოლაში გამოკრულია საევაკუაციო გეგმა. სკოლის ტერიტორიის დაცვას ასევე უზრუნველყოფს სკოლის დარაჯი. სკოლას ჰყავს ექთანი, რომლის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. საჭიროების შემთხვევაში, სკოლას შეუძლია პირველადი სამედიცინო სახის დახმარების გაწევა. სკოლის შენობაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის დამატებით მექანიზმს წარმოადგენა მასწავლებელთა მორიგეობა. სკოლის ტერიტორია კაპიტალურად არის შემოღობილი. სკოლაში დამონტაჟებულია სახანძრო უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებული უსაფრთხოების სისტემა,

თუმცა იგი არ არის შესაბამისობაში მოქმედ სტანდარტთან(უარყოფითი დასკვანა აქვთ სახანძრო სისტემის გამართულობასთან დაკავშირებით). სკოლას არ აქვს შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რაც შეეხება შენობის კონსტრუქციული მდგრადობის დოკუმენტს, მისი მიღების მიზნით სკოლას დაწყებული აქვს პროცესი(გაგზავნილიაწერილი სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროში). სკოლას მიეცა რჩევა, შიდა კონტროლს უფრო ეფექტურად განხორციელების მიზნით, სკოლის შიდა სივრცეშიც განათავსოს ვიდეო-სათვალთვალო სისტემა, ასევე, უზრუნველყოს შესაბამისი კადრის აყვანა შრომის უსაფრთხოების დაცვის მიმართულებით. **სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის თანახმად, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული იქნება 2023 წლის 20 ნოემბრამდე, იგივე პერიოდისათვის არის დაგეგმილი შენობის კონსტრუქციული მდგრადობის დასკვნის მოპოვება.**

ინდიკატორი მეტწილად დაკამაყოფილებულია.

2.სკოლის უფლებამოსილი პირი, დირექცია-ადმინისტრაცია, ასევე, კლასის დამრიგებლები, სკოლის ექთანი, სპეციალური მასწავლებელი, მორიგე მასწავლებლები და სკოლის დარაჯი თავიანთი ფუნქციების აღსრულებით და სფეროების გადანაწილებით სკოლაში უზრუნველყოფენ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.სკოლას არ ჰყავს მანდატური, მაგრამ უფლებამოსილი პირი უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს დაცვას. ამ მიმართულებით ჩართულია სკოლის დირექციაც(თუმცა ამ შემთხვევაში დირექციის და უფლებამოსილი პირის ფუნქციებს ერთი და იგივე პირი ასრულებს), ასევე, კლასის დამრიგებლები, სკოლის ექთანი და სპეციალური მასწავლებელი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.სკოლა მოწესრიგებულია სანიტარულ ჰიგიენური თვალსაზრისით. სკოლა მარაგდება მუდმივი წყლით, საერთო სარგებლობის სივრცეები დასუფთავებულია, კლასები ასევე მოწესრიგებულია. სკოლა ორსართულიან შენობაშია განთავსებული და ორივე სართულზე აქვთ კეთილმოწყობილი სველი წერტილები(მათ შორის ადაპტირებული), სადაც დაცულია სისუფთავე. ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სკოლის ტექ.პერსონალს აქვს ყველა საშუალება, შენობასა და მის გარეთ სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის თვალსაზრისით. სკოლას აქვს კარგად მოვლილი ეზო, რომელსაც მეთვალყურეობს სოციალური პროგრამის ფარგლებში დასაქმებული პირი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5.სკოლის პერსონალის პირადი საქმეები განთავსებულია კანცელარიაში(დოკუმენტაციისათვის ცალკე ოთახი აქვთ გამოყოფილი). აქვეა მოსწავლეთა პირადი საქმეები. ამ დოკუმენტაციასთან მუშაობს საქმისმწარმოებელი(რომელიც ასევე, დირექტორის ფუნქციებსაც ასრულებს). პერსონალური მონაცემები განთავსებულია eschool-ის ბაზაში, სადაც

საქმისმწარმოებელი მუშაობს. სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, სადაც გაწერილია პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6.სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომლის თანახმად, სკოლის ყველა თანამშრომელი ვალდებულია დაიცვას სამსახურეობრივ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, სკოლის საქმისმწარმოებელი ვალდებულია არ გაამჟღავნოს სამსახურეობრივი უფლებამოსილების განხორციელების დროს მოპოვებული ინფორმაცია, გარდა კანონით გათვალიწინებული შემთხვევებისა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

7.სკოლაში არ ფუნქციონირებს ის სტრუქტურული ერთეული(მრჩეველთა საბჭო), რომელიც შეძლებდა უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას. აქედან გამომდინარე, ვიზიტის პერიოდში მხოლოდ ზეპირად აგვიხსნეს, რომ ზოგადპრევენციული ხასიათის ღონისძიებებს ახორციელებენ პერიოდულად, ყოველგვარი დაგეგმვის გარეშე.სკოლას მიეცა რჩევა, უახლოეს პერიოდში დაიწყოს ზრუნვა ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებისა და მათი გაუმჯობესებისათვის(ასევე, შექმნას მრჩეველთა საბჭო).

სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის თანახმად, ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების დოკუმენტი შემუშავებული შეიქმნება 2023 წლის 30 დეკემბრამდე.

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- უფლებამოსილი პირის განსაზღვრის ბრძანება.
- მასწავლებელთა მორიგეობის ცხრილი(განრიგი).
- სკოლაში საქმისწარმოების წესი.
- შესაბამისობის გეგმა

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სოფელ ბოლაჯურის სკოლის შენობა ახალი აშენებულია(2021 წელს შევიდა ექსპლუატაციაში), ფასადი და შიდა სივრცე შესანიშნავ მდგომარეობაშია, ცენტრალური გათბობის სისტემა გამართულია, სკოლას სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვს 17153 კვ.მ. ა/ს მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შემოღობილი, შენობის გარე პერიმეტრი მთლიანად კონტროლდება ვიდეო-სათვალთვალო სისტემით. სკოლის საკლასო ოთახები კარგ მდგომარეობაშია, სასკოლო ინვენტარი საკმარისი რაოდენობით აქვთ, რომელიც ასევე კარგ მდგომარეობაშია, საერთო სარგებლობის სივრცეები მოვლილია. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, რომელის წიგანადი ფონდი ძალიან მწირია. სკოლას არ აქვს სააქტო დარბაზი(ამ დანიშნულებით იყენებენ ბუფეტის ფართს), ასევე, არ აქვთ სპორტული დარბაზი. სკოლას აქვს კარგად აღჭურვილი სპორტული მოედანი. სკოლა სრულად ადაპტირებულია, აქვთ კარგად მოწყობილი პანდუსი, ასევე, შენობაში დამონტაჟებულია ლიფტი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.სკოლის შიდა და გარე სივრცე სრულად ადაპტირებულია, რაც უზრუნველყოფს მის ხელმისაწვდომობას. სკოლას აქვს კეთილმოწყობილი სპორტული მოედანი, რომელიც ასევე ხელმისაწვდომია დანარჩენი სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის. შენობის თავისუფალ სივრცეში განთავსებულია ტენისის სათამაშო მაგიდა, კომპიუტერულ ლაბორატორიის ოთახში განთავსებულია სამოქალაქო განათლების კლუბი(თავისი არაჩვეულებრივი რესურსით), რომელში ხშირად იკრიბებიან როგორც მოსწავლეები(კლუბის წევრები, ისე დაინტერესებული პირები). სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ წევრს აქვს შესაძლებლობა, გამოიყენოს სასკოლო რესურსი თავისი პროფესიული განვითარებისათვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.შენობაში გადაადგილება თავისუფლად არის შესაძლებელი, თავისუფალი სივრცე გამოყენებულია მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენისათვის, რესურსოთახი, დირექცია-ადმინისტრაციის კაბინეტები, სამასწავლებლო და ექიმის კაბინეტი განთავსებულია შენობის მე-2 სართულზე. საკლასო ოთახები აღჭურვილია ახალი სასკოლო ინვენტარით. სართულების ფოიეები კარგად არის მოვლილი. შენობაში მუშაობს ლიფტი, რომლითაც სარგებლობა შეუძლია სსსმ მოსწავლეს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.სკოლა ინფრასტრუქტურულად სრულ წესრიგშია, ამასთან ერთად, შენობა და ეზო ლამაზად არის გაფორმებული, სკოლის პერსონალის აბსოლუტური უმრავლესობა ადგილობრივი კადრია, რაც, დანარჩები სასკოლო თემისათვის კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის სკოლის სოციო-კულტურულ კერად აღქმის ფაქტორს. სკოლის ეზო გამოყენებულია მნიშვნელოვანი ღონისძიებებისათვის(ამ აქტივობების ამსახველი მასალები განთავსებული აქვთ facebook გვერდზე). თემის წევრები სარგებლობენ სკოლის ინფრასტრუქტურით, მაგ.: 2022 წელს სოფლის მოსახლეობისათვი(დაინტერესებული პირებისათვის) მოეწყო შეხვედრები ფერმერული მეურნეობის განვითარებასთან დაკავშირებით, რისთვისაც გამოყენებული იქნა სკოლის შენობა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5.სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული რესურსი, აქვთ საკმარისი ოდენობის გრიფირებული სახელმძღვანელოები, სასკოლო ინვენტარი, ელექტრონული რესურსიდან აქვთ პროექტორები(5 ერთეული). სკოლას არ აქვს სპორტული დარბაზი, მაგრამ შენობაში გააჩნია სივრცე(ფოიე), სადაც განთავსებულია ტენისის მაგიდა. ამ რესურსს იყენებენ უამინდობისა და ზამთრის პერიოდში. სკოლას აქვს სათანადოდ აღჭურვილი ღია სპორტული მოედანი.

ისტ-ის მიმართულებით**:** სკოლას გააჩნია კომპიუტერული ლაბორატორიის მოწყობისათვის საჭირო ფართი, მაგრამ არ აქვს კომპიუტერული ტექნიკა(რომელიც ამ ლაბორატორიაშია განთავსებული, ძველია და აღარ მუშაობს).

საბუნებისმეტყველო მიმართულებით**:** სკოლას აქვს შესაბამისი ფართი საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობისათვის, მაგრამ არ აქვს ფიზიკა-ქიმია-ბიოლოგიის ლაბორატორიების აღჭურვილობა, შემოიფარგლებიან ამ ლაბორატორიათა მხოლოდ ფრაგმენტული ნარჩენებით, რომლითაც შეუძლებელია ესგ-ით დეკლარირებული შედეგების მიღწევა.

სკოლას მიეცა რჩევა**,** იზრუნოს კომპიუტერული ლაბორატორიის სათანადოდ აღჭურვისათვის**,** ასევე, განახორციელოს ქმედითი სახის ღონისძიებები ბიბლიოთეკის ფონდის ახალი მხატვრული ლიტერატურით გამდიდრებისათვის, ამას გარდა, მოძებნოს გზები და საშუალებები საბუნებისმეტყველო საგნების თანამედროვე ლაბორატორიების შეძენასთან დაკავშირებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვიზუალური დათვალიერება

შეფასება:
- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა დამაკმაყოფილებელია ადმინისტრაციული მართვის მიმართულებით, რაც იმას ნიშნავს, რომ სკოლის დირექცია-ადმინისტრაციას გააჩნია პერსონალური კომპიუტერები, რომლითაც წარმართავენ თავიანთ საქმიანობას. სკოლას ასევე გააჩნია ქსერო-აპარატების და პროექტორების საკმარისი რაოდენობა(5 ცალი პროექტორი და 4

ერთეული სკანერი), რაც შეეხება სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას, სკოლის ამჟამინდელი ტექ.ინფრასტრუქტურა ამის საშუალება ცალსახად არ იძლევა(კომპიუტერულ ლაბორატორიაში არსებული, „ირმის ნახტომის“ ფარგლებში მიღებული პერსონალური კომპიუტერები აღარ მუშაობს). **სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის თანახმად, 2024 წლის 30 ოქტომბრამდე განხორციელდება კომპიუტერული ლაბორატორიის სრულად აღჭურვა.**
ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია

2.სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლის ტექ.ინფრასტრუქტურა შეძლებისდაგვარად არის ხელმისაწვდომი. როგორც მასწავლებლებმა აგვიხსნეს, იმისათვის რომ ელ.ჟურნალში შეიტანონ მოსწავლეთა მონაცემები, რიგში უხდებათ ყოფნა დახშირ შემთხვევაში ესეც შეუძლებელი ხდება(იმ დღეს ვინც ვერ ასწრებს მონაცემების შეტანს, მეორე დღეს შეაქვს). **სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის თანახმად, 2024 წლის 30 ოქტომბრამდე განხორციელდება კომპიუტერული ლაბორატორიის სრულად აღჭურვა.**
ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინტერვიუ სკოლის პერსონალთან
- ტექ.ინფრასტრუქტურის დათვალიერება
- შესაბამისობის გეგმა

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების წესი, საქმისწარმოებისათვის გამოყენებულია დოკუმენტბრუნვის ელ.სისტემა. სკოლას მატერიალურად შესული კორესპოდენციას/განაცხადს ატარებს ელექტრონულად(რეგისტრაციის

მიზნით), ასეთი ფორმით შესული დოკუმენტაციის რეგისტრაციის პროცედურები გაწერილია საქმისწარმოების წესში. დირექტორის მიერ გამოცემული ინდ.ადმ.სამართლებრივი აქტები აიტვირთება eflow--ში, ასევე, ხდება მისთვის ნომრის მინიჭება და ტარდება ბრძანებების ჟურნალში. ელ.ფოსტებზე შემოსული დოკუმენტაცია(წერილები) გადამისამართდება შესაბამის პირთან. პასუხის მომზადებაც ასევე ელექტრონულად ხდება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.სკოლას აქვს ელექტრონული ფოსტის მისამართი(bolajuri@mes.gov.ge) და eflow, რომელზეც შემოდის/გადის კორესპოდენციები, ამას გარდა სკოლა მუშაობს spa.ge-ზე, rs.ge-ზე, eschool-ის ბაზაში და signature.ge-ზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.სკოლის პროფილში(eschool-ის ბაზა) სრულად არის ასახული მონაცემები მოსწავლეთა რაოდენობის, კლასების, მასწავლებლების, პერსონალი თაობაზე, ასევე, მოსწავლეთა მშობლების მონაცემები და მათი საკომუნიკაციო ინფორმაცია. ბაზაში განთავსებულია ინფორმაცია მასწავლებელთა სტატუსების, პერსონალის ხელფასის და დანამატების და საკომუნიკაციო საშუალებების თაობაზე. აქვეა მონაცემები არჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოების შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.სკოლა, თავისი კომპეტენციის ფარგლებში თანამშრომლობს საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს ადგილობრივ ორგანოსთან, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, სამინისტროს სსიპ-ებთან, საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ ინფორმაცია მიწოდებული აქვს საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის თავმჯდომარის და პრემიერ-მინისტრისათვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი
- Eflow-ს, eschool-ის, spa.ge-ს და rs.ge-ს დათვალიერება.
- ინტერვიუ საქმისმწარმოებელთან
- სკოლის წერილები და ანგარიშები

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს ვებ გვერდი, ხოლო სოციალურ ქსელში არსებულ გვერდზე ატვირთულია მასალები სკოლაში განხორციელებული აქტივობების თაობაზე. სოციალური ქსელის გარდა სკოლა წარმატებით იყენებს ე.წ.მესენჯერს, „ჩატებს“ და online საკომუნიკაციო სისტემებს. სკოლისაგან დამოუკიდებელი მიზეზით, ჯერჯერობით ვერ ხერხდება სკოლის ვებ.გვერდის ადმინისტრირება. მას შემდეგ, რაც შესაძლებელი იქნება ვებგვერდზე სკოლის დოკუმენტაციის განთავსება, სკოლას აქვს მზაობა, განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები.**სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის თანახმად, 2023 წლის 30 დეკემბრამდე განხორციელდება ვებ.გვერდის შექმნა.**

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია

2.როგორც ავღნიშნეთ, ამ ეტაპზე ვერ ხერხდება ოფიციალური ვებ.გვერდის ამუშავება, რის გამოც სკოლა ვერ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. **სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის თანახმად, 2023 წლის 30 დეკემბრამდე განხორციელდება ვებ.გვერდის შექმნა, სადაც განთავსდება სანდო და უტყუარი ინფორმაცია სკოლის მიერ შეთავაზებული/მიწოდებული ზოგადი განათლების სერვისის შესახებ.**

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია

3.სკოლის წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ საზოგადოებასთან კომუნიკაციისას უკუკავშირი არის ზეპირი ფორმის, უფრო სურვილის ფორმატში გადმოცემული, რომელიც ძირითადად ეხება სასკოლო გარემო პირობების გაუმჯობესებას(ეზოს კეთილმოწყობას).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს ვებ.გვერდი. სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის თანახმად, 2023 წლის 30 დეკემბრამდე განხორციელდება ვებ.გვერდის შექმნა, სადაც ქართულ ენაზე განთავსდება სანდო და უტყუარი ინფორმაცია სკოლის მიერ შეთავაზებული/მიწოდებული ზოგადი განათლების სერვისის შესახებ.

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია

5.ვებ.გვერდის უმოქმედობის გამო შეუძლებელია სკოლამ მასზედ განათავსოს რაიმე სახის ინფორმაცია/დოკუმენტი.
სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის თანახმად, 2023 წლის 30 დეკემბრამდე განხორციელდება ვებ.გვერდის შექმნა, სადაც განთავსებული იქნება მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობისშესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სოც.ქსელის გვერდის დათვალიერება
- ინტერვიუ დირექციასთან

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა ფინანსდება ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ვაუჩერით. სოფელ ბოლაჯურის სკოლა მცირეკონტიგენტიანია(93 მოსწავლე), სკოლა არ ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, მიუხედავად ამის, სკოლა არ არის დეფიციტური, სკოლის სახსრები იხარჯება 2023 წლის ბიუჯეტის შესაბამისად. სკოლა ამ ეტაპზე ახერხებს კომუნალური ხარჯების დაფარვას, ხოლო დანარჩენი ნაშთით იძენს სასწავლო პროცესისათვის აუცილებელ რესურსებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.სკოლას შემუშავებული აქვს ფინასური რესურსების მართვის მექანიზმები. სკოლის მიერ დათვლილი წლიური ფინანსური რესურსის(შემოსავლის) საფუძველზე შემუშავებული და დამტკიცებული აქვს 2023 წლის სახელმწიფი შესყიდვების გეგმა. აღნიშნულ გეგმაში ცვლილების განხორციელება ხდება დამდგარი საჭიროებიდან გამომდინარე, დირექტორის ინდ.ადმ.სამართლებრივი აქტის საფუძველზე. ვიზიტის დროს ვნახეთ სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლის შესყიდვების გეგმა, რომელშიც გაწერილია სასწავლო პროცესისათვის აუცილებელი რესურსის შესყიდვა, მაგრამ ამ რესურსების მოთხოვნის შესახებ არ არსებობს წერილობითი სახის დოკუმენტაცია შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მხრიდან(მაგ.:მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის სამსახურებრივი ბარათი, კათედრების ბარათები), რაც მიუთითებს იმაზე, რომ შესყიდვების გეგმა შედგენილია მხოლოდ დირექციის მიერ(რესპოდენტებმაც დაგვიდასტურეს). სკოლას მიეცა რჩევა, 2024 წლის შესყიდვების გეგმა შეადგინოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მოთხოვნათა გათვალისწინებით, ფართო ჩართულობის და საჯაროობის პრინციპების გათვალისწინებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023 წლის ბიუჯეტი, სამეურვეო საბჭოს შესაბამის ოქმთან ერთად.
- 2023 წლის შესყიდვების გეგმა(თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად).
- 2023 წლის ხელშეკრულებები(სასკოლო რესურსების შეძენასთან დაკავშირებით)
- სკოლის დირექტორის მ/შემსრულებლის 2022 წლის დეკემბრის ანგარიში ფინანსური რესურსის ხარჯვის თაობაზე.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლაში მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის მექანიზმს შეიცავს ამავე სკოლის შინაგანაწესი, რომელიც შემუშავებული და დამტკიცებულია სასკოლო საზოგადოების ფართო კონსენსუსის საფუძველზე. მოსწავლე დაცულია ნებისმიერი სახის ძალადობისაგან, როგორც სკოლის პერსონალის, ისე დანარჩენი მოსწავლეების მხრიდან. შინაგანაწესში ამომწურავადაა გაწერილი დისციპლინური გადაცდომების ის სახეები, რისთვისაც გათვალისწინებულია სახდელების შესაბამისი სახეობები. აღნიშნულის გათვალისწინებით, თუ მოსწავლის მიმართ განხორციელებული ქმედება შეიცავს გადაცდომის ნიშნებს, დამრღვევი პირის მიმართ ამოქმედდება შესაბამისი მექანიზმი. აღსანიშნავია, რომ სკოლას ამ დრომდე არ აქვს დისციპლინური წარმოების შემთხვევები. როგორც განგვიმარტეს, მოსწავლეებიც და მასწავლებლების(საერთოდ, პერსონალი) ადგილობრივი თემის მოსახლეა, რაც იწვევს საერთო ღირებულებების მიმართ მეტ პატივისცემას და დარღვევებიც მინიმუმამდეა დასული. ამას გარდა, მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმები გვხვდება მშობელსა/კანონიერ წარმომადგენელსა და სკოლას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში, სკოლის მიერ დამტკიცებულ რეფერირების წესში, სკოლის რესურსით სარგებლობის წესში და ა.შ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.როგორც ავღნიშნეთ, სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის მექანიზმები, რომელთა უმნიშვნელოვანესი ნაწილი თავმოყრილია შინაგანაწესში. აღნიშნული დოკუმენტის პროექტი ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. დამტკიცებამდე ხდება მისი განხილვა და პოზიციების შეჯერება, შინაგანაწესის გარკვეულ დებულებებს აცნობენ მშობლებს, ხოლო დამრიგებლები ინფორმაციას აწვდიან თავიანთ სადამრიგებლო კლასს. ამ დოკუმენტის მიღებაც საჯაროა, რადგან მისი დამტკიცება ხდება სკოლის უმაღლესი თვითმმართველი ერთეულის-სამეურვეო საბჭოს მიერ. რაც შეეხება დანარჩენ სასკოლო რეგულაციებს, მისი მიღებაც ხდება მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, ეს დოკუმენტაცია ასევე საჯაროა და გამოკრულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლაში ამ ეტაპისათვის ირიცხება 93 მოსწავლე. ვიზიტის პერიოდში გავეცანით მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულებებს, რომელიც კანონის ფარგლებშია და არეგულირებს მხარეების უფლება-მოვალეობებს. ხელშეკრულება გაფორმებულია ყველა მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი.
- სკოლასა და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება
- რეფერირების წესი
- ინტერვიუ

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.ვიზიტის პერიოდისათვის სკოლას არ ქონდა დოკუმენტირებული მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი, მიუხედავად ამისა, სკოლას აქვს მოსწავლისათვის სტატუსის შეჩერების შემთხვევა, კერძოდ, მშობლის 2023 წლის 24 თებერვლის განცხადების საფუძველზე სკოლამ სტატუსი შეუჩერა 11-ე კლასის მოსწავლეს, ასევე, სკოლას აქვს მოსწავლის როგორც მობილობის წესით თავისთან ჩარიცხვის, ისე ამორიცხვის გამოცდილება. ამის მაგალითად გამოდგება სკოლის დირექტორის მ/შემსრულებლის 2023 წლის 4 აპრილის N9 ბრძანება მოსწავლის მობილობის წესით ჩარიცხვის თაობაზე. აქვე გვხვდება სხვა სკოლაში გადასვლის გამო მოსწავლის ამორიცხვის ბრძანებაც(2022 წლის 29 ივლისის N31 ბრძანება). საფეხურის დაძლევის თაობაზე ინდ.ადმ.სამართლებრივი აქტი გამოიცემა სკოლის პედსაბჭოს ოქმის საფუძველზე, ყოველი სასწავლო წლის ივნისის თვეში(სასწ.წლის ბოლოს). სკოლას მიეცა რჩევა, 2023/24 სასწ.წლის დასაწყისშივე შეიმუშაოს და დაამტკიცოს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. Eschool-ის ბაზაში, ასევე, მატერიალურად არსებულ დოკუმენტებში(მოსწავლის პირადი საქმე) სკოლას მოწესრიგებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევა, მობილობის, სტატუსის შეჩერება/აღდგენის ფორმალური მხარე. პარალელურ რეჟიმში დავათვალიერეთ მოსწავლეთა პირადი საქმეები, სადაც ასევე მოწესრიგებულია იგივე საკითხები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. .სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების სერვისის მიწოდებას უზრუნველყოფს დაწყებით-საბაზო-საშუალო საფეხურებზე. აღნიშნული სერვისის შესახებ ძირითადი ინფორმაცია განთავსებულია სასკოლო-სასწავლო გეგმაში, რომლის დანერგვაც წარმოებს საგნობრივი კურიკულუმების მეშვეობით. აღნიშნული საკითხების შესახებ საზოგადოებას/მოსწავლეთა მშობლებს ინფორმაცია მიეწოდებათ სკოლის დირექციისაგან და მასწავლებლებისაგან. საამისოდ გამოყენებული აქვთ დასწრებითი შეხვედრების ფორმატი(მშობელთა კრება). მომავალი სასწ.წლიდან სკოლა გეგმავს, მის მიერ განხორციელებული ზოგადსაგანმანათლებლო სერვისის შესახებ საჯარო ინფორმაცია განათავსოს სკოლის ახლად შექმნილ ვებგვერდზე. ამ ეტაპისათვის სკოლას მოსწავლეებისათვის შეთავაზებული არ აქვს ფასიანი სერვისი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.როგორც ვღნიშნეთ, ამ ეტაპზე სკოლა ვერ ახერხებს პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ ინფორმაციის ოფიციალურ გვერდზე განთავსებას, ასეთი საკითხების თაობაზე ინფორმაციის გავრცელება ხდება ვერბალურ დონეზე, სკოლის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების, ასევე, მშობელთა გაფართოებული კრების ფორმატში. აღნიშნულ საკითხზე, სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაციის გადამოწმება, თუ რამდენად არის იგი შესაბამისი მოქმედ კანონმდებლობასთან, ვერ ხერხდება, თუმცა არც რაიმე სახის პრეტენზია ფიქსირდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ასევე, სკოლის პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ კანონმდებლობასთან წინააღმდეგობაში არ მოდის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- Eschool-ის ბაზის დათვალიერება.
- მოსწავლეთა პირადი საქმეები.
- დირექტორის მ/შემსრულებლის ბრძანებები მოსწავლისათვის სტატუსის შეჩერების, ბობილობის გამო სკოლიდან ამორიცხვის და მობილობის შედეგად სკოლაში ჩარიცხვის თაობაზე.
- ინტერვიუ

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას ამ ეტაპზე არ გააჩნია მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმების დოკუმენტირებული ვერსია, თუმცა პრაქტიკული თვალსაზრისით სკოლა დამრიგებლების მეშვეობით ახორციელებს მოსწავლეთა ადაპტაციას. როგორც ავღნიშნეთ, სკოლა მცირეკონტიგენტიანია, დაწყებით კლაებში მოსწავლეთა რაოდენობა მცირეა, აქედან გამომდინარე, სკოლას არ ჰყავს ადაპტაციის კოორდინატორი პირი. აღნიშნულ ფუნქციას ითავსებს პირველი კლასის დამრიგებელი, რომელიც თავის მოსწავლეებს აცნობს სკოლის ინფრასტრუქტურას, დანარჩენ მოსწავლეებს, მასწავლებლებს, აჩვევს წესრიგს მარტივი, მათივე ჩართულობით შექმნილი წესების საშუალებით. სკოლის პერსონალმა გასაუბრებისას დაგვიდასტურა, რომ პანდემიის შემდგომი პერიოდი განსაკუთრებულად დატვირთული იყო მოსწავლეთა სასკოლო გარემოსათვის დაბრუნების კუთხით(რასაც სკოლამ კარგად გაართვა თავი). **სკოლას მიეცა რჩევა,** 2023/24 სასწ. წლის მიმდინარეობისას შექმნას მოსწავლეთა ადაპტაციის მექანიზმების ამსახველი დოკუმენტი და განსაზღვროს კოორდინატორი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.როგორც სკოლის პერსონალმა აგვიხსნა, არდადეგებიდან დაბრუნებული მოსწავლეები, სასწავლო წლის დასაწყისის პირველ თვეებში საჭიროებენ მეტ ყურადღებას, სასკოლო გარემოს შეჩვევის თვალსაზრისით. ამ მიმართულებით, სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში მუშაობას ახორციელებენ კლასის დამრიგებლები, სკოლის დირექცია-ადმინიტრაცია ხელს უწყობს

ისეთი ტიპის აქტივობების დაგეგმვას და განხორციელებას, რომელიც დაეხმარება მოსწავლეებს სასკოლო გარემოსთან შეგუებაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.სკოლა სათანადო კონსულტაციას უწევს მოსწავლეებს შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების შესრულებასთან დაკავშირებით. მოსწავლეები იცნობენ შეფასების სისტემას, ასევე, მათთვის ცნობილია შეფასების რუბრიკების თაობაზე(თუ რა კრიტერიუმების მიხედვით გასწორდება მათი ნაშრომი). სკოლას არ აქვს ექსტერნის ან სემესტრული გამოცდის(საშემოდგომო გამოცდის) გამოცდილება, ინტერვიუს დროს აგვიხსნეს, რომ ამის საჭიროება არ ყოფილა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.როგორც ავღნიშნეთ, სკოლას არ აქვს ექსტერნის, სემესტრული ან საშემოდგომო გამოცდის ჩატარების პრაქტიკა საჭიროების არარსებობის გამო. მიუხედავად ამისა, სკოლა თავის მოსწავლეებს აწვდის ინფორმაციას ნიშნის მომატების პროცედურების, მობილობის განხორციელების, სტატუსის შეჩერება-აღდგენის და სხვა საკითხებთან დაკავშირებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5.სკოლას აქვს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის პრაქტიკა, ამის მაგალითად გამოდგება სამოქალაქო განათლების მასწავლებლის ინიციატივით დაფუძნებული კლუბის მუშაობის ამსახველი მასალები. აღნიშნულ კლუბს განხორციელებული აქვს როგორც სასკოლო, ისე საგრანტო პროექტები. ამ აქტივობების შედეგად მოსწავლეები ითვისებენ პროექტების მომზადების და განხორციელების უნარ-ჩვევებს, რაც დადებითად მოქმედებს მათ შემდგომ განვითარებაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6.როგორც წესი, ასეთი სახის უკუკავშირი ზეპირი ხასიათისაა.სკოლის პერსონალმა აგვიხსნა, რომ მოსწავლეთა თვითმმართველობა თანამშრომლობს სკოლის დირექციასთან, მათი მოთხოვნები უფრო კულტურულ-საგანმანათლებლო მიმართულებისაა, კერძოდ, ითხოვენ ლაშქრობების და ექსკურსიების მოწყობას, რასაც სკოლა შესაძლებლობების ფარგლებში უკმაყოფილებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა შემაჯამებელი დავალებები და შეფასების რუბრიკები.

- სამოქალაქო განათლების კლუბის მიერ მომზადებული და განხორციელებული პროექტები ა)მოსწავლეთა პროფესიული განათლების მიმართულებით და ბ)გენდერული საკითხების მიმართულებით

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლის 2022/23 წლის სასწავლო გეგმაში გათვალისწინებული არ არის პროფესიული ორიენტაციის საგაკვეთილო საათები, თუმცა სკოლაში იწვევენ სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს, ეცნობიან მათ საქმიანობას, ასევე, სკოლას ახლო კავშირები აქვს ახალციხის მუნიციპალიტეტში განთავსებულ პროფესიულ სასწავლებელთან(მოსწავლეები სტუმრობენ და ეცნობიან პროგრამებს). გასულ წელს სკოლის IX, X, XI და XII კლასის მოსწავლეები მასპინძლობდნენ ეროვნული თავდაცვის აკადემიის (იუნკერი) წარმომადგენელს, რომელმაც საინტერესო ინფორმაცია მიაწოდა მოსწავლეებს თავდაცვის აკადემიის შესახებ. აღნიშნულით დაინტერესდა მოსწავლეთა გარკვეული ნაწილი და სამომავლო პროფესიადაც იქნა მონიშნული სამხედრო საქმე. კლასის დამრიგებლები მოსწავლეებს აცნობენ ინფორმაციას მათთვის საინტერესო პროფესიებთან დაკავშირებით. სკოლაში ფუნქციონირებს სამოქალაქო განათლების კლუბი, რომლის მიერ განხორციელებულ პროექტებს შორის ერტერთი უმნიშვნელოვანესია პროფესიული კარიერის დაგეგმვის ხელსემწყობი უნარ-ჩვევების გამომუშავებასთან დაკავშირებული პროექტი „პროფესიული ორიენტაცია და კარიერის მართვა ახალგაზრდებში“. აღნიშნული პროექტის თაობაზე ინფორმაცია ფიქსირებულია წინამდებარე დასკვნის შესავალ ნაწილში **(VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა).**

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მოსწავლეებს აქვთ ინფორმაცია სავალდებულო ზოგადი განათლების მიღებასთან დაკავშირებით. ვიზიტის დროს დირექტორის მ/შემსრულებელმა აგვიხსნა, რომ ამ საკითხზე ინფორმირებულები არიან მშობლებიც. საბაზო საფეხურის დასრულების შემდეგ მოსწავლეს შეუძლია მიიღოს პროფესიული განათლება(ასევე, დაასრულოს ზოგადი განათლების მე-3

საფეხური). გარდა ამისა, სკოლას მოსწავლისათვის მიწოდებული აქვს ინფორმაცია სრული ზოგადი განათლების შეუზღუდავად მიღების შესახებ, რის შემდეგ ასევე შესაძლებელია პროფესიული თუ უმაღლესი განათლების მიღება.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.სკოლას არ აქვს გაწეული მომსახურების შეფასების დოკუმენტირებული მექანიზმი და არც რაიმე სახის ანგარიში არსებობს შეფასების შედეგების ეტაპობრივი დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებასთან დაკავშირებით. მომსახურების შეფასების მექანიზმად სკოლა ასახელებს კათედრებისა და პედსაბჭოს სხდომების ოქმებს, ასევე, მასწავლებლებისათვის ზეპირი სახის რეკომენდაციების მიცემას. ვიზიტის პერიოდში **სკოლას მიეცა რჩევა,** ხარისხის გაუმჯობესების მიზნით გამოიყენოს კითხვარები(ჩაატაროს კვლევა) და ინტერვიუები ფოკუსჯგუფებთან, ხოლო შედეგები გაითვალისწინოს შემდგომი სემესტრსი/სასწავლო წლისათვის.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამოქალაქო განათლების კლუბის მიერ განხორციელებული პროექტები(მასალები).
- ინტერვიუ

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლაში ამ ეტაპზე ჩარიცხულია 4 სსსმ მოსწავლე. სკოლას აქვს სათანადოდ აღჭურვილი რესურსოთახი, მოსწავლეებს ეხმარება სპეციალური მასწავლებელი(უფროსი მასწავლებლის სტატუსი აქვს). სკოლას

შემუშავებული აქვს ინდ.გეგმები, რომლებიც ვერ პასუხობს თანამედროვე სტანდარტს(არ არის შესაბამისობაში ესგ-სთან). ამასთან ერთად თვალშისაცემია ერთი მეტად მნიშვნელოვანი საკითხი. სსსმ მოსწავლის სტატუსი გააჩნია ორ მოსწავლეს(ძმები არიან), რომლებსაც არ აქვთ მკვეთრად გამოხატული რაიმე სახის დარღვევა, არც ჯანმრთელობის და არც გონებრივი მიმართულებით. როგორც გამოირკვა(სპეციალური მასწავლებელი გამოვკითხეთ), აღნიშნული ბავშვები, ჩვენთვის გაუგებარი მიზეზებით, დროის გარკვეულ მონაკვეთში დარჩენილები იყვნენ ზოგადი განათლების მიღების მიღმა. ჩვენთვის ასევე გაურკვეველი მიზეზებით, აღნიშნული მოსწავლეები ჩარიცხული იქნენ ასაკის შესაბამის კლასში, ისე, რომ არ მომხდარა მათი ცოდნის დიაგნოსტირება. ამის გამო მოსწავლეები ვერ ძლევდნენ სასკოლო პროგრამას, რაც ასევე გაურკვეველი მიზეზებით მიჩნეული იქნა გონებრივ ჩამორჩენილობად. აღნიშნულ მოსწავლეებს, რემედიაციის ნაცვლად დაუნიშნეს სპეციალური მასწავლებელი, მაგრამ საერთო მდგომარეობა არ გამოსწორებულა. იმის გამო, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი ინდ.გეგმები ვერ აკმაყოფილებს ელემენტარულ მოთხოვნებს და არ არის მორგებული მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნას, ხსენებული **VI** და **VII** კლასის მოსწავლეებისათვის **, 2023/24** სასწ.წლის დასაწყისში შემუშავენული იქნას რემედიაციის პროგრამა და სკოლამ განახორციელოს მის ხელთ არსებული ყველა შესაძლო აქტივობა, რათა დაძლეული იქნას გამოტოვებული კლასების საგნობრივი პროგრამები**. სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის თანახმად, 2023 წლის 30 დეკემბრამდე ინდ.გეგმები მორგებული იქნება ესგ-ს სტანდარტს და მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნებს.**

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია

2.ზემოთ მითითებულ მოსწავლეების მაგალითზე სკოლაში ვერ დავინახეთ სასკოლო საზოგადოების ჩართულობა და თანამშრომლობითი ურთიერთობები. მიუხედავად იმისა, რომ შექმნილია ისგ ჯგუფები და შედგენილია სტანდარტს აცდენილი გეგმები, შედეგები არ გაუმჯობესებულა. სპეციალურმა მასწავლებელმა დაგვიდასტურა, რომ მოსწავლეებს უჭირთ საგნობრივი პროგრამების დაძლევა, მაგრამ ისინი მაინც გადაჰყავთ კლასიდან კლასში, რაც სრულებით არ არის შესაბამისობაში ესგ-სთან. სკოლას მივეცით რჩევა, რემედიაციის პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებით, ასევე, გავეცით რჩევა, რომ სკოლამ უზრუნველყოს სოციალური სამსახურის შესაბამისი პირის(სოც.მუშაკის) ჩართულობა მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის საქმეში. სკოლას ვურჩევთ, რემედიაციის პროგრამის შემუშავებაში ჩართული იქნას დაწყებითი საფეხურის ყველა მასწავლებელი(იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ მოსწავლეებს გამოტოვებული აქვთ დაწყებით საფეხურის რამდენიმე კლასი).

ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2022/23 სასწ.წლის ინდ.გეგმები.
- ისგ ჯგუფების შექმნის ბრძანებები.

- ინტერვიუ სპეციალურ მასწავლებელთან და სკოლის დირექტორის მ/შემსრულებელთან
- შესაბამისობის გეგმა

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

   ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. გასული 2022/23 სასწ.წლის განმავლობაში სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლას თავისი მოსწავლეებისათვის ასეთი სახის მომსახურება არ შეუთავაზებია.
2. დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების შეთავაზება არ განხორციელებულა(სკოლას არ აქვს გაიჯარებული ფართები)
3. .ამ ეტაპზე, ასეთი სახის მომსახურება სოფელ ბოლაჯურის სკოლაში არ ხორციელდება.

   დასტურდება (მტკიცებულებები):

   კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

   .....

   .....

.....

.....

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.ზოგადსაგანმანათებლო დაწესებულების ავტორიზაციის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში აღნიშნულია,რომ სასწავლო წლის დასაწყისში ყველა მასწავლებელი თვითშეფასების საფუძველზე ადგენს საგნობრივ სასწავლო გეგმას(კურიკულუმი), რომლის მიხედვითაც წარიმართება სასწავლო პროცესი. საგნების მიხედვით თითოეული თემის ფარგლებში ხდება განხორციელებული საქმიანობის რეფლექსია. ყველა მასწავლებელი კათედრებთან თანამშრომლობით ქმნის და ავითარებს საკუთარ კურიკულუმს და ამის საშუალებით აჩვენებს გზას (აქტივობები , დავალებები, რესურსები) (გვ.51)აღნიშნული დადასტურდა პედაგოგთან საუბრისას,მან აღნიშნა, რომ სასწავლო წლის დასაწყისში კათედრაზე , მოხდა ახალი გამოწვევებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირება წინა წლის ანალიზზე დაყრდნობით, კურიკულიმის შემუშავებისას, გათვალისწინებულ იქნა კათედრის ყველა წევრის მოსაზრება, მოსწავლეთა საჭიროებები, შესაძლებლობები და ინტერესები. ცალკე საზოგადოებრივი მეცნიერებების (მე და საზოგადოება და ჩვენი საქართველო) კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია არ არის წარმოდგენილი, თუმცა, შესაბამისი ერთიანი დოკუმენტი უკვე არსებობს სკოლაში. მასწავლებლები ერთმანეთთან თანამშრომლობენ, კათედრებზე განიხილავენ განხორციელებულ აქტივობებს, მიმდინარე წლის პრობლემებს და მთელი წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე ქმნიან ახალ კურიკულუმებს. კათედრებზე აანალიზებენ განხორციელებულ კომპლექსურ დავალებებს და საჭიროებებიდან გამომდინარე ცვლიან მას, რისთვისაც იყენებენ კომპლექსური დავალებების ბანკს. თვითშეფასების კითხვარიდან ჩანს, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართული ჰყავთ მშობლებიც, ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა იმ საკითხებზე, თუ რა მექანიზმით უნდა განახორციელოს სკოლამ დაწყებითი საფეხურზე სასკოლო საზოგადოების მაქსიმალურად ჩართვა და მათი ინტერესების გათვალისწინება კურიკულუმის შემუშავება-დანერგვის პროცესში. სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლის მიერ მშობლების ინფორმირებას დამრიგებლები ახდენენ სოციალური ქსელის, მშობელთა კრებებისა და საინფორმაციო დაფების მეშვეობით. უცხო ენების კათედრის წევრთა ინფორმაციით, გაწერილია კურიკულუმის

განვითარების პროცესში მასწავლებლების ზოგადი ფუნქციები, რას და როგორ გაკეთებს მასწავლებელი; არ არის გაწერილი, ვინ და როგორ იყენებს შემუშავების, დანერგვისა და განვითარების ინსტრუმენტებს. სახელმწიფო ენის კათედრის წევრების თქმით, ამ ეტაპზე სასწავლო კურიკულუმის შედგენის პროცესში მშობელთა და მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხი შედარებით დაბალია. იმედოვნებენ, რომ გამოცდილება, პროცესებზე დაკვირვება უფრო დახვეწს მომავალში კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიას. გეგმავენ წაახალისონ მათი ჩართულობა მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის შექმნისას. კათედრა მზადაა გააგრძელოს მუშაობა, რათა კურიკულუმები მაქსიმალურად მორგებული იყოს სასკოლო საზოგადოებაზე. დაწყებითი კათედრის მასწავლებლებთან გასაუბრებამ კი მეტნაკლებად გამოკვეთა, ვინ, რა სახით მონაწილეობს კურიკულუმის შემუშავებაში. საგანში „კომპიუტერული ტექნოლოგიები“ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია არ არის წარმოდგენილი, თუმცა, მათემატიკის და ისტ-ის კათედრას ერთ-ერთ შეხვედრაზე N4 ოქმში განხილული აქვთ ეს საკითხი. კერძოდ; ოქმში წარმოდგენელია კურიკულუმის მეთოდოლოგიის შემუშავების საკითხი. საუბარია კურიკულუმის ჩარჩოზე მუშაობის მეთოდოლოგიაზე მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების მიხედვით და გამახვილებულია ყურადღება სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და წარმართვაზე (კერძოდ; რა მიზნით ვასწავლით საგანს: რა რესურსებს ვიყენებთ სწავლებისას (სასწავლო რესურსები); როგორ ვასწავლოთ (მეთოდები და სტრატეგიები); შეფასება (მოსწავლის მიღწევების შეფასება). ზემოთ მოყვანილი არგუმენტების გათვალისწინებით, კურიკულუმის მეთოდოლოგია შესამუშავებელი და მოსარგებია მე-3 თაობის ესგ-ს სტანდარტებს.**სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის თანახმად, 2023 წლის 23 ოქტომბრამდე განხორციელდა კურიკულუმის მეთოდოლოგიის დოკუმენტის შექმნა. აღნიშნული დოკუმენტი წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმასთან ერთად.**

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.სკოლაში არის კათედრის წევრებს შორის თანამშრომლობის დიდი გამოცდილება. კურიკულუმების შემუშავების პროცესში თითოეული პედაგოგის და ასევე მშობლის ინტერესების გათვალისწინება ხდება. სკოლაში ხორციელდება კომპლექსური დავალებების შედეგების ანალიზი, რაც საშუალებას აძლევს პედაგოგებს მოახდინონ პრობლემების იდენტიფიცირება და მომდევნო აქტივობების დაგეგმვა. თვითშეფასების კითხვარიდან ირკვევა, რომ საჭიროა სკოლაში შემუშავდეს ისეთი გამჭვირვალე მექანიზმები, რომლის საშუალებითაც პედაგოგები ადვილად დაინახავენ და გაზომავენ არამხოლოდ შედეგს, არამედ პროცესს. კურიკულუმში ასახულია მოსწავლეთა ინტერესები, შეხედულებები, პრიორიტეტები და შესაძლებლობები. მისი შემუშავება ხდება სკოლაში დასაქმებული მასწავლებლების, დირექტორისა და დირექციის წევრების აქტური მონაწილეობით. ისგ ჯგუფის მუშაობაში აქტიურად არის ჩართული მშობელი, როგორც კანონიერი წარმომადგენელი და უზრუნველყოფს მისი შვილის ინტერესებზე მორგებული სასწავლო პროცესის წარმართვას. უცხო ენების მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს განაცხადეს, რომ კათედრის ორივე საგნის თითოეული წევრი უშუალო მონაწილეა კურიკულუმში საერთო ინტერესებისა და ღირებულებების ასახვის პროცესის. სახელმწიფო ენის მასწავლებლები გასაუბრებისას აღნიშნავდნენ, რომ განსაკუთრებით კურიკულუმების შემუშავების პროცესშია გასათვალისწინებელი მოსწავლეთა შესაძლებლობები, პრიორიტეტები და ინტერესები. კერძოდ, მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობებით. ახალი სასწავლო წლიდან იგეგმება შერჩეულ კლასებში კომპლექსური დავალებების განხორციელება, რითაც იმედოვნებენ, რომ სასწავლო პროცესი მეტად საინტერესო გახდება მოსწავლეთათვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.მასწავლებელთა ინფორმაციით, სასკოლო საზოგადოების წევრები (ამ ეტაპზე ადმინისტრაცია, მასწავლებლები) მონაწილეობდნენ და ახლაც ჩართულნი არიან კურიკულუმის შემუშავების პროცესში, მათ ჩართულობას ფორმალური და ფრაგმენტული სახე არ აქვს. ისინი გუნდურად ცდილობენ სიახლეების დანერგვას, კურიკულუმების წესრიგში მოყვანას და ა.შ. გააზრებული აქვთ, რომ კურიკულუმის შემუშავება ციკლური პროცესია და მასში ჩართულობა გულისხმობს მთელი წლის მანძილზე მიმდინარე პროცესებში თანამონაწილეობას. კურიკულუმის მიმდინარე ვერსია, რომელიც ავტორიზაციის პროცესში წარმოადგინეს, გასაუბრებით დადასტურდა, რომ იყო გაზიარებული და შეთანხმებული. თვითშეფასების კითხვარის ანალიზისა და გასაუბრების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დაწყებითი საფეხურის, საზოგადოებრივი მეცნიერებების, კერძოდ, მე და საზოგადოება და ჩვენი საქართველოს კურიკულუმები შექმნილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, შემუშავების პროცესში აქტიურად თანამშრომლობდნენ კათედრის წევრები და ითვალისწინებდენენ ერთმანეთის მოსაზრებებს. სადამრიგებლო საათისა და მშობელთა შეხვედრების ფარგლებში მიმდინარეობს შედეგების გაანალიზება, თუმცა 2023-24 წლიდან გეგმავენ სხვადასხვა აქტივობებს სასკოლო საზოგადოების მაქსიმალურად ჩართვის მიზნით. მშობლებთან გამოიყენებენ კითხვარის შევსების ფორმატს. მოსწავლეებთან - დღიურის წარმოებას, ხოლო მასწავლებლები პროცესზე დაკვირვებით აღწერენ და კოლეგებს გაუზიარებენ ინფორმაციას თითოეული მოსწავლის მიღწევების შესახებ. კათედრის წევრები იმსჯელებენ მოსწავლეთა ძლიერ და სუსტ მხარეებზე, რაც გათვალისწინებული იქნება შემდგომ მუშაობაში. განისაზღვრება დაწყებითი საფეხურის ფარგლებში მისაღწევი შედეგები, რომელიც ჩაიშლება საფეხურის შიგნით განსახორციელებელ აქტივობებში. ავტორიზაციის განაცხადის წარდგენის ეტაპზე სკოლას სახელმწიფო ენაში კურიკულუმის ჩარჩოებში შევსებული ჰქონდა მხოლოდ თემის, კონტენტ მაგალითებისა და რესურსების გრაფა. ვიზიტისას კი შედარებით დახვეწილი დოკუმენტაცია იქნა წარმოდგენილი- V-VI კლ. კურიკულუმებში ჩაშენებულია შუალედური მიზანები. კერძოდ, ახალი სასწავლო წლის დასაწყისისთვის გაწერილი აქვთ 2-2 კომპლექსური დავალება სავალდებულო სამიზნე ცნებების და სარეკომენდაციო თემების (დაწყებით საფეხურზე) მიხედვით მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღწერეს მუშაობის ეტაპები და აქვს მზაობა, რომ სამომავლოდაც იმუშაონ შუალედური მიზნებით. დაწყებითი კლასების კურიკულუმი წარმოდგენილია სხვადასხვა დიზაინით. მასწავლებლებმა გასაუბრებისას დააზუსტეს, რომ გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოს ელოდებოდნენ 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე და აუცილებლად გადაიტანენ ახალ ჩარჩოში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. კურიკულუმის ჩარჩოები შემუშავებული და გაზიარებულია კათედრებზე. კურიკულუმის გაზიარების და ინფორმაციის მიწოდების მიზნით, სკოლაში პერიოდულად ტარდება შეხვედრები მშობლებთან, რომელთაგანაც ღებულობენ ზეპირ უკუკავშირს. კურიკულუმის საბოლოო ვერსია განთავსებულია კლასებისა და მასწავლებლების დახურულ ჯგუფებში, რაზეც წვდომა სკოლის ყველა თანამშრომელს და მშობელს აქვს. სკოლის პედაგოგების მიერ საზოგადოებრივი მეცნიერებების (მე და საზოგადოება და ჩვენი საქართველო) კურიკულუმები შემუშავებული და გაზიარებულია დაწყებითის კათედრაზე. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ისაუბრეს, როგორ ხდება მათი მხრიდან მოსწავლის ბარათების გაზიარება მშობლებისთვის

სხვადასხვა პლატფორმის დახმარებით. ყველა მათემატიკის პედაგოგს აქვს მიკუთვნებულობის განცდა სასკოლო კურიკულუმის მიმართ, როგორც ყველას პროდუქტი - ასე აღიქვამენ. სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა თითეული მათგანისთვის, აღნიშნეს რომ აქვთ ამობეჭდილიც კათედრაზე, ჩანდა კადრშიც გასაუბრების დროს. სახელმწიფო ენის მასწავლებლებმა საუბრისას გააჟღერეს, რომ კათედრის დონეზე ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ კურიკულუმებს. აქვთ კომუნიკაცია დამრიგებლებთან. მასწავლებლები შედარებით ამომწურავ ინფორმაციას, თუ რა იგეგმება მათი შვილების კლასებში საგნობრივი კურიკულუმის დონეზე, აწვდიან დაინტერესებულ მშობლებს. აღიარებენ რომ ყველა მშობელის დაინტერესება ამ კუთხით, ჯერჯერობით ვერ შეძლეს. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ სკოლის საგნობრივი კურიკულუმების გაცნობა/გაზიარება ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია. ასევე შუალედურ მიზნებს მშობლებს აცნობენ ე.წ კომპლექსური დავალების ბარათებით. გასაუბრებისას დაწყებითის კლასებში დადასტურდა აღნიშნული.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა
- საგნობრივი კურიკულუმები (მუსიკა/ხელოვნება)
- დამრიგებლის მშობელთა კრების ოქმი.(დანართი 4);
- მასწავლებლებთან ინტერვიუ;
- ისგ ოქმები და ინდ გეგმა (დანართი2);
- მშობელთა კომუნიკაციის კითხვარი (დანართი 3);
- სკოლის 2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის დაწყებითი საფეხურის კლასების კურიკულუმი;
- სახელმწიფო ენისა და ლიტერატურის კათედრის სხდომის ოქმი ;
- ხარისხის მართვისა და განვითარების ჯგუფის დებულება
- შესაბამისობის გეგმა
- კურიკულუმის შექმნის მეთოდოლოგიის დოკუმენტი

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწყებითი საფეხურის საგნობრივი (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/ მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე. უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომელიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად და თავისთავად ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. დაწყებითი საფეხურის მუსიკის/ხელოვნების კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების, საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ რომ მასწავლებელი სწავლა სწავლების პროცესში მოიაზრებს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას და ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. ამიტომ შესაძლებელია დავასკვნათ, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები (მე და საზოგადოება და ჩვენი საქართველო) არის მოსწავლეზე ორიენტირებული, ასაკობრივი შესაძლებლობების მიხედვით შემუშავებული და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დანერგვისა და განვითარების გზას, რაც გამოჩნდა მათ მიერ წარმოდგენილ როგორც განხორციელებულ, ასევე დაგეგმილ კომპლექსური დავალებებში, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის ინტერესები და შესაძლებლობები. “მე და საზოგადოების” და “ჩვენი საქართველოს” კურიკულუმებში ძირითად წარმოდგენილია კომპლექსური დავალების იდეები, რომელიც აგებულია მოსწავლეთა საჭიროებების და ინტერესებიდან გამომდინარე. თვითშეფასების კითხვარიდან ირკვევა, რომ რადგან კურიკულუმებს სასწ. წლის დასაწყისში შეიმუშავებენ, ვერ ხერხდება ყველაფრის გათვალისწინება (ყველა მოსწავლის ინტერესი, შესაძლებლობა), თუმცა მუშაობის პროცესში ახდენენ ლავირებას. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს გამოკვეთეს სამომავლო ხედვა, ისაუბრეს გამოცდილებაზე კომპლექსური დავალებების განხორციელების კუთხით. სწორი აქცენტები გააკეთეს კომპლექსური დავალების, როგორც შუალედური მიზნის მნიშვნელობაზე, როგორც გრძელვადიანი მიზნის

მიღწევის საშუალებაზე. სკოლას სახელმწიფო ენაში კურიკულუმის ჩარჩოებში შევსებული ჰქონდა მხოლოდ თემის, კონტექტ მაგალითებისა და რესურსების გრაფა. ვიზიტისას კი შედარებით დახვეწილი დოკუმენტაცია იქნა წარმოდგენილი. დაწყებითი საფეხურის I, II, V,VI კლასების კურიკულუმის ჩარშოებში გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით გაწერილი აქვთ 2-2 კომპლექსური დავალება სავალდებულო სამიზნე ცნებების და სარეკომენდაციო თემების (დაწყებით საფეხურზე) მიხედვით მასწავლებელებმა გასაუბრებისას აღწერეს მუშაობის ეტაპები და აქვს მზაობა, რომ სამომავლოდაც იმუშავონ შუალედური მიზნებით. დაწყებითი კლასების კურიკულუმი წარმოდგენილია სხვადასხვა დიზაინით. მასწავლებლებმა გასაუბრებისას დააზუსტეს, რომ გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოს ელოდებოდნენ 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე და აუცილებლად გადაიტანენ ახალ ჩარჩოში. შუალედური მიზნები, რამდენიმე კოპმლექსური დავალების მიხედვით თემატური მატრიცა, საიდანაც იკითხება, რომ კურკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილების გააქტიურებაზე. V-VI კლასებში შედარებით მკაფიოდ ჩანს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვა (III და I V კურიკულუმის ჩარჩო ახალ დიზაინში აქვთ შესავსები) მასწავლებლები მიუთითებენ, რომ დაწყებით საფეხურზე თითეული მასწავლებელი ითვალისწინებს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის მისაღწევ შედეგებსა და გრძელვადიან მიზნებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. მასწავლებელთა მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები დაგეგმილია ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტების მოთხოვნის შესაბამისად და განსაზღვრავს დაწყებითი საფეხურის შედეგებს. კურიკულუმებში გაწერილია სამიზნე ცნებები, გრძელვადიანი მიზნები, შერჩეული მიზნების შესაბამისი საკითხები, ხოლო შუალედურ მიზნად განსაზღვრულია კომპლექსური ტიპის დავალებები, სადაც მოსწავლე აკავშირებს საკუთარ ცოდნას, ახალ ცოდნას, უნარებსა და ღირებულებებს . სპორტის მასწავლებლებმა შეხვედრისას ისაუბრეს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში განსახორციელებელ კომპლექსურ დავალება სპორტულ ფესტივალზე, რომელიც გუნდური, თანამშრომლობითი, შემოქმედებითი, კომუნიკაციური უნარების განვითარებაზე იქნება ორიენტირებული. სახელმწიფო ენის დაწყებითი საფეხურის, განსაკუთრებით, I, II, V,VI კლასების კურიკულუმის ჩარჩოებში გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით წარმოდგენილია თემები, შუალედური მიზნები, რამდენიმე კოპმლექსური დავალების მიხედვით თემატური მატრიცა, საიდანაც იკითხება, რომ კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები); თვითშეფასების კითხვარში სკოლა აცხადებს, რომ მოსწავლეებში გლობალური უნარების განვითარებას, არა მარტო კომპლექსური დავალებებით, არამედ პროექტული სწავლებითა და თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების კითხვარების გამოყენებით ააქტიურებენ გლობალურ კოგნიტურ უნარებს. გასაუბრებისას მასწავლებლებმა გამოკვეთეს, რა კავშირია კურიკულუმი მორგებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, სამიზნე ცნებებს შედეგებსა და XXI საუკუნის ისეთი უნარებ შორის, როგორიცაა; კრიტიკული აზროვნება, ურთიერთობა, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ლიდერობა, დროის მოქნილობა, ხასიათი. დაწყებით კლასებში მასწავლებლები აქტიურად იყენებენ ხარაჩოს მეთოდს,რაც ხელს უწყობს მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურებას და ემსახურება კონსტრუქტივიზმის 5 პრინციპს. დაწყებითი საფეხურის წლიური კურიკულუმები მათემატიკაში დაგეგმილია საგნობრივი სტანდარტისა და გრიფირებული სახელმძღვანელოების მიხედვით, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, სასწავლო პროცესი დაგეგმილია სავალდებულო თემებით, რომლის ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი მე-3 მე-6 კლასებში

ჩანს თუ რა საგნობრივ საკითხებს, კომლექსურ დავალებებს, თემებს, ძირითად რესურსებს, შეფასების ინსტრუმენტებს სთავაზობს სკოლა საკუთარ მოსწავლეებს პიროვნული განვითარებისთვის და ასევე ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც მოსწავლე განიხილება, როგორც კონკრეტული გამოცდილების, ინტერესებისა და მზაობის მქონე ინდივიდი, ეს კი თავის მხრივ გულისხმობს დიფერენცირებულ სწავლის მიდგომებს. მასწავლებლები სსსმ მოსწავლეებისთვის ადგენენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს, რომლის ფარგლებშიც მაქსიმალურად ხდება მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინება. ისინი თავიდანვე მუშაობენ კომპლექსური დავალებებისა და შეფასების ინსტრუმენტების მოდიფიცირებაზე, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიური გარემოს შექმნას სსსმ მოსწავლეებისთვის, თუმცა რიგ შემთხვევებში გადასახედია სსსმ მოსწავლეთა ისგ. მომავალში დაგეგმილი აქვთ სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობით პროცესის განვითარება, მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების მაქსიმალური გათვალისწინება კურიკულუმის დაგეგმვის დროს და პროცესის უწყვეტი მონიტორინგი.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
4. დაწყებით საფეხურზე მტკიცებულების სახით წარმოდგენილია ზოგადი სახის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები: საშინაო და ტესტური დავალების შეფასების რუბრიკა, პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა, საგაკვეთილო მასალის ცოდნის შეფასების რუბრიკა. კათედრის ფარგლებში წარმოდგენილია, საგნობრივი ანგარიში მათემატიკაში და ოქმი, სადაც ჩანს რომ მასწავლებლები მოსწავლის შესახებ აგროვებენ მონაცემებს, ახდენენ ჩატარებული შემაჯამებელი დავალების ანალიზს, რათა შეძლონ მათი საჭიროებების დადგენა და მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე სწავლის ხარისხის გაუმჯობესება. ასევე კათედრის სხდომის ოქმიდან ჩანს, რომ სკოლაში განმავითარებელი შეფასება ხორციელდება როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი ფორმით, რაც დასტურდება წარმოდგენილი მტკიცებულებით (განმავითაირებელი შეფასება-excel ცხრილი-2021-2022 წწ). ამ ეტაპზე დაწყებითი საფეხურის კათედრის წევრები მუშაობენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნასა და დახვეწაზე შერჩეული კომპლექსური დავალებებისთვის, ასევე დიაგნოსტირების ჩატარებას. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
5.თვითშეფასების კითხვარიდან ირკვევა, რომ პედაგოგები დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას, კერძოდ, ახდენენ შედეგების ანალიზს და მის საფუძველზე ქმნიან განახლებულ კურიკულუმებს. მასწავლებლები უზიარებენ ერთმანეთს საკუთარი პედაგოგიური საქმიანობის წლიურ ანგარიშებს. აკეთებენ უკუკავშირს, რეფლექსიას, იზიარებენ კოლეგების გამოცდილებას კურუკულუმების, სასწავლო პროექტების, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებებისა, თუ სასწავლო პროცესში გამოყენებული აქტივობების შესრულების შესახებ. მტკიცებულებით წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის საგნობრივი (კომპიუტერული ტექნოლოგიები II-VI კლასები) ჩარჩო კურიკულუმებიდან იკვეთება, რომ სკოლას გათვალისწინებული აქვს დაგეგმვის პროცესში წინარე გამოცდილება. გრძელვადიან მიზნად განსაზღვრული აქვს სამიზნე ცნებები, ხოლო შუალედური მიზანი კომპლექსური ბუნების დავალების სახითაა წარმოდგენილი. მასწავლებელმა ინტერვიუზე აღნიშნა, რომ კურიკულუმის დაგეგმვისას გაითვალისწინა წინა წლის გამოცდილება, საგნობრივი სტანდარტის მიხედვით სამიზნე ცნებები, დამატებითი რესურსები. მტკიცებულების სახით წარმოდგენილია ასევე 2022-2023 სასწავლო წლის დაწყებითი კლასების კათედრის სამოქმედო გეგმა, სადაც ახალი სასწავლო წლის პირველ სხდომაზე განსახილველი ერთ-ერთი საკითხია „საგნობრივი სასწავლო გეგმის კურიკულუმის შემუშავება“ აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე

შეიძლება დავასკვნათ, რომ დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- თვითშეფასების ფორმა
- კათედრის ოქმები
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

სკოლაში არ არის კომპიუტერული ლაბორატორია, შესაბამისად, საფრთხე ექმნება ისტ-ს კურიკულუმის განხორციელებას დაწყებით საფეხურზე. (საფუძველი: ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი)

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სახელმწიფო ენის კათედრაზე წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები, რამდენიმე თემატური მატრიცა, პროექტები და სხვადასხვა აქტივობების დოკუმენტაცია, ასევე მასწავლებელებთან გასაუბრება საშუალებას გვაძლევს, ვივარაუდოთ, რომ კურიკულუმის განხორციელებისას პედაგოგები დიდ ყურადღებას უთმობენ კონსტრუქტივისტულ პრინციპებს. მაქსიმალურად ცდილობენ შექმნან მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემო, სადაც მოსწავლეს შეუძლია დამოუკიდებლად აზროვნება, ცოდნის კონსტრუირება-შენება. მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ, რომ თავად ისინი ამ პროცესში ასრულებენ ფასილიტატორის როლს. პედაგოგების მხრიდან ხდება მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების გათვალისწინება და ამის შესაბამისი თემების, მასალების, კომპლექსური დავალებების, რესურსების და აქტივობების შერჩევა. სწავლა-სწავლების პროცესს ამდიდრებენ რესურსებით, კოგნიტური სქემებით, ასოციაციური რუკებით და ა.შ, რაც მოსწავლეს ეხმარება საკითხის კრიტიკულად გააზრებასა და შემოქმედებითი უნარების განვითარებაში. გასაუბრებისას მასწავლებლები თავიანთი პედაგოგიური გამოცდილებისა და წინარე სასწავლო წლის რეფლექსიის საფუძველზე გამოთქვამდნენ სურვილსა და მზაობას, რომ მათ მიერ დაგეგმილი სწავლა-სწავლების პროცესმა ხელი შეუწყოს აქტიურ სწავლებასა და მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გაღვივებას. ამისთვის დიფერენცირებული სწავლების პრინციპებს დაეფუძნებიან. მოსწავლებს შესთავაზობენ, ისეთ აქტივობებს, სადაც თვითონ მოსწავლემ უნდა შექმნას პროდუქტი და აქტიურ, შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას მისცემს მათ. ამდაგვარად შემოქმედებით პროცესთან ერთად ცოდნის კონსტრუირების პროცესსაც ეყრება საფუძველი. კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რომლებიც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს შეიძინონ ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. მოსწავლეები შუალედურ მიზანზე მუშაობენ, როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად, ინაწილებენ მოვალეობებს. ინოვაციური პროექტების განხორციელება და კლუბური მუშაობა ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებითი, სააზროვნო, გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევების წარმოჩენას. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ავტორიზაციის მაძიებლობის განაცხადის შევსებიდან ვიზიტამდე კურიკულუმის ჩარჩო გაამდიდრეს. სასურველია, სამივე საფეხურზე

დაიგეგმოს უფრო მეტი კომპლექსური დავალება, რაც სასწავლო პროცესში კონსტრუქტივიზმის პრინციპების დამკვიდრებას უზრუნველყოფს. დაწყებითი საფეხურზე განხორციელებული ფორმალური და არაფორმალური აქტივობები, რომელიც გასაუბრების დროს აღწერეს, ასევე მათემატიკის ახალ კურიკულუმში შეტანილი დავალებები, საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. მათემატიკის მასწავლებლები სასწავლო პროცესში იყენებენ ელ. რესურსებს და უახლოეს პერიოდში სასურველია სრულად ასახონ კურიკულუმში რესურსების ველში. გააზრებული აქვთ, რომ ახალი მასალის, ინფორმაციის დამუშავების პროცესში მასწავლებლის როლი არის ორგანიზებული მიზნობრივი გარემოს შექმნა, სადაც გამოწვევები დაკავშირებული იქნება მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართული იქნება სამიზნე ცნებების გააზრებაზე. კათედრა ამ ყველაფრის საფუძველზე ასაბუთებს, რომ სასწავლო პროცესი ხელს უწყობს აქტიურ სწავლასა და მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივებას. სკოლაში მთელი სასწავლო წლის განმავლობაში ხორციელდება სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები,.მაგ: 26 მაისის აღსანიშნავად გამართული ღონისძიება. რუსულის მასწავლებელმა განახორციელა პროექტი „ნაციონალური საყვარელი კერძები“, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეებმა შეძლეს მიღებული ცოდნის ინტეგრირება ყოველდღიურ ცხოვრებაში. გასაუბრების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ 2023-2024 სასწავლო წელს იგეგმება პროექტები რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესებში ჩართულობას , ასევე მოსწავლეებში შინაგანი მოტივაციის ზრდას, ჩამოუყალიბდებათ პოზიტიური დამოკიდებულებები და გაიზრდება მათი აქტიურ ,შემოქმედებით პროცესში ჩართულობა.2023-2024 სასწავლო წელს იგეგმება რუსულენოვან სკოლებთან თანამშრომლობა რუსული ენის სწავლების გაძლიერებისთვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით; ინტერვიუს დროს საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის წევრებმა ისაუბრეს დაგეგმვის პროცესში წინარე გამოცდილების ანალიზზე, თუ როგორ ხდება სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეთა წინარე ცოდნის გათვალისწინება და მასზე დაყრდნობთ ახალ კურიკულუმის აგება, სადაც თითოეული მოსწავლის მზაობა, შესაძლებლობები და ინტერესებია გათვალისწინებული. წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმში (მე და საზოგადოება და ჩვენი საქართველო) კათედრას განსაზღვრული აქვს კომპლექსური დავალებები, როგორც შუალედური სასწავლო მიზნები და გეგმავს კომპლექსური დავალებებით სწავლებას და პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით. სპორტის კურიკულუმში წარმოდგენილი თემები, მოსწავლისთვის შეთავაზებული თანამშრომლობითი სპორტული აქტივობები, მოძრავი თამაშები მათი შინაგანი ძალების გააქტიურებას უწყობს ხელს და ეხმარება სასწავლო პროცესს მოსწავლის გამოცდილებას მიუახლოვდეს რაც მისი ეფექტიანობის წინაპირობაა. სასწავლო პროცესი დაწყებით საფეხურზე ხელს უწყობს ახალი ცოდნის კონსტრუირებას მოსწავლის წინარე ცოდნაზე დაყრდნობით, დასტურდება კურიკულუმით, ინტერვიუს დროს ხაზგასმული სასწავლო პროექტებით, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებებით, სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალებით/რესურსებით. სკოლის მიერ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების ბარათები მოსწავლისათვის ნაცნობ კონტექსტშია განხილული, რომელიც დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას, დამუშავებასა და გააზრებაში. კურიკულუმის თემა, თემის საკვანძო შეკითხვები, სასკოლო პროექტების ინიცირების წახალისება და მოსწავლისთვის საინტერესო არაფორმალური განათლების ელემენტები - ეს ყველაფერი ეხმარება მოსწავლეს ახალი ცოდნის კონსტრუირებაში წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. საზოგადოებრივი მეცნიერებების (მე და საზოგადოება და ჩვენი საქართველო) კურიკულუმში კათედრას განსაზღვრული აქვს კომპლექსური დავალებები, რომლის განხორციელების დროსაც მოსწავლეები არა მხოლოდ საბოლოო პროდუქტს შექმნიან, არამედ დააკვირდებიან საკუთარი სწავლის პროცესსაც. სკოლის მიერ მხარდაჭერილია მოსწავლის რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე. მოსწავლის მიერ შესრულებული დავალებების ანალიზი: რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, რა ხელშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა, როგორ გაუმკლავდა ამ ფაქტორებს, რისი პრევენცია შეიძლებოდა თავიდან დაგეგმვის შემთხვევაში. ამ მიმართულებით სკოლა გააგრძელებს მოსწავლეთა მხარდაჭერას და აქცენტი გაკეთდება სწავლის სწავლაზე. სახელმწიფო ენის კათედრის მიერ დამატებით მოწოდებულ თემატურ მატრიცებში წარმოდგენილია კითხვები: რა იყო შენთვის ყველაზე მეტად საინტერესო, რომელსაც აუცილებლად გამოიყენებ პრაქტიკაში? რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? რას გააკეთებდი სხვაგვარად ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას? მსგავსი ფორმის, ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია? შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება თანაკლასელების ნაშრომებისგან? ეს ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. მოსწავლეებს უვითარდება მეტაკოგნიტური უნარები. მოსწავლეები კიდევ ერთხელ გაიაზრებენ მუშაობის პროცესს, ნამუშევრის ძლიერ მხარეებს, ფიქრობენ ხარვეზების გამოსწორების გზებზე. მოსწავლეთა მეტაკოგნიტური უნარების განსავითარებლად მასწავლებელი იყენებს სხვადასხვა აქტივობებს, რათა მოსწავლემ თავად შეიმეცნოს ახალი იდეები, შეძლოს მოცემული ინფორმაციის დახარისხება საჭირო მონაცემების ამოკრება და სწორი გადაწყვეტილების გამოტანა, ამ პროცესებში მასწავლებელი თვალყურს ადევნებს, რათა მოსწავლემ არ გადაუხვიოს სწორ მიმართულებას და არასასურველი შედეგი არ მიიღოს, უნდა აღინიშნოს, რომ კომპლექსური დავალების დანერგვის პროცესები სწორედ სწავლის-სწავლაზე არის ორიენტირებული, რათა გათვალისწინებულია მოსწავლი შინაგანი მოტივაციის ზრდის აქტივობები, ამ პროცესებში ხელისშემწყობია დიფერენცირების სწავლების მიდგომები, სადაც ხდება სასწავლო მასალის დიფერენცირება, დროის, რესურსების. მოსწავლე გრძნობს თავს პოზიტიურ გარემოში ის დაცულია არასწორი კრიტიკისგან ამიტომ თავად აფასებს თავის ნაშრომს, საჭიროების შემთხვევაში ცვლის დასკვნას რაც აუმჯობესებს შედეგებს, ასევე შეფასების პროცესში ახდენს დაკვირვებას თუ როგორ განავითაროს იდეები. სასწავლო კურიკულუმებში ძირითადად აქცენტი კეთდება სწავლა-სწავლების მართებულ ხერხებსა და მიდგომებზე. ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებაზე. სასწავლო პროცესში ძირითადი აქცენტი კეთდება სწავლის სწავლების ხარისხის ამაღლებაზე. მასწავლებელთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, რადგან მასწავლებელი ცდილობენ თავიან მოსწავლეებს დაეხმარონ მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაში. სწავლა-სწავლების პროცესში ყურადღება მახვილდება ისეთ მასალაზე, რომელიც შეიცავს მოსწავლეების განსხვავებულ ხედვებს, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებას, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, მოსაზრებების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. მასწავლებელთა გასაუბრებიდან და წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე გამოჩნდა, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული);რაც აისახება საგნობრივ პროგრამებში, კომპლექსურ დავალებებსა და არაფორმალურ აქტივობებში. ორიენტირება ცოდნის სამივე კატეგორიაზე უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში საკითხის გააზრებას, არსობრივ წვდომასა და სხვადასხვა კონტექსტში ცოდნის გამოყენებას. სპორტის კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში გაწერილ საკითხები, წესების ცოდნას ითვალისწინებს, სასწავლო სიტუაციები, ტექნიკური ელემენტები, ვარჯიშები, რომელსაც მასწავლებელი მოსწავლეს სთავაზობს და სხვადასხვა აქტივობებით მრავალჯერ ამეორებინებს პროცედურულ ცოდნას, ხოლო მოსწავლეთა ჩართულობა მოძრავ თამაშებში, ფესტივალებში პირობისეულ ცოდნას განაპირობებს.

დაწყებითი საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების (მე და საზოგადოება და ჩვენი საქართველო) შექმნილ კურიკულუმებში კომპლექსური დავალება განსაზღვრულია შუალედური სასწავლო მიზნით, ინტერვიუს დროს კათედრის წევრებმა ისაუბრეს მათ მიერ დაგეგმილი კომპლექსური დავალებებით სწავლა-სწავლებასა და დავალების პირობის სრულყოფაზე ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, ასევე კომპლექსური დავალების მუშაობის პროცესში გაითვალისწინებენ ცოდნის სამივე კატეგორიას და სწორედ ამ პრინციპით მოხდა მათ მიერ შერჩეული დავალებების იდეის შერჩევა ორივე საგანში, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების პროცესის სწორ წარმართვას. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში მოსწავლეები არა მხოლოდ თეორიულ ცოდნას ღებულობენ, არამედ მიღებულ ცოდნას იყენებენ პრაქტიკაში და ქმნიან საბოლოო პროდუქტს, რაც ნიშნავს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. მასწავლებლები აქტიურად იყენებენ კითხვის დასმის სტრატეგიებს, ჯგუფურ და ინდივიდუალურ მუშაობას და საბოლოოდ მოსწავლე კომპლექსური დავალების სახით ქმნის პროდუქტს. ამ ყველაფერში გათვალისწინებულია სააზროვნო უნარების განვითარება, რომელიც ხელს უწყობს ცოდნის სამივე კატეგორიის განვითარებას.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. როგორც სკოლის ავტორიზაციის თვითშეფასების ფორმაში ვკითხულობთ სკოლას აქვს გამოცდილება ინტეგრირებული სწავლების. ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთ დაკავშირება იკვეთება ასევე დაწყებითი საფეხურის ხელოვნების და მუსიკის კურიკულუმებში.ორივე საგანში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები დაწყებით საფეხურზე ეხება კონკრეტულ ქვეცნებას, რომელიც უკავშირდება სამიზნე ცნებებს, იგივე სამიზნე ცნებები უკავშირდება მონათესავე ბუნების სხვა საკითხს, ამ კავშირების დანახვა და გააზრება წარმოადგენს ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. გარდა ამისა მსაწავლებელმა დაასახელა ინტეგრირებული პროექტები,რომლიც ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთან ერთად განახორციელა.
ინდიკატორიდაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიია; (დრაფტ-ვერსია)
- დაწყებითი კლასების კურიკულუმი;
- დაწყებითი კლასების (ოთხწლედის) ოქმი;
- მასწავლებლთა პორტფოლიოები;
- ინკლუზიური განათლების განხორციელების გეგმა;
- პროექტები;

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; სკოლას დაწყებით საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნებში: ,,მე და საზოგადოება“ და ,,ჩვენი საქართველო“ საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებული აქვს გრძელვადიანი მიზნებზე ორიენტირება. თემებში მუშავდება სამიზნე ცნებები. სასწავლო პროცესი დაგეგმილია შემდეგნაირად: მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხს, დაისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუქტირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს ეხმარება მასალის სიღრმისეულ გაგებასა და გააზრებაში. საბოლოოდ მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. სკოლის თვითშეფასების კითხვარიდან, კათედრის ოქმებიდან, მასწავლებელთა გასაუბრებიდან ჩანს რომ უცხოური ენების კათედრა აქტიურად მუშაობს საგნობრივი კურიკულუმების შექმნაზე და კომპლექსური დავალებების დაგეგმვაზე. საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზანთან მიმართება, საკითხები ისეა შერჩეული რომ შესაძლებელია თემის დამუშავება, ჩამოყალიბებულია კომპლექსური დავალების იდეა .შესაფერისი კავშირი ჩანს, სამიზნე ცნებას, ქვეცნებას , საგნობრივ საკითხებს და რესურსებს შორის. მტკიცებულებით წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის საგნობრივი (კომპიუტერული ტექნოლოგიები II-VI კლასები) ჩარჩო კურიკულუმებში , სამიზნე ცნებები არის მთავარი ორიენტირი, რომელსაც სწავლა სწავლების პროცესი მიემართება . სამიზნე ცნებებს აზუსტებს მკვიდრი წარმოდგენები და ქვეცნებები. შუალედური მიზნები განისაზღვრება კომპლექსური ბუნების დავალების სახით, რომელსაც მივყავართ გრძელვადიან მიზნებამდე. მკაფიოდ არის გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას და საგნობრივ საკითხებს შორის. ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებელს აქვთ მზაობა სასწავლო პროცესის სწორად წარმართვისა. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია სამიზნე ცნებების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებით საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით, თუმცა ნაწილ კურიკულუმების ჩარჩოებში არის გარკვეული ტექნიკური ხარვეზები და უზუსტობები, კერძოდ,

დაწყებითი საფეხურის მე-2 კლასის საბუნებისმეტყველო კურიკულუმის ჩარჩოში ყველა სავალდებულო თემის ფარგლებში, სამიზნე ცნებებთან აისახოს ქვესაკითხები და ქვეცნებები, აგრეთვე მე-2 და მე-3 სავალდებულო თემებს სახელმძღვანელოს გარდა დაემატოს სხვა ტიპის სასწავლო რესურსები მაგ. (ტელესკოლის ლინკები, ელექტრონული, ბეჭდური, ფოტო, ვიდეო მასალების ლინკები და ა.შ). მე-3 კლასის საბუნებისმეტყველო კურიკულუმის ჩარჩოში სავალდებულო თემების ასახვა არ შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმაში შემოთავაზებულ სარეკომენდაციო ორ თემას - „ჩემი ქვეყნის ბუნება“ და „მზის სისტემა“, ამიტომ დაკორექტირდეს ზემოთაღნიშნული კურიკულუმის ჩარჩო და მასში აისახოს სავალდებულო თემებთან შესაბამისი სამიზნე ცნებები, ქვეცნებიბი, ქვესაკითხი, საკითხები, კომპლექსური დავალების იდეა, კონტექსტ-მაგალითები, სასწავლო რესურსები. მე-4 კლასის საბუნებისმეტყველო კურიკულუმის ჩარჩოში გასწორდეს მე-2 თემის დასახელება - „ციკლური პროცესების“ ნაცვლად აისახოს „ციკლური პროცესები ბუნებაში“. მე-6 კლასის საბუნებისმეტყველო კურიკულუმის ჩარჩოს დიზაინი წარმოდგენილია არასრულყოფილად, მასში გამოკვეთილად არ არის მოცემული შემდეგი სვეტები: „თემა“, „სამიზნე ცნება ქვეცნებიბი ქვესაკითხი“, „საკითხი“, „კომპლექსური დავალების იდეა“, „კონტექსტმაგალითები“, „სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის“. აქედან გამომდინარე ამ თანმიმდევრობით გადანაწილდეს ან/და აისახოს სვეტებში სრული ინფორმაცია

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარში იკითხება ზოგადი ხედვა, მასწავლებლებთან გასაუბრებამ შედარებით უკეთ გამოკვეთა, რომ კათედრის წარმომადგენელების უმრავლესობას ესმის, რომ საგნობრივი კონტექსტები უნდა ემსახურებოდეს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; მასწავლებელები ფასილიტატორის როლში განსაზღვრავს მოსწავლეთა უახლოესი განვითარების ზონას. მუდმივი სკაფოლდინგი და სასწავლო პროცესში სხვადსხვა რესურსების თუ აპლიკაციების, პროგრამების გამოყენება: ვიზუალური დიაგრამები, ცხრილები, სქემემი, რუკები, სურათები, ილუსტრაციები, რაც ხელს უწყობს ლოგიკური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას. მასწავლებლები იყენებენ პერსონაჟის სკამი, აუდიო ჩანაწერების მოსმენას, წიგნების კითხვას, ფილმების ჩვენებას, რის შედეგადაც მოსწავლეებში ვითარდება კრიტიკული აზროვნება. გარდა ამისა, სკოლა იყენებს როლური თამაშებს, პრეზენტაციებს, სხვადასხვა პროდუქტის შექმნას, სიტუაციურ მაგალითებს. აღნიშნული ეხმარება მოსწავლეებს კომუნიკაციის უნარის განვითარებასა და მისი ინტერესების განსაზღვრაში. დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესი ორიენტირებულია სამიზნე ცნებებზე, (მათემატიკური მოდელი, კანონზომიერება, ლოგიკა). მასწავლებლებს გააზრებული აქვთ მკვიდრი წარმოდგენების მნიშვნელობა, ამის კარგი მაგალითია მოსწავლეების მიერ კომპლექსური ბუნების დავალების შესრულების შედეგად შექმნილი შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც მიმოიხილეს გასაუბრებისას. (უნდა აღვნიშნოთ, რომ მათ მოსინჯეს რამდენიმე დავალება, მოსწავლეებმა შეასრულეს და გასაუბრებაზე ჰქონდათ საფუძველი ესაუბრათ, რომ მათი სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით);

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. შეფასება ხელს უწყობს მოსწავლეების ჩართულობას სწავლა სწავლების პროცესში, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას.

ეხმარება მოსწავლეს ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენაში. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში

შემუშავდება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ორიენტირებული იქნება მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზე. დაწყებით საფეხურზე მოსწავლეთა მრავალმხრივი უნარების განვითარების ხელშეწყობის მიზნით სკოლა იყენებს შეფასების მრავალფეროვან რუბრიკებს,რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციითაც. ესთეტიკის კათედრის მასწალებელთან გასაუბრების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებელი სასწავლო პროცესში მოსწავლის განვითარებისთვის მიზანმიმართულად იყენებს შეფსების ორივე ფორმას. მასწავლებელს აქვს გამოცდილება და მზაობა სასწავლო პროცესში შეფასება ორიენტირებული იყოს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე . სახელმწიფო ენის წევრებმა დამატებით წარმოადგინეს დოკუმენტები შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე; მასწავლებლები მოტივირებული არიან იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ მოსწავლეს თავისი ცოდნის, უნარებისა და ნიჭის განვითარებაში. შეფასების სისტემა (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. დაწყებითი საფეხურის, განსაკუთრებით, I -IV კლასებში წარმადგინეს რამდენიმე განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომელშიც იყო უზუსტობები, თუმცა საბოლოო ჯამში განმავითარებელი შეფასება მიემართებოდა გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს; V-VI კლასების დონეზე ბუნდოვანი დარჩა განმსაზღვრელი შეფასების საკითხი. ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარშიც იკითხება, რომ I -IV კლასებში განმავითარებელი შეფასება ხდება მესამე თაობის სასწავლო გეგმი შესაბამისად. V-VI კლასების მოსწავლების მიღწევები ფასდება განმსაზღვრელი შეფასებით. მკაფიოდ არ არის მითითებული, როგორ შეიმუშავებს კათედრა განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს და როგორ დაეფუძნება იგი გრძელვადიან მიზნებს. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სამომავლოდ შეეცდებიან მრავალფეროვანი ჰოლისტური შეფასების სისტემა შეიმუშავონ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ იყენებენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, რომლის კრიტერიუმების მოსწავლეებისთვის წინასწარ არის ცნობილი და მათთან თანამშრომლობით იქმნება. რუბრიკები გასაჯაროებულია და გამოკრულია კლასებში, რაც გამჭვირვალეს ხდის შეფასების პროცესს. კლასის დამრიგებლები უზიარებენ და აცნობენ მშობლებს სხვადასხვა საშუალებებით (სოციალურ ქსელის დახურული ჯგუფები, ინდივიდუალური შეხვედრები..). მიუხედავად ამისა, შეფასების ობიექტურობის, ვალიდურობისა და სანდოობის ასამაღლებლად დაწყებით საფეხურზე მომავალი სასწავლო წლიდან გამოსაყენებლად შერჩეულია შეფასების ფორმები, რომელიც გულისხმობს არა შედეგის შეფასებას არამედ პროცესის, სადაც მნიშვნელოვანია ის ფაქტორი, რომ შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებაში მონაწილეობს სასკოლო საზოგადოება. განისაზღვრება შეფასების მიზნები, შეირჩევა შფასების კრიტერიუმები, რაც გაზრდის მოსწავლეთა ძალისხმევას, პასუხისმგებლობასა და ჩართულობას. გაზრდის შეფასების ვალიდურობას, გამჭვირვალეობასა და სანდოობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. მასწავლებელთა ინფორმაციით, სასკოლო სასწავლო გეგმა, არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, არეგულირებს და

განსაზღვრავს შეფასების ძირითად პრინციპებს და აკადემიურ პერსონალს სთავაზობს შეფასების სხვადასხვა სახის რუბრიკას.

მათ საფუძველზე მასწავლებელი მუშაობის პროცესში აკადემიური თავისუფლების და მოსწავლეებისთვის წინასწარ შეთავაზებული შეფასების კრიტერიუმებზე დაყრდნობით აფასებს მოსწავლეებს. დირექციას უნდა მიეცეს რჩევა, მონიტორინგი გაუწიოს კონკრეტულ კლასებსა და საგნებში შეფასების დინამიკას, საჭიროების შემთხვევაში კი მიმართონ პრევენციულ ღონისძიებებს. სტადარტის შესაბამისად შექმნან სკოლაში შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რაც ამ ეტაპისთვის დოკუმენტის სახით არ არის შემუშავებული. აღნიშნული მექანიზმის შექმნაზე ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა სკოლის მასშტაბით. **სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის თანახმად, შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი შემუშავებული იქნება 2023 წლის 30 დეკემბრამდე.**

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

6. სკოლაში განმსაზღვრელი შეფასებასებისას მეტნაკლებად ჩანს მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონის აღწერილობა საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. აფასებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენებისა და ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარს. განმავითარებელი შეფასება ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. მისი მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლის წინსვლასა და განვითარებას. უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. კათედრაზე ინახება მოსწავლეთა ნამუშევრები დამრიგებლებთა დახმარებით ხდება აკადემიური მიღწევების აღრიცხვა დ შენახვა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- თვითშეფასების კითხვარი;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან;

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მასწავლებლების მიერ ინტერვისუსას დასახელებული აქტივობები ნათელი მაგალითია იმისა, რომ სკოლაში დიდი ყურადღება ეთმობა მოსწავლეებში მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნას, კერძოდ, როგორც სასკოლო, ასევე

საკლასო გარემო ყველა მოსწავლისათვის არის პოზიტიური, თანამშრომლობითი და მეგობრული. იძლევა სასკოლო და სასწავლო პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას (ავტორიზაციის მაძიებლობის თვითშეფასების ანგარიში)ასევე ჩამოყალიბებულია სკოლის საერთო კულტურა, რომელიც ითვალისწინებს სწავლა- სწავლების პროცესში ღია/მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს შექმნას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად; სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. სასწავლო წლის დასაწყისში იქმნება ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.მასწავლებლები ხელს უწყობენ მოსწავლეებს იმაში, რომ განავითარონ თავიანთი ძლიერი მხარეები, ყურადღება გაამახვილონ სუსტ მხარეებზე.რათა სამომავლოდ ძლიერ მხარედ აქციონ იგი. უცხოური ენების კურიკულუმის ჩარჩოში ჩანს ,რომ მასწავლებლის მიერ დაგეგმილ პროცესში აქცენტი გაკეთებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე, ინტერესებზე. ინტერვიუდან ჩანდა მასწავლებლის მთავარი ორიენტირი სასწავლო პროცესის დაგეგმვისას არის მოსწავლე. კომპლექსური ბუნების დავალებები ისეა შედგენილი რომ, მოსწავლის ავტონომიურობა, მისი წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია წამყვანია.მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ მთელი სასწავლო წლის განმავლობაში ახორციელებენ დაკვირვებას მოსწავლეებზე, რათა უკეთ დაინახონ მათი საჭიროებები, ძლიერი და სუსტი მხარეები.უცხოური ენების კათედრამ წარმოადგინა მოსწავლეთა შესრულებული შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზი, თუმცა წარმოდგენილი მასალები არის ძალიან ზოგადი და ზერელედ შესრულებული, საჭიროებს გამოკვეთილი სუსტი მხარეების დეტალურ შესწავლას და გაუმჯობესების გზების დასახვას.2023-24 სასწავლო წელს უცხოური ენების კათედრა გეგმავს განახორციელოს სადიაგნოსტიკო შეფასება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.კათედრებთან წარმართული ინტერვიუების დროს გამოჩნდა ურთიერთთანამშრომლობა და კომუნიკაცია კათედრის წევრებს შორის. აღნიშნულ იქნა გამოცდილების გაზიარება სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და ხარისხის გაუმჯობესების კუთხით. მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ უცხოური ენების კათედრის წევრები ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე ,ხშირად აძლევენ ერთმანეთს წერილობით უკუკავშირსაც და ცდილობენ გაითვალისწინონ კოლეგების რეკომენდაციები. მათემატიკის კათედრის წევრთა შორის ხდება გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება. ამის უზრუნველყოფისთვის კი მეტად მნიშვნელოვანია თანამშრომლობა, გუნდურობა. დასტურდება ინტერვიუთი. სკოლის სასწავლო პროცესის აღწერაში (სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში) ჩანს და პედაგოგებთან გასაუბრებისასაც აისახა სკოლაში დამკვიდრებული გამოცდილება პედაგოგების თანამშრომლობისა სკოლის სტრუქტურულ ერთეულებთან, მშობლებს, სამეურვეო საბჭოს აქვთ საშუალება გაეცნონ ინფორმაციას სკოლის სასწავლო პროცესში შემოთავაზებული მექანიზმების შესახებ. მშობლებს აქვთ ინფორმაცია დაწყებით ჩატარებული ღონისძიებების შესახებ. სკოლა გეგმავს მშობლების კომპონენტის გაძლიერებასა და მომავალშიც სასკოლო თემის ჩართულობას პროექტებში მონაწილეობით, რაც დადებითად აისახება თანამშრომლობითი კულტურის დანერგვაზე. დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო გეგმით, ერთწლიანი და შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4.წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზით მეტნაკლებად, ხოლო გასაუბრებით შედარებით მკაფიოდ გამოიკვეთა, რომ უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ მიუხედავად არსებული განსხვავებებისა და თავისებურებებისა, სკოლაში არსებობს ჯანსაღი, ნდობაზე დაფუძნებული თანამშრომლობითი გარემო მათი სრულფასოვანი განვითარებისათვის. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი, როგორც კლასის, ისე სკოლის დონეზე. მასწავლებლები საუბრობენ, რომ სკოლის თავისებურებებიდან გამომდინარე განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებიან მსგავს საკითხებს. ატარებენ სხვადასხვა ღონისძიებებს, რათა სასკოლო საზოგადოებაში ურთიერთანამშრომლობით პოზიტიური გარემო შეინარჩუნონ.**ინდიკატორი**
დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები (მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო);
- მასწავლებლებთან ინტერვიუ;
- თვითშეფასების კითხვარი;
- სადამრიგებლო პროგრამა (დანართი 12);

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.დაწყებით საფეხურზე მონიტორინგი და შეფასება ეფუძნება მასწავლებელთა მხრიდან საკუთარი პრაქტიკის ანალიზს, განხორციელებული აქტივობების რეფლექსიებს, კათედრაზე გაწეული სამუშაოების წლიურ ანგარიშებს. ჯგუფის წევრები მონიტორინგს უწევენ ისეთ აქტივობებს, როგორებიცაა: ურთიერთდასწრება გაკვეთილზე, პროექტები და სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები. 2023-2024 სასწავლო წლიდან სკოლაში დაგეგმილია შეიქმნას მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სწავლების ხარისხის ამაღლებას. შემუშავებული იქნება გაკვეთილებზე დასწრების ფორმა და განრიგი, რომლის მიხედვითაც მოხდება სწავლების შეფასება და და გაიცემა შესაბამისი რეკომენდაციები. პროცესის ეფექტურად წარმართვისთვის დაწყებითი კლასების კათედრაზე კურიკულუმის განხორციელების პროცესში ჩართული მასწავლებლებისგან ინტენსიური თანამშრომლობით შეაგროვებენ მონიტორინგისა და შეფასების მასალებს. მოხდება საკვანძო ელემენტების, მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება, მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირება, სკოლის ინსტიტუციური განვითარებისათვის სრულყოფილი ინსტრუმენტების დანერგვა. კურიკულუმის შეფასებისა და მონიტორინგის მიზნით შეიმუშავებენ მექანიზმს, რომელიც დაეხმარებათ დაადგინონ, რამდენად სწორად მიმდინარეობს კურიკულუმის დანერგვის პროცესი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.სკოლაში არის ურთიერთდასწრების გამოცდილება, რომლის დროსაც დაწყებითი საფეხურის პედაგოგები აკვირდებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, მსჯელობენ ხარვეზებსა და გამოვლენილ საჭიროებებს, რასაც ერთობლივად განიხილავენ და ისე გეგმავენ მომავალ აქტივობებს. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მონიტორინგი და შეფასება საჭიროა მიღწევებისა და არსებული გამოწვევების გამოსაკვეთად, რათა ამის შემდგომ პროცესები იმგვარად დაიგეგმოს, რომ შესაძლებელი იყოს ეფექტიანი პრაქტიკის გათვალისწინება და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება. ამ პროცესებში მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის ჩართულობა, რაც უნდა უზრუნველყოს სკოლამ. 2023-2024 სასწავლო წლიდან იგეგმება მონიტორინგისა და შეფასების უფრო მოქნილი და დახვეწილი მექანიზმის შექმნა, ხარისხის ჯგუფის თანმიმდევრული მუშაობის უზრუნველყოფა, რომლის პრიორიტეტი თითოელი მასწავლებლის პროფესიული ზრდა-განვითარება იქნება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. მასწავლებლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ მონიტორინგისა და შეფასებისას გამოიკვეთება მიღწევები და პრობლემები, გაანალიზდება ისინი და დაიგეგმება არსებული გამოწვევების მოგვარების გზები. ასევე კურიკულუმის

შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში იკითხება, რომ ,,დანერგვის პროცესის აღწერაზე ორიენტირებული ინსტრუმენტების საშუალებით შეგროვდება მონაცემები, რომელთა ანალიზის საფუძველზეც მოხდება კურიკულუმის განვითარების პროცესის შესწავლა, რაც იქნება გამოვლენილი პრობლემის გადაჭრის საშუალებაამ მიმართულებით კათედრას და სკოლას სამუშაო აქვს. სახელმწიფო ენის კათედრის ინფორმაციით, ქოუჩინგის ეტაპზე დაიწყეს ფიქრი კონკრეტულად რა ფორმითა და ინსტრუმენტით განახორციელებენ პედაგოგიკური პრაქტიკის კვლევას, სადიაგნოსტიკო შეფასებასა და თვითშეფასებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- თვითშეფასების კითხვარი;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან;
- შესაბამისობის გეგმა

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სკოლაში ჩამოყალიბებულია ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემა, როგორც საკლასო, ისე სასკოლო დონეზე, რომელიც შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. განსაკუთრებით მნიშველოვანია განმავითარებელი შეფასება, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლესა და პედაგოგის ინფორმირებას სწავლის პროცესში განხორციელებული პროგრესის შესახებ, რაც თავის მხრივ უადვილებს როგორც დაინახოს მასწავლებელს მოსწავლის პროგრესი, ასევე მოსწავლეს დაფიქრდეს თავის სწავლის-სწავლაზე. მშობლები ინდივიდუალურად ეცნობიან შვილების განმავითარებელ შეფასებას, აქედან გამომდინარე მოსწავლეთა მშობლებს

შესაძლებლობა ეძლევათ იზრუნონ თავისი შვილის შედეგების გაუმჯობესებისათვის. ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ მომდევნო სასწავლო წლისთვის კათედრაზე შეიმუშავებენ შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს, რომლებიც უფრო ნათლად დაანახებს მოსწავლის

შედეგსა და პროგრესს. ტექნოლოგიების მასწავლებლებთან ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესში შეფასებისას ეყრდნობიან არა მარტო მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, არამედ მათ შესახებ მოპოვებულ სხვა ინფორმაციებსაც, მაგალითად, ეს შეიძლება იყოს ოჯახური, მატერიალური თუ სოციალური პირობები, პიროვნული მახასიათებლები, მათი ძლიერი თუ სუსტი მხარეები და ა.შ. ამის შესახებ ცნობებს იღებენ მშობელთა კრებებიდან, ძირითადად, დამრიგებლების საშუალებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. დაწყებითი საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ შეფასება ხორციელდება მრავალი კომპონენტის გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს თითოეულ მოსწავლეზე მაქსიმალურად სრულყოფილი და ამომწურავი ინფორმაციის მოპოვებას. ასევე შემდგომ ამ ყველაფრის სასწავლო პროცესში გათვალისწინებას, სასწავლო თემების, საკითხების, შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბების სახით. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ამ მიმართულებით კიდევ აქვთ სამუშაო და ბევრი რამ გასაუმჯობესებელი. მათემატიკის მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ პედაგოგები ცდილობენ შეისწავლონ რამდენად ეფექტურია მათ მიერ გადადგმული ნაბიჯები სწავლის შედეგების თვალსაზრისით, ისინი ცდილობენ შეფასებისას გაითვალისწინონ კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწავლეთა ინტერესები და ა.შ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის წევრები იყენებენ მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდს, როგორც რაოდენობრივ, ასევე თვისებრივ მეთოდებს. სკოლაში მომავალი სასწავლო წლიდან დაგეგმილი აქვთ მონაცემთა შეგროვების უფრო მოქნილი მექანიზმების შემუშავება. სახელმწიფო ენის კათედრის დონეზე სკოლას სათანადო გამოცდილება აქვს შეფასებისთვის საჭირო მონაცემთა შეგროვების კუთხით. პირადი ჩანაწერები, განმავითარებელი/განმსაზღვრელი შეფასებები, მოსწავლის განვითარების დინამიკაზე დაკვირვებას, მოსწავლეთა თვითშეფასება, უკუკავშირი, გასასვლელი ბილეთი და ა.შ. მასწავლებლები მიუთითებენ, მომავალი სასწავლო წლისთვის გეგმავენ მოსწაველათა შედეგების დიაგნოსტირებას ,,საკლასო წერის“ ინსტრუმენტით. იმედოვნებენ, ეს მეთოდი იქნება მორგებული მათი კათედრისთვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. გასაუბრებისას სახელმწიფო ენის მასწავლებლებლებმა გამოკვეთეს შემდეგი ხედვა: გარემო, დროის მენეჯმენტი, რესურსების უქონლობა, ფსიქო-ემოციური ფონი, კლასის პროფილის შექმნა ესა არის იმ ფაქტორების არასრული ჩამონათვალი,რომლითაც ისინი მოახდენენ მოსწავლეთა უნარების და ინტერესების დიფერენცირებას. ყოველივე ეს გათვალისწინებული იქნება მომავალი კურიკულუმის შემუშავების დროს. კათედრის დოკუმენტაციაც ასახავს შეფასების მულტიფაქტორულ მიდგომას, შეიძლება ითქვას, რომ შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა მორგებულია მოსწავლის ინტერესებზე. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის წევრები შეფასებისას ეყრდნობიან, როგორც მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, ასევე მათ პიროვნულ მახასიათებლებსა და სოციალურ ფაქტორებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- თვითშეფასების კითხვარი;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან;
- შეფასების რუბრიკა დანართი 7;

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია
2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლაში ხდება კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია, რომ მონიტორინგის ახორციელებს ხარისხის გავითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, სკოლის ადმინისტრაციის წევრები. მუშავდება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი სასკოლო სტრუქტურის ყველა დონისთვის. ითვალისწინებენ მიღწევების თვითშეფასებას, SWOT-ანალიზს, წლიურ სამოქმედო გეგმას. თუმცა ამ ეტეპზე არ არის მითითებული რა სახით ხდება რეფლექსია, საჭიროებების კვლევა. კათედრა ხედავს კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შექმნის აუცილებლობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.კათედრებთან გასაუბრებამ გამოკვეთა, რომ კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია დაფუძნება წინარე გამოცდილებას და გაითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. წლის ბოლოს მოხდება აზრთა გაზიარება აღნიშნული საკითხის შესახებ, მატრიცების შესრულებული კომპლექსური დავალებების შეფასებისა და მონიტორინგის ჯგუფის შეფასების საფუძველზე მოხდება ახალი კურიკულუმების შედგენა კლასების გათვალისწინები. კათედრა 2023-2024 სასწავლო წლის ანალიზის შედეგად გეგმავს კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიის შექმნას, რომელიც დაეფუძნება წინარე გამოცდილებას და გათვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი;
- სასკოლო სასწავლო პროექტი;
- კომპლექსური დავალებები (მასწავლებელთა პორტფოლიოები)

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ზოგადსაგანმანათებლო დაწესებულების ავტორიზაციის მაძიებლის თვითშეფასების ფომაში აღნიშნულია,რომ სასწავლო წლის დასაწყისში ყველა მასწავლებელი თვითშეფასების საფუძველზე ადგენს საგნობრივ სასწავლო გეგმას(კურიკულუმი) , რომლის მიხედვითაც წარიმართება სასწავლო პროცესი საგნების მიხედვით თითოეული თემის ფარგლებში ხდება განხორციელებული საქმიანობის რეფლექსია . ყველა მასწავლებელი კათედრებთან თანამშრომლობით ქმნის და ავითარებს საკუთარ კურიკულუმს და ამის საშუალებით აჩვენებს გზას (აქტივობები , დავალებები, რესურსები) (გვ.51)აღნიშნული დადასტურდა პედაგოგთან საუბრისას,მან აღნიშნა, რომ სასწავლო წლის დასაწყისში კათედრაზე , მოხდა ახალი გამოწვეწვებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირება წინა წლის ანალიზზე დაყრდნობით, კურიკულიმის შემუშავებისას, გათვალისწინებულ იქნა კათედრის ყველა წევრის მოსაზრება, მოსწავლეთა საჭიროებები, შესაძლებლობები და ინტერესები. უცხო ენების კათედრის ინფორმაციით, კურიკულუმის განვითარების პროცესში გაწერილია მასწავლებლების ზოგადი ფუნქციები, რას და როგორ გაკეთებს მასწავლებელი; არ არის გაწერილი, ვინ და როგორ იყენებს შემუშავების, დანერგვისა და განვითარების ინსტრუმენტებს. სკოლა აგრძელებს აღნიშნულ დოკუმენტზე მუშაობას , რათა მოხდეს მისი დახვეწა, მშობელთა ჩართულობის გაზრდა და პასუხისმგებელი პირების ფუნქცია-მოვალეობების დეტალური გაწერა. ცალკე საზოგადოებრივი მეცნიერებების (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა) კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია არ არის წარმოდგენილი, თუმცა, შესაბამისი ერთიანი დოკუმენტის შემუშავების პროცესი მიმდინარეობს სკოლაში. მასწავლებლები ერთმანეთთან თანამშრომლობენ, კათედრებზე განიხილავენ განხორციელებულ აქტივობებს, მიმდინარე წლის პრობლემებს და მთელი წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე, სამინისტროს ქოუჩებთან ერთობლივი თანამშრომლობით ქმნიან ახალ კურიკულუმებს. სკოლას არ აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა თანდართულ დოკუმენტთან ერთად(კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი), რის მიხედვითაც ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. მასწავლებელთა ინფორმაციით, სკოლის წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესი და მოტივაცია, თუმცა ძირითადი პასუხისმგებლობა გადადის საგნობრივ კათედრის რამდენიმე წევრებსა და დირექციაზე; ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარში სკოლა აცხადებს, რომ მასწავლებლები ცდილობენ სადამრიგებლო პროგრამებში ასახონ სასკოლო პროექტის თემები, რომლებიც მორგებული იქნება სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებას. დამრიგებლები საგნის მასწავლებლებთან ერთად აქტიურად თანამშრომლობენ მშობელთან. აწვდიან ინფორმაციას და მათგან ღებულობენ უკუკავშირს. მსგავსი საკითხების განხილვა ხდება მშობელთა კრებებზეც. სპორტის პედაგოგებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების ეტაპზე სკოლა აპირებს მასში ასახოს სასკოლო საზოგადოების მოსწავლის, მშობლის მასწავლებლის ინტერესები და სასწავლო პროცესი დააფუძნოს კონსტრუქტივისტულ პრინციპებს. კურიკულმის შემუშავება ხდება სკოლაში დასაქმებული მასწავლებლის, დირექციის ჩართულობით, ერთმანეთთან თანამშრომლობითა და აქტიური კომუნიკაციით, აზრებისა და გამოცდილების გაზიარებითა და საჭიროების შემთხვევაში მასში ცვლილებების შეტანით. კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებულია სსსმ მოსწავლეთა ინტერესები, იკვეთება ასევე მშობელთა ინტერესების გათვალისწინება, რათა მათ შვილებს ჰქონდეთ მათზე მორგებული სასწავლო გარემო. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის ინფორმაციით, სკოლაში ნამდვილად არის კათედრის წევრებს შორის თანამშრომლობის მაღალი გამოცდილება. კურიკულუმების შემუშავების პროცესში თითოეული პედაგოგის და ასევე მშობლის ინტერესების გათვალისწინება ხდება, თუმცა ამ მიმართულებით გეგმავენ სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას. მაგ. მშობლებელთა ჩართულობის მიზნით ჩაატარებენ გამოკითხვას; მოსწავლეებთან - დღიურის წარმოებას, ხოლო მასწავლებლები პროცესზე დაკვირვებით აღწერენ და კოლეგებს გაუზიარებენ ინფორმაციას თითოეული მოსწავლის მიღწევების შესახებ. ასევე, დაგეგმილი აქვთ საბაზო საფეხურზე მოსწავლის ასაკობრივი და პიროვნული თავისებურებების, პრობლემაზე დაფუძნებული, პროექტული ტიპის დავალებების შეთავაზება, სადაც განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მოსწავლეთა უკუკავშირსა და თვითშეფასებას. ამ გზებით შეძლებენ კურიკულუმში სასკოლო საზოგადოების წევრების ინტერესების გათვალისწინებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. მათემატიკის კათედრის ინფორმაციით, სასკოლო საზოგადოების წევრები (ამ ეტაპზე ადმინისტრაცია, მასწავლებლები) მონაწილეობდნენ და ახლაც ჩართული არიან კურიკულუმის შემუშავების პროცესში, მათ ჩართულობას ფორმალური და ფრაგმენტული სახე არ აქვს. ისინი გუნდურად ცდილობენ სიახლეების დანერგვას, კურიკულუმების წესრიგში მოყვანას და ა.შ. გააზრებული აქვთ, რომ კურიკულუმის შემუშავება ციკლური პროცესია და მასში ჩართულობა გულისხმობს მთელი წლის მანძილზე მიმდინარე პროცესებში თანამონაწილეობას. კურიკულუმის მიმდინარე ვერსია, რომელიც ავტორიზაციის პროცესში წარმოადგინეს, გასაუბრებით დადასტურდა, რომ იყო გაზიარებული და შეთანხმებული. სახელმწიფო ენის კათედრის წევრთა თქმით, სასკოლო გეგმაში, პედასბჭოსა და კათედრის ოქმებში იკვეთება, რომ სასკოლო კურიკულუმები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ვიზიტისას დამატებით წარმოდგენილ კურიკულუმებში, ასევე, საბაზო

საფეხურის მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ შუალედური მიზნები ურთიერთშეთანხმებით

ჩამოაყალიბეს. შეხვედრებზე განიხილეს 2023-2024 წლის კურიკულიმის ჩარჩოები. დაეფუძნენ წინარე გამოცდილებას და თავიანთი მოსწავეების შედეგებს. აცხადებენ, რომ თითოეული მასწავლებელი კათედრასთან თანამშრომლობით ქმნის და განავითარებს საკუთარ კურიკულუმს, რომლის საშუალებითაც აჩვენებს იმ გზას (აქტივობები, დავალებები, სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებული რესურსები), რომელსაც საკუთარ მოსწავლეებს სთავაზობს ეროვნულ სასწავლო გეგმაში დასახული გრძელვადიანი მიზნების (საფეხურის შედეგები, სამიზნე ცნებები) მისაღწევად. ავტორიზაციის მაძიებლის განაცხადის შემოტანის ეტაპზე კათედრას ე.წ. კურიკულუმის ჩარჩოებში შევსებული ჰქონდათ მხოლოდ სამი გრაფა: თემა, კონტექსტმაგალითები, რესურესები ვიზიტისას დამატებით წარმოდგენილ დოკუმენტაციაში საბაზო საფეხურზე კურიკულუმის ჩარჩოებში სრულად შევსებული და წარმოდგენილი აქვთ 2-2 კომპლექსური დავალება მასწავლებლებლებმა თავად გააჟღერეს, რომ 6 სამიზნე ცნების, სავალდებულო თემატური ბლოკისა და სავალდებულო ნაწარმოებების დასაფარად საკმარისი არ არის განაცხადის წარდგენიდან ვიზიტამდე გააგრძელეს კურიკულუმის ჩარჩოებზე და 2023-2024 წლისთვის სრულად შეავსებენ. საუბრობენ, რომ კურიკულუმები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. მასწავლებელებმა აღწერეს მუშაობის ეტაპები და აქვს მზაობა, რომ სამომავლოდაც იმუშავონ შუალედური მიზნებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის პედაგოგების მიერ, საბაზო საფეხურზე კურიკულუმები შემუშავებული და გაზიარებულია საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე. კურიკულუმის გაზიარების და ინფორმაციის მიწოდების მიზნით სკოლაში პერიოდულად ტარდება შეხვედრები მშობლებთან, რომელთაგანაც ღებულობენ ზეპირ უკუკავშირს. კურიკულუმის საბოლოო ვერსია განთავსებულია სკოლის დახურულ ჯგუფებში, რომელზე ხედვაც სკოლის ყველა თანამშრომელს და მშობელს აქვს. მშობლებთან ურთიერთობის ფორმების განსაზღვრა ხდება მათთან აქტიური კომუნიკაციით და კითხვარების შევსებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია.
- საგნობრივი კურიკულუმები
- კათედრის ოქმი
- მასწავლებლებთან ინტერვიუ;
- ისგ ოქმები და ინდ გეგმა (დანართი 2);
- მშობელთა კომუნიკაციის კითხვარი (დანართი 3);

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. უცხოურ ენებში შედგენილი კურიკულუმები ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შუალედური მიზნების განსაზღვრისას იხელმძღვანელეს სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის და საჭიროებების შესაბამისად. სახელმწიფო ენის საბაზო საფეხურის კლასების კურიკულუმის ჩარჩოებში გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით წარმოდგენილია თემები, შუალედური მიზნები. საბაზო საფეხურზე კურიკულუმის ჩარჩოებში სრულად შევსებული და წარმოდგენილი აქვთ 2-2 კომპლექსური დავალება მასწავლებლებლებმა თავად გააჟღერეს, რომ 6 სამიზნე ცნების, სავალდებულო თემატური ბლოკისა და სავალდებულო ნაწარმოებების დასაფარად საკმარისი არ არის განაცხადის წარდგენიდან ვიზიტამდე გააგრძელეს კურიკულუმის ჩარჩოებზე და 2023-2024 წლისთვის სრულად შეავსებენ. რამდენიმე კომპლექსური დავალების მიხედვით რამდენიმე თემატური მატრიცა, საიდანაც იკითხება, რომ კურკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილების გააქტიურებაზე. შედარებით მკრთალად ჩანს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვა. ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარში სკოლა მიუთითებს, რომ საბაზო და საშუალო საფეხურზე თითეული მასწავლებელი ითვალისწინებს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის მისაღწევ შედეგებსა და გრძელვადიან მიზნებს. სპორტის კათედრის მიერ წარმოდგენილი დაწყებითი საფეხური კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეზე და მათი განვითარების საშუალებას იძლევა. კურიკულუმებში წარმოდგენილი გრძელვადიანი მიზნები და მის ფარგლებში დასამუშავებელი თემები მძლეოსნობის ელემენტები, ჯანსაღი კვება, ჰიგიენა, ტანვარჯიშის ელემენტები, ლაშქრობა, რომლის ფარგლებში ხდება თემიდან გამომდინარე შესაბამისი ქვეცნებების დამუშავება და რაც თავის მხრივ

განაპირობებს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესსა და მისი განვითარების საშუალებას იძლევა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. კურიკულუმები შეიქმნა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ექსპერტებთან თანამშრომლობით. მათში ასახულ კომპლექსურ დავალებებში, შეთავაზებულ აქტივობებში ჩანს, რომ კურიკულუმი ემსახურება ფუნქციური უნარების განვითარებას, გრძელვადიანი სასწავლო მიზნების განხორციელებას. წარმოდგენილი საბაზო საფეხურის მათემატიკის წლიური საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმილია მათემატიკის საგნობრივი სტანდარტისა და გრიფირებული სახელმძღვანელოების მიხედვით, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, სასწავლო პროცესი დაგეგმილია სავალდებულო თემებით, რომლის ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება. ძირითადად ჩანს თუ რა საგნობრივ საკითხებს, თემებს, ძირითად რესურსებს, შეფასების ინსტრუმენტებს სთავაზობს სკოლა საკუთარ მოსწავლეებს პიროვნული განვითარებისთვის და ასევე ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად. კურიკულუმებში ჩანს რომელ კომლექსურ დავალებებს სთავზობენ მოსწავლელბს. ჯამში, მცირეოდენი უზუსტობების მიუხედავად, შეიძლება ითქვას, სკოლის მიერ გააზრებულია შედეგები, სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები გრძელვადიან მიზნებად, დასტურდება საგნობრივ კურიკულუმით, მოსწავლეთა შეფასების ამსახველი დოკუმენტებით, პედაგოგებთან გასაუბრებით. გასაუბრებისას მასწავლებლებმა გამოკვეთეს, რა კავშირია კურიკულუმი მორგებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, სამიზნე ცნებებს შედეგებსა და XXI საუკუნის ისეთი უნარებ შორის , როგორიცაა; კრიტიკული აზროვნება, ურთიერთობა, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ლიდერობა, დროის მოქნილობა, ხასიათი. დაწყებით კლასებში მასწავლებლები აქტიურად იყენებენ ხარაჩოს მეთოდს,რაც ხელს უწყობს მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურებას და ემსახურება კონსტრუქტივიზმის 5 პრინციპს. სკოლაში სამოქალაქო განათლების, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების მიერ დაარსებულია სასკოლო კლუბები, რომლებიც ხელს უწყობენ მოსწავლეებში 21- ე საუკუნის კომპეტენციების განვითარებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც მოსწავლე განიხილება, როგორც კონკრეტული გამოცდილების, ინტერესებისა და მზაობის მქონე ინდივიდი, ეს კი თავის მხრივ გულისხმობს დიფერენცირებულ სწავლის მიდგომებს. კანონმდებლობის შესაბამისად, სასწავლო წლის დასაწყისში, დირექტორის ბრძანებით იქმნება ისგ ჯგუფი, რომელშიც გაერთიანებულნი არიან მასწავლებლები და მშობელი/მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი, აგრეთვე ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები, საგნის მასწავლებლები და დამრიგებლები. მათ მიერ მუშავდება ინდ გეგმები, სადაც თითოეული მოსწავლის შესაძლებლობების შესაბამისად განსაზღრულია გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნები. სკოლაში შექმნილია შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომლის დასკვნის საფუძველზეც ხდება ინკუზიური განათლების დახვეწა. სკოლას ჰყავს სპეციალური მასწავლებელი, რომლის მიერ ხდება მოსწავლეთათვის მომსახურეობის გაწევა. პედაგოგები მუშაობენ კომპლექსური დავალებებისა და შეფასების ინსტრუმენტების მოდიფიცირებაზე, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიური გარემოს შექმნას სსსმ მოსწავლეებისთვის. 2023-2024 სასწავლო წლიდან სკოლაში დაგეგმილია საგნობრივი კურიკულუმების და სასწავლო რესურსების მორგება თითოეულ მოსწავლეზე. ხელოვნებასა და მუსიკაში წარმოდგენილ კურიკულუმებში

(მუსიკა,ხელოვნება)იკვეთება შეთავაზებული დავალებების კომპლექსური ხასიათი .მოცემული კომპლექსური დავალებების იდეები გვაფიქრებინებს,რომ მოსწავლეს შეუძლია გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მრავალი და მისთვის ეფექტური საშუალებით. მასწავლებელებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა ,რომ სასწავლო პროცესში ხდება მოსწავლეთა საჭიროებების შესაბამისად დავალების პირობის ადაპტირება,მოსწავლეებს ეძლევა სხვადასხვა სირთულის დავალებები და რესურსები ,რომელიც მორგებულია მოსწავლეზე, რაც იწვევს დაინტერესებას, მოსწავლეებმა იციან რისთვის სწავლობენ და როგორ გამოიყენონ ნასწავლი. აღნიშნულის დადასტურებად წარმოდგენილია სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური სამუშაო გეგმა მუსიკაში ,რომელშიც კარგად ჩანს მოსწავლისადმი ინდივიდუალური მიგომა (ადაპტირებული დავალება,რესურსები ,აქტივობები). მასწავლებელთან გასაუბრებისა და მოცემული მასალის ანალიზიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ ,რომ კათედრას აქვთ გამოცდილება და მზაობა სასწავლო პროცესში გამოიყენონ დიფერენცირებული /ინკლუზიური მოდგომები .

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4.მასწავლებელთა გასაუბრების დროს, მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ საბაზო საფეხურზე მოსწავლეებს აფასებენ მხოლოდ განმსაზღვრელი შეფასებით.სამწუხაროდ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები არ არის წარმოდგენილი უცხოურ ენებში. თუმცა მასწავლებლებმა გამოთქვეს მზაობა, რომ გაიარონ ტრენინგები რათა გაეცნონ განმავთარებელი შეფასების ინსტრუმენტებს და დანერგონ სასწავლო პროცესში. 2023-2024 სასწავლო წელს იგეგმება ყოველი კომპლექსური დავალებისთვის განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შედგენა.სკოლის მიერ წარმოდგენილ ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ვკითხულობთ რომ 2023-2024 წელს იგეგმება მასწავლებელთა ტრენინგები განმავითარებელი შეფასების და ზოგადად შეფასების მიმართულებით. თვითშეფასების კითხვარის ანალიზიდან ირკვევა, რომ განმავითარებელი შეფასებისას მასწავლებლები მოსწავლის შესახებ აგროვებენ მონაცემებს, რათა შეძლონ მოსწავლეთა საჭიროებების დადგენა. პედაგოგები ძირითადად იყენებენ განმსაზღვრელ შეფასებას, თუმცა მომავალში დაგეგმილი აქვთ უფრო აქტიურად გამოიყენონ განმავითარებელი შეფასებაც. დაგეგმილი აქვთ შექმნანა შეფასების რუბრიკები თითოეული კომპლექსური დავალებისთვის, რომლის საშუალებითაც დააკვირდებიან და გაზომავენ, რამდენად კარგად გაიაზრა მოსწავლემ სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენები. რუბრიკებზე მუშაობის პროცესი უკვე დაწყებულია. მიმდინარე სასწავლო წელს სკოლაში იყენებდნენ განმსაზღვრელი შეფასების I მოდელს და 2023-2024 სასწავლო წლისთვისაც გადაწყვიტეს იგივე მოდელის გამოყენება. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში წარმოდგენილია ზოგადი შეფასების რუბრიკები, რომელთა გამოყენებაც ხდება პედაგოგების მიერ სასწავლო პროცესში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. თვითშეფასების კითხვარიდან ირკვევა, რომ პედაგოგები დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას, კერძოდ, ახდენენ შედეგების ანალიზს და მის საფუძველზე ქმნიან განახლებულ კურიკულუმებს. მასწავლებლები უზიარებენ ერთმანეთს საკუთარი პედაგოგიური საქმიანობის წლიურ ანგარიშებს. აკეთებენ უკუკავშირს, რეფლექსიას, იზიარებენ კოლეგების გამოცდილებას კურუკულუმების, სასწავლო პროექტების, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებებისა, თუ სასწავლო პროცესში გამოყენებული აქტივობების შესრულების შესახებ. წარმოდგენილ კურიკულუმებში სპორტის ინდივიდუალური თუ გუნდური სახეობების შერჩევისას მხრიდან გათვალისწინებული იქნა ის თემები, რომელშიც

მოსაწვლეთა დიდი ნაწილი აქტიურად იყო ჩართული. მასწავლებლებმა შეხვედრისას ისაუბრეს სასწავლო პროცესში

გამოყენებულ იმ ცოდნასა და გამოცდილებაზე, რომელსაც მოსწავლეები გამოიყენებენ კომპლექსური დავალებების შესრულებისას, სადაც მოხდება შესწავლილი საკითხების წარმოჩენა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- თვითშეფასების კითხვარი;
- საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
- ისგ ჯგუფის შექმნის ბრძანება, ისგ ჯგუფის ოქმი (დანართი 2);
- საგნის მასწავლებლის ანგარიში (დანართი 6);
- განმავითარებელი/განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები (დანართი 7);
- მასწავლებლებთან ინტერვიუ;
- კურიკულუმის შექმნის მეთოდოლოგია

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

სკოლაში არ არის საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, შესაბამისად, საფრთხე ექმნება საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფში შემავალი საგნების კურიკულუმის განხორციელებას საბაზო საფეხურზე. (საფუძველი: ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი)

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებიდან შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული შემოქმედებით პროცესში. სასწავლო პროცესში მოსწავლის ჩართულობის მიზნით გამოყენებულია მრავალფეროვანი რესურსები. ესთეტიკის კათედრის მასწვლებელთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა რომ კათედრა ახორციელებს სხვადასხვა აქტივობებს და პროექტებს,მაგალითად ინტეგრირებული პროექტები "სისხლიანი ტიტები";"26 მაისი";"დედა ენის დღე";"ახალი წელი", გარდა ამისა სკოლაში აწყობენ სხვადასხვა თემატიკით გაერთიანებულ გამოფენებს და ღონისძიებებს,რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვას. საზოგადოებრივი მეცნიერებების (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა) კურიკულუმებში ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები იდეის დონეზე. კომპლექსური დავალებები გათვლილია თითოეული მოსწავლის უნარებსა და შესაძლებლობებზე. მრავალფეროვანი აქტივობები მოსწავლეს აძლევს არჩევანის თავისუფლებას და საკუთარი თავის წარმოჩენის შესაძლებლობას. ინტერვიუს დროს კათედრის წევრებმა ისაუბრეს კომპლექსური დავალებებით სწავლა-სწავლებასა და დავალების პირობის სრულყოფაზე ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, სადაც მოსწავლე აქტიურად იქნება ჩართული შემოქმედებით პროცესში. უცხო ენების კათედრის ინფორმაციით, 2023-2024 სასწავლო წელს იგეგმება რუსულენოვან სკოლებთან თანამშრომლობა რუსული ენის სწავლების გაძლიერებისთვის. სპორტის ინდივიდუალური, გუნდური სახეობები, შეთავაზებული საინტერესო რესურსები, ინტერნეტ რესურსები, ლინკები, აქტივობები მოსწავლის სწავლის პროცესს ააქტიურებს, საშუალებას აძლევს შეიძინოს ცოდნა რაც თავისთავად მის შემოქმედებითობასაც განაპირობებს. მასწავლებლებმა შეხვედრისას ისაუბრეს კომპლექსური დავალების ფარგლებში განსახორციელებულ საინტერესო აქტივობებზე, რომელიც მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებასა და მოსწავლეთა სასწავლო პროცესში ჩართულობაზე იქნება ორიენტირებული. დაწყებითი საფეხურზე განხორციელებული ფორმალური და არაფორმალური აქტივობები, რომელიც გასაუბრების დროს აღწერეს, ასევე მათემატიკის ახალ კურიკულუმში შეტანილი დავალებები, საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. მათემატიკის მასწავლებლები სასწავლო პროცესში იყენებენ ელ. რესურსებს და უახლოეს პერიოდში სასურველია სრულად ასახონ კურიკულუმში რესურსების ველში. გააზრებული აქვთ, რომ ახალი მასალის, ინფორმაციის

დამუშავების პროცესში მასწავლებლის როლი არის ორგანიზებული მიზნობრივი გარემოს შექმნა, სადაც გამოწვევები დაკავშირებული იქნება მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართული იქნება სამიზნე ცნებების გააზრებაზე. კათედრა ამ ყველაფრის საფუძველზე ასაბუთებს, რომ სასწავლო პროცესი ხელს უწყობს აქტიურ სწავლასა და მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში აღნიშნულია, რომ ახალ მასალაზე მუშაობისას გამოწვევის ფაზაზე საბაზო საფეხურზე წინარე ცოდნის შესამოწმებლად ძირითადად გამოიყენებოდა ისეთი სახვადასხვა აქტივობები,რომლის შემდეგაც ხდება მასზე ახალი ცოდნის დაშენება. მასწავლებლები სწავლებისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნას და მასზე დაყრდნობთ აგებენ ახალს. თითოეული მოსწავლის მზაობის გათვალისწინებით პედაგოგები, საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალურად მუშაობენ მოსწავლეებთან. რაც ინტერვიუს შედეგადაც დასტურდება. საზოგადოებრივი მეცნიერებების მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმში კათედრას განსაზღვრული აქვს კომპლექსური დავალებები, როგორც შუალედური სასწავლო მიზნები და გეგმავენ კომპლექსური დავალებებით სწავლებას და პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით. მოსწავლე აქტიურია, ჩართულია შემოქმედებით პროცესში, აქცენტი კეთდება არა მარტო რაიმეს დამახსოვრებაზე, არამედ მის სიღრმისეულ გააზრებაზე. მოსწავლეების მიერ ახალი ცოდნის მიღება ხდება ნაცნობ კონტექსტზე დაფუძნებით, სასწავლო პროცესი დაგეგმილია ნაცნობიდან უცნობისკენ და მარტივიდან რთულისკენ. კლასში შექმნილი თანამშრომლობითი გარემო დაეხმარება მოსწავლეებს აღმოჩინონ და გააკეთონ დასკვნები, რაც მიიღწევა მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით. სახელმწიფო ენის მიერ მოწოდებული კურუკულუმის ჩარჩოები იძლევა შესალებლობას დავასკვნათ, რომ ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. ძირითად ნაწილში დაფარულია ყველა სამიზნე ცნება V-VI კლასებში სარეკომენდაციო თემების, ხოლო VII-XII კლასებში სავალდებულო თემატური ბლოკის ფარგლებში. ვიზიტისას წარმოდგენილი საბაზო საფეხურზე კურიკულუმის ჩარჩოებში სრულად შევსებული და წარმოდგენილი აქვთ 2-2 კომპლექსური დავალება. მასწავლებლებმა თავად გააჟღერეს, რომ კურიკულუმის ჩარჩოების სრულყოფას 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე სრულად შეძლებენ. მუშაობენ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით და აღნიშნავენ, რომ მასწავლებლის წიგნიც ეხმარებათ სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტული პრინციპების დანერგვაში. მასწავლებლები გამოთქვამენ მზაობას თემატური დაგეგმვისა და კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობის კუთხით. კურიკულუმი იგეგმება თემების მიხედვით, რომლებიც წარმოადგენენ სამიზნე ცნებების/ სწავლის შედეგების გააზრების კონტექსტს. თემა ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მის გამოცდილებას და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება. კურიკულუმებში მოცემულია კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც ეყრდნობა წინარე გამოცდილებას, ცხოვრებისეულ სიტუაციებს. წარმოდგენილ თემატურ მატრიცებში აქტივობებიც ისეა დალაგებული, რომ ეყრდნობა წინარე გამოცდილებას. ახალი ცოდნის გადასაცემისას მასწავლებელი მუშაობს იმისათვის, რომ მოიპოვოს ინფორმაცია თუ რა დონეს აჩვენებენ მოსწავლეები, რათა

შედეგი იყოს უკეთესი და მოსწავლეების შემოქმედებითი პროცესებში ჩართვა ეფექტური. მოწოდებული კურიკულუმების

პრაქტიკაში დანერგვა თავისთავად არის ცოდნის აგება წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. საგნობირივი კურიკულუმები გათვლილია მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, ყოველი თემა მუშავდება ეტაპობრივად, წინარე ცოდნის გააქტიურებით იწყება კომპლექსური დავალების პირობის გააზრება, ან მისთვის ნაცნობი კონტექსტითა თუ ცხოვრებისეული მაგალითით ეხმარება ახალი ინფორმაციის ძველთან დაკავშირებაში. მასწავლებლებმა ვიზიტის დროს ისაუბრეს, რომ იყენებენ ქვიზებს, ზეპირ გამოკითხვას, ,,გონებრივი იერიშის“ მეთოდებს რათა დადგინდეს წინარე ცოდნასთან მიმართებით მოსწავლეთა მიღწევის დონე და იმის მიხედვით დანერგონ სასწავლო პროცესი, საჭიროების შემთხვევაში ისევ შეჩერდენ გავლილი მასალის განსამტკიცებელი სამუშაოების წარმოებაზე.

ინდიკატორიდაკმაყოფილებულია.

3. მასწავლებლებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ კურიკულუმებში მოსწავლისთვის შეთავაზებული აქტივობები, კომპლექსური დავალებები მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინების საშუალებას იძლევა. სპორტის კურიკულუმებიდან გამომდინარე სამიზნე ცნების ჯანსაღი ცხოვრების წესის ფარგლებში შექმნილი კომპლექსური დავალებები, სადაც მოსწავლე რეფლექსიის საფუძველზე შეძლებს სწავლების სწავლის პოოცესი აქტიური გახადოს საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება მოსწავლეთა სწავლის სწავლაზე. საბაზო საფეხურზე მათემატიკის მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს ხაზი გაესვა, რომ სასწავლო პროცესში წახალისებულია მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება და ცნობისმოყვარეობა. მოსწავლისთვის შეთავაზებული აქტივობები და დავალებები იძლევა მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინების საშუალებას. მხარდაჭერილია მოსწავლის რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე, ამ ეტაპზე ზეპირსიტყვიერად წახალისებულია მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე; სახელმწიფო ენის მიერ დამატებით წარმოდგენილ თემატურ მატრიცებში წარმოდგენილია კითხვები: რა იყო შენთვის ყველაზე მეტად საინტერესო, რომელსაც აუცილებლად გამოიყენებ პრაქტიკაში? რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? რას გააკეთებდი სხვაგვარად ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას? მსგავსი ფორმის, ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია? შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება თანაკლასელების ნაშრომებისგან? ეს ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. მოსწავლეებს უვითარდება მეტაკოგნიტური უნარები. მოსწავლეები კიდევ ერთხელ გაიაზრებენ მუშაობის პროცესს, ნამუშევრის ძლიერ მხარეებს, ფიქრობენ ხარვეზების გამოსწორების გზებზე. მოსწავლეთა მეტაკოგნიტური უნარების განსავითარებლად მასწავლებელი იყენებს სხვადასხვა აქტივობებს, რათა მოსწავლემ თავად შეიმეცნოს ახალი იდეები, შეძლოს მოცემული ინფორმაციის დახარისხება საჭირო მონაცემების ამოკრება და სწორი გადაწყვეტილების გამოტანა, ამ პროცესებში მასწავლებელი თვალყურს ადევნებს, რათა მოსწავლემ არ გადაუხვიოს სწორ მიმართულებას და არასასურველი შედეგი არ მიიღოს, უნდა აღინიშნოს, რომ კომპლექსური დავალების დანერგვის პროცესები სწორედ სწავლის-სწავლაზე არის ორიენტირებული რათა გათვალისწინებულია მოსწავლი შინაგანი მოტივაციის ზრდის აქტივობები, ამ პროცესებში ხელისშემწყობია დიფერენცირების სწავლების მიდგომები, სადაც ხდება სასწავლო მასალის დიფერენცირება, დროის,

რესურსების. მოსწავლე გრძნობს თავს პოზიტიურ გარემოში ის დაცულია არასწორი კრიტიკისგან ამიტომ თავად აფასებს თავის ნაშრომს, საჭიროების შემთხვევაში ცვლის დასკვნას რაც აუმჯობესებს შედეგებს, ასევე შეფასების პროცესში ახდენს დაკვირვებას თუ როგორ განავითაროს იდეები. სასწავლო კურიკულუმებში ძირითადად აქცენტი კეთდება სწავლა-სწავლების მართებულ ხერხებსა და მიდგომებზე. ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებაზე. სასწავლო პროცესში ძირითადი აქცენტი კეთდება სწავლის სწავლების ხარისხის ამაღლებაზე. მასწავლებელთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, რადგან მასწავლებელი ცდილობენ თავიან მოსწავლეებს დაეხმარონ მეტაკოგნიტურ უნარების განვითარებაში. სწავლა-სწავლების პროცესში ყურადღება მახვილდება ისეთ მასალაზე, რომელიც შეიცავს მოსწავლეების განსხვავებულ ხედვებს, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებას, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, მოსაზრებების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვას.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. ხელოვნებასა და მუსიკაში საბაზო საფეხურის კურიკულუმი არის დადასტურება იმისა რომ საგანის სწავლებისას მასწავლებელი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე, სადაც მოსწავლეები ფლობენ თეორიულ ცოდნას, ახდენენ მის რეალიზებას .კომპლექსური დავალებების განხორციელებას პრატქიკაში ადასტურებენ მასწავლებელები და დეტალურად აღწერენ დავალებაზე მუშაობის პროცესს,რომელიც ცოდნის სამ კატეგორიაზეა ორიენტირებული .რასაც ადასტურებს საბაზო საფეხურის მუსიკისა და ხელოვნების კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები. საზოგადოებრივი მეცნიერებების (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა) შექმნილ კურიკულუმებში კომპლექსური დავალება განსაზღვრულია როგორც შუალედური სასწავლო მიზანი. ინტერვიუს დროს კათედრის წევრებმა ისაუბრეს მათ მიერ დაგეგმილი კომპლექსური დავალებებით სწავლა-სწავლებასა და დავალების პირობის სრულყოფაზე ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, კომპლექსური დავალების მუშაობის პროცესში გაითვალისწინებენ ცოდნის სამივე კატეგორიას. სწორედ ამ პრინციპით მოხდა მათ მიერ შერჩეული დავალებების იდეის შერჩევა სამივე საგანში, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების პროცესის სწორ წარმართვას. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში მოსწავლეები არა მხოლოდ თეორიულ ცოდნას მიიღებენ, არამედ მიღებულ ცოდნას გამოიყენებენ პრაქტიკაში და შექმნიან საბოლოო პროდუქტს, რაც ნიშნავს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. ცოდნის სამი კატეგორიის მნიშვნელობაზე ისაუბრა სახელმწიფო ენის კათედრამაც. მათ აღნიშნეს, რომ ისინი შემაჯამებელ ტესტს აგებენ ისე რომ მოხდეს ფაქტობრივი ცოდნის გახსენება რაც ძირითადად ტერმინოლოგიის გახსენებას, ინფორმაციის მიზნობრივ დასახელებას გულისხმობს ასევე ფორმულის ჩაწერა, წესის გახსენება, ხოლო პროცედურული ცოდნისათვის მის გამოყენებაზე გააკეთეს ყურადღება მაგ; როგორ ახდენს მოსწავლე გამოსახულების გამარტივებას, რა კანონზომიერებებს ამჩნევს საკითხებს შორის, ამის შემდგომ მოხდეს საკითხის ტრანსფერის უნარით სხვადასხვა სამეცნიერო დარგში გამოყენების უნარების განვითარება. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი მიმართულების პედაგოგებთან საუბრისას და წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან გაირკვა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და

განხორციელების ფარგლებში სასწავლო პროცესი საბუნებისმეტყველო საგნებში სრულყოფილად ვერ იძლევა ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირების საშუალებას, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვილობის არ არსებობის გამო. ამიტომ პროცედურული ცოდნის გაძლიერების მიზნით, სკოლამ შეიძინოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვილობა თანამედროვე ტექნიკითა და ინვენტარით, რომელიც მისცემს უსაფრთხო გარემოში რეალური და ვირტუალური ექსპერიმენტების განხორციელების საშუალებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5.საბაზო საფეხურზე კათედრებთან ინტერვიუს დროს წარმოდგენილ კურიკულუმებში ასახული ინფორმაცია, განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები ცხადყოფს, რომ ყურადღება მახვილდება მოსწავლის მიერ ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაზე. კურიკულუმები საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენს. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელიც გათვალისწინებული იქნება ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სწორედ ის საკვანძო ასპექტებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას აძლევს მოსწავლეებს. ეს ფაქტორები გათვალისწინებულია საგნობრივი კურიკულუმის შემუშავების პროცესში, რადგან არჩეული კომპლექსური დავალებების დანერგვა ვერ განხორციელდება ცოდნათა დაკავშირებისა და კონსტრუირების გარეშე. სპორტის მასწავლებელთან გასაუბრების შედეგებიდან გამომდინარე კათედრაზე ინტეგრირებული გაკვეთილები არ ჩატარებულა. თუმცა მეასამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში კურიკულუმებში შერჩეული ისეთი თემები, როგორიცაა ჯანსაღი კვება, ჰიგიენა ცოდნათა ორგანიზებასა და საგანთა ურთიერდაკავშირების საშუალებას იძლევა. საზოგადოებრივი მეცნიერებების საბაზო საფეხურის კურიკულუმში განსაზღვრულია კომპლექსური დავალების იდეები. იგეგმება დავალებების პირობის სრულყოფა ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად, კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა
- საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
- თვითშეფასების კითხვარი;
- ინტერვიუ პედაგოგებთან;

- კლუბის წესდება ნიმუში (დანართი 11);
- შემაჯამებელი დავალების ნიმუშები (დანართი 10);

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; სკოლას საბაზო საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნებში, ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა, საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებული აქვს გრძელვადიანი მიზნებზე ორიენტირება. თემებში მუშავდება სამიზნე ცნებები. იქ სადაც კომპლექსური დავალების იდეა არის განსაზღვრული კარგად ჩანს როგორ დამუშავდება სამიზნე ცნება კონკრეტულ საკითხზე დაყრდნობით. სასწავლო პროცესი დაგეგმილია შემდეგნაირად, პირველ ეტაპზე მოსწავლეები გაეცნობიან საგნობრივ საკითხს, დაისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით მოხდება ახალი ცოდნის კონსტრუქტირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს დაეხმარება მასალის სიღრმისეულად გაგებასა და გააზრებაში. საბოლოოდ მოსწავლე შეიქმნის კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტს, რომელიც შეფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. მასწავლებელთა გასაუბრებიდან ჩანს რომ უცხოური ენების კათედრა აქტიურად მუშაობს საგნობრივი კურიკულუმების შექმნაზე და კომპლექსური დავალებების დაგეგმვაზე. საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზანთან მიმართება, საკითხები ისეა შერჩეული რომ შესაძლებელია თემის დამუშავება, ჩამოყალიბებულია კომპლექსური დავალების იდეა .შესაფერისი კავშირი ჩანს, სამიზნე ცნებას, ქვეცნებას, საგნობრივ საკითხებს და რესურსებს შორის. სახელმწიფო ენის კათედრის ინფორმაციით, პარალელი კლასები ერთად ქმნიან საგნობრივ კურიკულუმებს, სადაც სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათვალისწინებით არჩევენ საგნობრივ

საკითხებს. ამის განსახორციელებლად იყენებენ კომპლექსურ დავალებებს და ინტეგრირებულ გაკვეთილებს. სასწავლო პროცესი დაგეგმილია შემდეგნაირად: მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხს, ისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. მასწავლებლები გეგმავენ მკაფიოდ განსაზღვრონ გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის.დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ ყოველივე ამას უზრუნველყოფს ერთი მხრივ კარაგად დანახული და გაწერილი საგნობრივი კურიკულუმი, მეორე მხრივ,რეალიზებული კომპლექსური დავალებები და რეფლექსია მათზე. ასევე, აცნობიერებენ,რომ ამ მხრივ საჭიროებენ განვითარებას. საბაზოს საფეხურზე გასათვალისწინებელია სავალდებულო თემატური ბლოკისა და ნაწარმოებების საკითხი. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

სკოლის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის ქიმიის, ბიოლოგიის და ფიზიკის საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოებში გასწორდეს შემდეგი ხარვეზები კერძოდ:

ქიმიის მე-9 კლასის ქიმიის კურიკულუმის თემაში - „ნივთიერებათა მრავალფეროვნება - ნათლად ჩამოყალიბდეს კომპლექსური დავალების იდეა. ბიოლოგიის მე-8 კლასის მე-4 სავალდებულო თემის - „ჯანმრთელობა და მავნე თვისებების“ ფარგლებში დაემატოს სამიზნე ცნება „სასიცოცხლო თვისებები“ შესაბამისი სამიზნე ცნებებით, ქვესაკითხებით და სასწავლო რესურსებით.

სწორად აისახოს მე-9 კლასის ბიოლოგიის მე-3 თემის დასახლება, „ადამიანის რეპროდუქციის სისტემის“ ნაცვლად ჩაიწეროს - „ადამიანის რეპროდუქციული სისტემა და ჯამრთელობა“; მე-5 თემაში, მე-4 კლასტერის ძირითად საკითხს - „ევოლუციის საფუძველი“, დაემატოს სამიზნე ცნება „ჯანმრთელობა და მავნე თვისებები, მე-5 სავალდებულო თემაში - „ სახეობა და პოპულაცია“ ძირითადი საკითხს -„ევოლუციის საფუძვლები“ დაემატოს სამიზნე ცნება „ჯანმრთელობა და დაავადება“ ქვეცნებები/ქვესაკითხებით და სასწავლო რესურსებით.

ფიზიკის მე-7 კლასის კურიკულუმში დაემატოს სავალდებულო თემა „თანაბარი და არათანაბარი მოძრაობა“, „ძალა და წნევა“, ასევე, მე-8 კლასის კურიკულუმში დაემატოს სავალდებულო თემა - „სითბური მოვლენები“ შესაბამისი სამიზნე ცნებებით/ ქვესაკითხებით და სასწავლო რესურსებით. გარდა ამისა საბაზო საფეხურის ქიმიის, ბიოლოგიის და ფიზიკის საგნობრივ კურიკულუმების ჩარჩოებში გასწორდეს ტექნიკური ხარვეზები, რომელიც დაკავშირებულია ზედმეტ ველებთან, შეუვსებელ სვეტებთან და ა.შ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებები და შესაძლებლობები. სპორტის კათედრაზე შემუშავებულ კურიკულუმები, მასში გათვლილი თემები და საკითხები, ქვეცნებები, გაწერილი კომპლექსური ტიპის დავალებები, რომელიც ძირითადად ფესტივალითაა განსაზღვრული მოსწავლეს საშუალებას მიცევს მართოს ემოციები. ამოიცნოს ძლიერი და სუსტი მხარეები, გააცნობიეროს სხვების პოზიცია და გამოხატოს ემპათია სხვების მიმართ, ითამაშონ გუნდურად, გაუმკლავდნონ კონფლიქტურ სიტუაციებს. კურიკულუმები, ინტერვიუს დროს აღწერილი სასწავლო პროექტები, სასწავლო პროცესში გამოყენებული რესურსები, აქტივობები, ამ მასალების საფუძველზე

სკოლამ დაასაბუთა, რომ სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს (და არა საგნობრივი საკითხების ამოწურვის „ვალდებულებას“). შესაბამისად მათემატიკის საგნობრივი კონტექსტი ემსახურება მოსწავლის ფსიქო-სოციალურ განვითარებას. საბაზო საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში ძირითადი სავალდებულო თემებია განსაზღვრული. კათედრას ამ ეტაპზე საგნობრივი კონტექსტების ნაწილი აქვს შერჩეული კონკრეტული დავალების განხორციელებისათვის, თუმცა ინტერვიუს დროს გამოიკვეთა და ისაუბრეს მასწავლებლებმა თუ როგორ წარმიმართება მათი სასწავლო პროცესი კურიკულუმის მიხედვით, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. სკოლაში პედაგოგები აქტიურად იყენებენ დიაგრამებს, ცხრილებს, რუკებს, სქემებს, სურათებს, ილუსტრაციებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას. როლურ თამაშები, პრეზენტაციები, სიტუაციური მაგალითების განხილვა კი ეხმარება მოსწავლეებს კომუნიკაციის უნარის განვითარებასა და პირადი ინტერესების განსაზღვრაში. სკოლაში არაფორმალური განათლების მიმართულებით შექმნილია კლუბი „განათლება მომავლისათვის“, რომელიც თანამშრომლობს USAID სამოქალაქო განათლების პროგრამასთან. კლუბს აქვს წესდება, მასში გაწევრიანება ხდება განაცხადის საფუძველზე; კლუბს ჰყავს ლიდერი. თითოეული მონაწილის ფუნქციები განსაზღრულია კლუბის წესდებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. კათედრების ინფორმაციით, შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე; მასწავლებლები მოტივირებული არიან იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ მოსწავლეს თავისი ცოდნის, უნარებისა და ნიჭის განვითარებაში. შეფასების სისტემა (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. საბაზო საფეხურის, კლასებში წარმადგინეს რამდენიმე განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომელშიც იყო უზუსტობები, თუმცა საბოლოო ჯამში განმავითარებელი შეფასება მიემართებოდა გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს; ბუნდოვანი დარჩა განმსაზღვრელი შეფასების საკითხი. მასწავლებლები აცხადებდნენ, რომ განმავითარებელი შეფასება ხდება მესამე თაობის სასწავლო გეგმი შესაბამისად. V-XII კლასების მოსწავლების მიღწევები ფასდება განმსაზღვრელი შეფასებით. მკაფიოდ არ არის მითითებული, როგორ შეიმუშავებს კათედრა განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს და როგორ დაეფუძნება იგი გრძელვადიან მიზნებს. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სამომავლოდ შეეცდებიან მრავალფეროვანი ჰოლისტური შეფასების სისტემა შეიმუშავონ. საბაზო საფეხურზე სკოლას აქვს მზაობა, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებული იყოს ფაქტობრივ ცოდნაზეც და გაითვალისწინონ მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის აქტუალური ყველა გარემოება. წარმოდგენილმა შეფასების რუბრიკებმა საბაზო საფეხურზე, ასევე ინტერვიუმ აჩვენა რომ შეფასების წარმოებისას მასწავლებელები ითვალისწინებენ შეფასების სტრატეგიებს: რომელ მიზანზეა ორიენტირებული შეფასება, რამდენად აძლევს სასწავლო პროცესში შესრულებული დავალებები მოსწავლეს ცოდნის/საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენის საშუალებას და რამდენად შეუწყო ხელი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესმა მოსწავლის ფუნქციური უნარების განვითარებას.

ინტერვიუს დროს ერთ-ერთმა პედაგოგმა ფაქტიურად თვითრეფლექსია წარმოადგინა ზეპირად, ანუ იმის ანალიზი თუ რამდენად მოახდინა მისმა საქმიანობამ ზეგავლენა მოსწავლის მიღწევებზე, შესაბამისად მათემატიკაში შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითერბის მხარდაჭერაზე. ესთეტიკის კათედრის მასწალებელთან გასაუბრების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ რომ მასწავლებელი სასწავლო პროცესში მოსწავლის განვითარებისთვის მიზანმიმართულად იყენებს შეფსების ორივე ფორმას. მასწავლებელს აქვს გამოცდილება და მზაობა სასწავლო პროცესში შეფასება ორიენტირებული იყოს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ იყენებენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ზოგად რუბრიკებს, რომელიც მოსწავლეებთან თანამშრომლობით არის შექმნილი. შესაბამისად, მათ წინასწარ იციან რაში როგორ ფასდებიან ისინი და რაზე უნდა გაამახვილონ ყურადღება. რუბრიკები გასაჯაროებულია და გამოკრულია კლასებში, რაც გამჭვირვალეს ხდის შეფასების პროცესს. კლასის დამრიგებლები უზიარებენ და აცნობენ მშობლებს სხვადასხვა საშუალებებით (სოციალურ ქსელის დახურული ჯგუფები, ინდივიდუალური შეხვედრები..). პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა ძირითადი პრიორიტეტები, რომ შეფასების სისტემა უნდა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. 2023-2024 სასწავლო წელს იგეგმება ახალი შეფასების რუბრიკების შექმნა/დახვეწა და მოსწავლეთა შესაძლებლობების მაქსიმალური გათვალისწინება. ვინაიდან უცხოურ ენებში არ არის წარმოდგენილი შე ფასების რუბრიკები ვერ დგინდება რამდენად ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანია შეფასების სიტემა.თუმცა გასაუბრებაზე მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ დაწყებული აქვთ მუშაობა შეფასების რუბრიკებზე და 2023-2024 სასწავლო წელს გეგმავენ ამ კუთხით ტრენინგების გავლას. როგორც ესთეტიკის კათედრის პედაგოგმა აღნიშნა კომპლექსური დავალებების განხორციელების პრექტიკა არ აქვს თუმცა სასწავლო პროცესში იყენებს კომპექსური ბუნების დავალებებს და მოსწავლეებთან ერთად ქმნის შეფასების რუბრიკებს,მოსწავლეებმა ყოველთვის იციან როგორ და რაში შეფასდებიან . წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ რომ მასწავლებელი იყენებს მრავალფეროვან ინსტრუმენტს განმავითარებელი შეფასებისთვის და აქვს შედგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5.სკოლას ცალკე დოკუმენტი „შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი“ არ აქვს წარმოდგენილი, თუმცა ვერიფიკაცია რეალურად მოსწავლის მიღწევის ანალიზია. პედაგოგებმა დოკუმანტალურად წარმოადგინეს მოსწავლეთა შეფასება, სადაც აღწერილია პროცესი თუ როგორ აანალიზებენ მოსწავლეთა შეფასებებს მათემატიკური აპარატის გამოყენებით და ე.წ. საერთო შემაჯამებელ ანგარიშით, რაც სტატისტიკურად უჩვენებს მათ რამდენად თანმიმდევრულია მოსწავლეთა შეფასება, მათი სწავლის დინამიკა. მათ კარგად ესმით, რომ ეს ანალიზი სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და ილუსტრაციაა იმისა, თუ რამდენად ასრულებს შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას, რამდენად წარმოადგენს ის სწვლა-სწვალების პროცესის საყრდენს. სახელმწიფო ენის კათედრის ინფორმაციით, სასკოლო სასწავლო გეგმა, არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, არეგულირებს და განსაზღვრავს შეფასების ძირითად პრინციპებს და აკადემიურ პერსონალს სთავაზობს შეფასების სხვადასხვა სახის რუბრიკას. მათ საფუძველზე მასწავლებელი მუშაობის პროცესში აკადემიური

თავისუფლების და მოსწავლეებისთვის წინასწარ შეთავაზებული შეფასების კრიტერიუმებზე დაყრდნობით აფასებს მოსწავლეებს. თუ მასწავლებელი ამ პრინციპებს იცავს, როგორც წესი, იშვიათია უთანხმოება თუმცა, რიგ შემთხვევებში, მოსწავლეები და მათი მშობლებს აქვთ უფლება მიმართონ სკოლის დირექციას თუ მიაჩნიათ, რომ შეფასება არაადეკვატურია. დირექციის ფუნქციებიდან ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა, თვალყური ადევნონ და საქმის კურსში იყვნენ კონკრეტულ კლასებსა და საგნებში შეფასების დინამიკას, საჭიროების შემთხვევაში კი მიმართონ პრევენციულ ღონისძიებებს. სკოლა მუშაობს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის შემუშავებაზე. **სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის თანახმად, შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი შემუშავებული იქნება 2023 წლის 30 დეკემბრამდე.**

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას მატერიალური ფორმით, კერძოდ, კათედრის ხელმძღვანელთან ინახება მოსწავლეების ნამუშევრები მატერიალური სახით და ასევე შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმები. მოსწავლეთა პირადი საქმეები, პედ. საბჭოს ოქმები, კათედრის ოქმები, გაკვეთილზე დაკვირვების ფორმები ინახება სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი წესით.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები საზოგადოებრივ მეცნიერებებში;
- თვითშეფასების კითხვარი;
- მოსწავლეთა მიერ შექმნილი პროდუქტები (დანართი 8);
- ინტერვიუ პედაგოგებთან;
- უცხო ენის კურიკულუმები
- შესაბამისობის გეგმა

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.თვითშეფასების კითხვარიდან ირკვევა, რომ სკოლაში შექმნილია პოზიტიური სასწავლო გარემო, მხარს უჭერენ მოსწავლეთა ინიციატივებს და მათთან ერთად გეგმავენ აქტივობებსა თუ ღონისძიებებს. გარდა ამისა, მოსწავლეთა ინდივიდუალური ინტერესები და შეხედვულებები შემლებისდაგვარად გათვალისწინებულია საგნობრივი კურიკულუმების შექმნისას. სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის არის თანამშრომლობითი და პოზიტიური გარემო . სკოლაში ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლისათვის. თანამშრომლობითი ურთიერთობები, გამოცდილების გაზიარება, გამოწვევებისადმი გუნდური მიდგომა სასკოლო კულტურის განუყოფელი ნაწილია. სპორტის კათედრის ინფორმაციით, სკოლა მოწოდებული დოკუმენტაციიდან გამომდინარე მიმდინარე წელს აპირებს დემოკრატიული კუტურის დამკვიდრებას და სასკოლო საზოგადოების ჩართვას გადაწყვეტილებების მიღებაში ფუნქციების გადანაწილებას გუნდური პასუხისმგებლობისთვის. ამ მიზნით სკოლის მიერ გაწერილია მოსწავლეთა თვითმმართველობის, დისციპლინური კომიტეტის არჩევა ფუნქციონირება, საინფორმაციო საშუალებების დახვეწა, განვითარება, მშობელებთან ურთიერთობის ფორმების დახვეწა. სკოლაში შექმნილია პოზიტიური გარემო. კათედრების სხდომებზე ხდება ურთიერთთანამშრომლობა, სამუშაო გამოცდილების გაზიარება, რაც თავის მხრივ მიმღებლობით და მხარდამჭერ გარემოს განაპირობებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების გაანალიზების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით იგეგმება და ხორციელდება მრავალფეროვანი აქტივობები, პროექტები, კომპლექსური ხასიათის დავალებები - ყოველივე ეს კი ორიენტირებულია მოსწავლეთა განვითარებასა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე. მასწავლებლები და მოსწავლეები ერთობლივად მუშაობენ სასწავლო გეგმის შესაქმნელად, რომელიც საუკეთესოდ შეესაბამება თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს. სწავლების მეთოდები, გაკვეთილის სტრუქტურა, უკუკავშირის ფორმები, მოსწავლეთა ღირებულებითი მიდგომები თითოეული მოსწავლის განვითარებას ემსახურება. სასკოლო კურიკულუმები, სადამრიგებლო პროგრამები ესგ-ს შესაბამისია . მასწავლებლები ქმნიან მოსწავლეთა ორიენტირებულ სასწავლო გარემოს, სადაც საშუალება ეძლევათ თავისუფლად გამოხატონ თავიანთი სურვილები, ინტერესები, ასეთი მიდგომები მასწავლებელს ეხმარება სასურველი შედეგის მიღწევაში. სკოლას ჰყავს “ჩემი პირველი კომპიუტერის” ფარგლებში გამარჯვებული მოსწავლეები (3 მოსწავლე); ოქროსა და ვერცხლის მედალოსნები (3 მოსწავლე). სპორტის კათედრის ინფორმაციით, სკოლა მონაწილეობს და მომავალშიც აპირებს მონაწილეობა მიიღო კონკურსებსა თუ ოლიმპიადებში, ჰყავთ გამარჯვებული მოსწავლეები. სტრატეგიული გეგმიდან გამომდინარე სკოლა გეგმავს მოსწავლეებისთვის სათანადო პირობების შეთავაზებას, როგორც სწავლის მიმართულებით, ასევე მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების მხრივ. გასაუბრებისას ესთეტიკის კათედრის მასწავლებლებმა დეტალურად აღწერეს როგორ ახდენდნენ ,სასწავლო პროცესის მოსწავლის ინტერესებზე,საჭიროებებსა და სურვილებზე მორგებას და წარმართვას.შეიძლება ითქვას, რომ კათედრას აქვს მზაობა და გამოცდილება სასწავლო პროცესის მოსწავლეზე ორიენტირებულად წარმართვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. თვითშეფასების კითხვარიდან ირკვევა, რომ პედაგოგები მჭიდროდ ურთიერთანამშრომლობენ ერთმანეთთან. იცნობდნენ ერთმანეთის განხორციელებულ პროექტებსა და კომპლექსურ დავალებებს. ერთად გეგმავენ და ახორციელებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს,

პროექტებს. იზიარებენ ერთმანეთის მოსაზრებებს და ამის შესაბამისად გეგმავენ ახალ სასწავლო პროცესებს. გარდა ამისა, აღინიშნა, რომ აქტიური კომუნიკაცია აქვთ მოსწავლეებთან, რომელთა ინიციატივების შესაბამისად ხორციელდება სხვადასხვა სახის პროექტები. პედაგოგები რეგულარულად თანამშრომლობენ სწავლებისა და კლასის მართვის სტრატეგიების გაუმჯობესების მიზნით, გეგმავენ და ახორციელებენ ერთობლივ პროექტებს, კონფერენციებს, სასკლო ღონისძიებებს, ექსკურსიებსა და ლაშქრობებს. მასწავლებლებლებს, მოსწავლეებსა და მშობლებს შორის ასეთი გუნდურობა ხელს უწყობს მოსწავლის სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებას. კათედრაზე წარმართულ ინტერვიუზე გამოჩნდა ურთიერთთანამშრომლობა და კომუნიკაცია კათედრის წევრებს შორის. აღნიშნულ იქნა გამოცდილების გაზიარება სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და ხარისხის გაუმჯობესების კუთხით. მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ უცხოური ენების კათედრის წევრები ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე ,ხშირად აძლევენ ერთმანეთს წერილობით უკუკავშირსაც და ცდილობენ გაითვალისწინონ კოლეგების რეკომენდაციები. აღსანიშნავია, რომ თვითმმართველობასთან სახელმწიფო ენის კათედრის წევრები ხშირად, ერთობლივად გეგმავგენ გაკვეთილებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირს, რომელიც ძირითადად შემოიფარგლება რჩევებითა და რეკომენდაციებით. კოლეგები გამოცდილების გაზიარების მიზნით ესწრებიან ერთმანეთს, აძლევენ განმავითარებელ შეფასებებს. ასევე, სკოლაში ფუნქციონირებს პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლებიც ესწრებიან გაკვეთილებს, შემუშავებული შეფასების სქემის შესაბამისად აკვირდებიან გაკვეთილების ჩატარების პროცესს, აფასებენ მასწავლებლის მუშაობას და აძლევენ განმავითარებელ შეფასებას, რომელიც ეხმარება მასწავლებელს მისი თვითგანვითარებაში გეგმავენ მოსწავლეების მიღწევების შესახებ ინფორმაციის გაზიარება მოხდება თემატურ მატრიცაზე დაყრდნობით და მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასების გაანალიზების შედეგად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. წარმოდგენილი დოკუმენტაცია და განხორციელებული მრავალფეროვანი აქტივობები გვაფიქრებინებს, რომ სკოლაში არის თანამშრომლობითი კავშირები სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის, რომელიც ეფუძნება ღირებულებებსა და ნორმებზე დაფუძნებულ პოლიტიკას. სკოლის თითოეული პედაგოგი იზიარებს თანამედროვე განათლების სისტემის გამოწვევებს და გაცნობიერებული აქვთ, რომ სწავლების ხარისხი გულისხმობს მოსწავლეთათვის ცოდნის მიცემას და პრაქტიკული ცხოვრებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას. მოსწავლეებთან ერთად იგეგმება და ხორციელდება შემეცნებითი, შემოქმედებითი, ინტელექტუალური და სპორტილი ღონისძიებები. სკოლაში კეთილგანწყობილ და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფენ პედაგოგები, კლასის ხელმძღვანელები და სკოლის ადმინისტრაცია. ფოკუს-ჯგუფის ფორმატში და მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით გამოიკვეთება, რომ პოზიტიური სასკოლო კლიმატის გასაუმჯობესებლად გარდა კურიკულუმის დასახვეწი პროცესებისა, სკოლას მრავალი აქტივობის დაგეგმვა და განხორციელება შეუძლია. კერძოდ: მათემატიკური პროექტების წახალისება მოსწავლეებში ძირითადი ფინანსური უნარების განვითარების მიზნით; - ასევე ძალადობისა და კონფლიქტების პრევენციული ღონისძიებები; თანატოლების თანამშრომლობისა და თანასწავლების წახალისება; მოსწავლის პიროვნულ ზრდაზე მიმართული აქტივობები და სხვა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საბაზო საფეხურის კურიკულუმები (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა);

- სადამრიგებლო პროგრამა (დანართი 12);
- მასწავლებლებთან ინტერვიუ;

- სკოლის 2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის 2022-2023 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სკოლის პედაგოგიური საბჭოს ოქმი

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.საბაზო საფეხურზე მონიტორინგი და შეფასება ეფუძნება მასწავლებელთა მხრიდან საკუთარი პრაქტიკის ანალიზს, განხორციელებული აქტივობების რეფლექსიებს, კათედრაზე გაწეული სამუშაოების წლიურ ანგარიშებს. ჯგუფის წევრები მონიტორინგს უწევენ ისეთ აქტივობებს, როგორებიცაა: ურთიერთდასწრება გაკვეთილზე, პროექტები და სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები. სკოლის დირექცია ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების წევრების პროფესიულ განვითარებას. კერძოდ, უზრუნველყოფს ტრენინგების შესახებ ინფორმაციის მოძიებასა და პედაგოგებში გავრცელებას, რაც შესაძლებლობას აძლევს მასწავლებლებს აიმაღლონ კვალიფიკაცია. გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება სასკოლო ცხოვრების განუყოფელი კომპონენტია. პედაგოგები ყურადღებას ამახვილებენ მასწავლებლების ძლიერ და სუსტ მხარეებზე; აძლევენ ერთმანეთს უკუკავშირს, რომელიც ზრდა-განვითარებაზეა ორიენტირებული. მასწავლებლები ერთმანეთისაგან სწავლობენ ახალ

მეთოდებს, მიდგომებს, სტრატეგიებს, რომელსაც იყენებენ მომავალი გაკვეთილების დაგეგმვისას. 2023-2024 სასწავლო წლიდან სკოლას დაგეგმილი აქვს შეფასებისა და მონიტორინგის ჯგუფის ფარგლებში პროცესების დოკუმენტური და ციკლური სახით წარმოება, იმის გათვალისწინებით, რამდენად მიმდინარეობს პროცესები თავდაპირველი გეგმების შესაბამისად (მონიტორინგი) და რამდენად იძლევა სასურველი ეფექტს (შეფასება). პროცესის ეფექტურად წარმართვისთვის საბაზო საფეხურის კლასების კათედრაზე კურიკულუმის განხორციელების პროცესში ჩართული მასწავლებლებისგან ინტენსიური თანამშრომლობით შეაგროვებენ მონიტორინგისა და შეფასების მასალებს. მოხდება საკვანძო ელემენტების, მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება, მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირება, სკოლის ინსტიტუციური განვითარებისათვის სრულყოფილი ინსტრუმენტების დანერგვა. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ 2023-2024 სასწავლო წელს დიაგნოსტირებას ისტორიასა და მოქალაქეობა, განახორციელებენ I ინსტრუმენტის საშუალებით, წელიწადში ორჯერ. რაც შეეხება გეოგრაფიას, პედაგოგმა გასაუბრების დროს ვერ გაიხსენა რომელი ინსტრუმენტით და რამდენჯერ განახორციელებს დიაგნოსტირებას. შესაბამისი დოკუმენტიც არ გამოუგზავნია სკოლას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლაში არის ურთიერთდასწრების გამოცდილება, რომლის დროსაც საბაზო საფეხურის პედაგოგები აკვირდებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, მსჯელობენ ხარვეზებსა და გამოვლენილ საჭიროებებს, რასაც ერთობლივად განიხილავენ და ისე გეგმავენ მომავალ აქტივობებს. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მონიტორინგი და შეფასება საჭიროა მიღწევებისა და არსებული გამოწვევების გამოსაკვეთად, რათა ამის შემდგომ პროცესები იმგვარად დაიგეგმოს, რომ შესაძლებელი იყოს ეფექტიანი პრაქტიკის გათვალისწინება და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, ამ პროცესებში მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის ჩართულობა, რაც უნდა უზრუნველყოს სკოლამ. 2023-2024 სასწავლო წლიდან იგეგმება მონიტორინგისა და შეფასების უფრო მოქნილი და დახვეწილი მექანიზმის შექმნა, ხარისხის ჯგუფის თანმიმდევრული მუშაობის უზრუნველყოფა, რომლის პრიორიტეტი თითოელი მასწავლებლის პროფესიული ზრდა-განვითარება იქნება. უცხოური ენების კათედრის ინფორმაციით, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში იკითხება , რომ სკოლა განსაზღვრავს რა ფორმით მოხდება სასკოლო საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობა მონიტორინგისა და შეფასების პროცესში, რათა მოხდეს მათი გამოცდილების, სურვილების, იდეების, დაკვირვების შედეგების, მოსაზრებების გათვალისწინება, რაც მათ მხარდაჭერასა და დახმარებას მოიაზრებს.

ინდიკატორიდაკმაყოფილებულია.

3. მასწავლებლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ მონიტორინგისა და შეფასებისას გამოიკვეთება მიღწევები და პრობლემები, გაანალიზდება ისინი და დაიგეგმება არსებული გამოწვევების მოგვარების გზები. სახელმწიფო ენის პედაგოგების ინფორმაციით, კათედრებისა და ხარისხის მართვის ჯგუფის წარმოდგენილი ანგარიშის საფუძველზე ხდება სასწავლო პროცესის მონიტორინგი, არსებული პრობლემების გამოკვეთა. პრობლემის გამოკვეთის შემდეგ ხდება ერთობლივად, მისი გადაჭრის გზების ძიება და მისი აღმოფხვრა.კათედრის დონეზე არ ჩანს, რომ მონიტორინგი და შეფასება რამდენად განსაზღვრავს, პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. ქოუჩინგის ეტაპზე დაიწყეს ფიქრი კონკრეტულად რა ფორმითა და ინსტრუმენტით განახორციელებენ პედაგოგიკური პრაქტიკის კვლევას, სადიაგნოსტიკო შეფასებასა და თვითშეფასებას. ესთეტიკის კათედრის მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება,რომ კურიკულუმში გაწერილ თითოეულ კომპლექსურ დავალებასთან,თემასთან მიმართებით შეიქმნება შეფასების რუბრიკა გაწერილი ინდიკატორებით. შეიძლება ითქვას,რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება

აწარმოოონ მიზანმიმართულად და პროცესში აღმოჩენილი ხარვეზების მიხედვით განახორციელონ შემდგომ კურიკულუმში ცვლილება.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- თვითშეფასების კითხვარი;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სკოლაში ჩამოყალიბებულია ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემა, როგორც საკლასო, ისე სასკოლო დონეზე, რომელიც შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. განსაკუთრებით მნიშველოვანია განმავითარებელი შეფასება, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლესა და პედაგოგის ინფორმირებას სწავლის პროცესში განხორციელებული პროგრესის შესახებ, რაც თავის მხრივ უადვილებს როგორც დაინახოს მასწავლებელს მოსწავლის პროგრესი, ასევე მოსწავლეს დაფიქრდეს თავის სწავლის-სწავლაზე. მშობლები ინდივიდუალურად ეცნობიან შვილების განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას, აქედან გამომდინარე მოსწავლეთა მშობლებს შესაძლებლობა ეძლევათ იზრუნონ თავისი შვილის შედეგების გაუმჯობესებისათვის. ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ მომდევნო სასწავლო წლისთვის კათედრაზე შეიმუშავებენ შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს, რომლებიც უფრო ნათლად დაანახებს მოსწავლის შედეგსა და პროგრესს. სახელმწიფო ენის პედაგოგებთან გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესის შეფასება უნდა ეყრდნობოდეს მრავალფეროვან წყაროებს და უნდა ხდებოდეს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის

ჩართულობით. ასევე მიუთითებდნენ,რომ ინფორმაციას ღებულობენ მშობლისგან, დამრიგებლისგან. მასწავლებლებმა სათანადოდ დაასაბუთეს ამ სახის მიღებულ ინფორმაციას, როგორ გამოიყენებენ შეფასებისას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.საბაზო საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ შეფასება ხორციელდება მრავალი კომპონენტის გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს თითოეულ მოსწავლეზე მაქსიმალურად სრულყოფილი და ამომწურავი ინფორმაციის მოპოვებას. ასევე შემდგომ ამ ყველაფრის სასწავლო პროცესში გათვალისწინებას, სასწავლო თემების, საკითხების, შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბების სახით. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ამ მიმართულებით კიდევ აქვთ სამუშაო და ბევრი რამ გასაუმჯობესებელი. სპორტის კათედრის ინფორმაციით, სკოლის გეგმავს რომ შეფასება სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინებით განხორციელდეს. საგნობრივ კათედრები შეიმუშავებენ შეფასების ინსტრუმენტებს, რომლის შესაბამისად მოხდება მოსწავლის შესწავლა სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინებით. მათემატიკის მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ პედაგოგები ცდილობენ შეისწავლონ რამდენად ეფექტურია მათ მიერ გადადგმული ნაბიჯები სწავლის შედეგების თვალსაზრისით, ისინი ცდილობენ შეფასებისას გაითვალისწინონ კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწავლეთა ინტერესები და ა.შ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. საბაზო საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის წევრები იყენებენ მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდს, კერძოდ, დაკვირვებას, ინტერვიუს მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. მომავალი სასწავლო წლიდან დაგეგმილი აქვთ მონაცემთა შეგროვების უფრო მოქნილი მექანიზმების შემუშავება. გამოიყენებენ მონაცემთა შეგროვების რაოდენობრივ და თვისებრივ მეთოდებს. კათედრის დონეზე სკოლას სათანადო გამოცდილება აქვს შეფასებისთვის საჭირო მონაცემთა შეგროვების კუთხით. თუმცა, არ არის გამოყენებული მრავალფეროვანი მეთოდები. მასწავლებლები მიუთითებენ, მომავალი სასწავლო წლისთვის გეგმავენ მოსწაველათა შედეგების დიაგნოსტირებას ,,საკლასო წერის“ ინსტრუმენტით. იმედოვნებენ, ეს მეთოდი იქნება მორგებული მათი კათედრისთვის. 2023-2024 სასწავლო წლის განმავლობაში უცხოური ენების კათედრა გეგმავს ჩაატაროს სადიაგნოსტიკო შეფასება, რისთვისაც შეარჩიეს შეფასების N3 ინსტრუმენტი, რაც გულისხმობს კომპლექსური დავალების შესრულების შემდეგ მოსწავლეების მიერ თვითშეფასების ფორმის შევსებას, რომელსაც თავის მხრივ აფასებენ მასწავლებლები. შემდეგ სკოლაში შექმნილი ჯგუფის წევრები(დირექცია, მასწავლებლები) ეცნობიან მასწავლებლების მიერ შევსებულ ანგარიშის ფორმებს და გამოკვეთენ მოსწავლეების ტიპურ პრობლემებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. მასწავლებლების ხედვა ნაწილობრივ ასახავს შეფასების მულტიფაქტორულ მიდგომას, შეიძლება ითქვას, რომ შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა მორგებულია მოსწავლის ინტერესებზე. დასაზუსტებელია განმსაზღვრელი შეფასების პრინციპი.სკოლის მიერ დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაციაში იძებნება შეფასების სისტემის ვერიფიკაციის აღმწერი დოკუმენტი,რაც აზუსტებს

შეფასებასთან დაკავშირებულ საკითხებს, რაც ვიზიტის მომენტისთვის ბუნდოვანი იყო. სპორტის კათედრის ინფორმაციით, სკოლა გეგმავს მოსწავლე და სასწავლო პროცესი შეაფასოს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, როგორებცაა: დრო და სივრცე, მულტიფაქტორული მიდგომა, მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავება, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირება, იდენფიცირება და ყველაფერი, რასაც შეუძლია გავლენის მოხდენა შედეგზე.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- თვითშეფასების კითხვარი;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან;
- შეფასების რუბრუკა (დანართი 7);

შეფასება:
○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია
2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ავტორიზაციის თვიშეფასების ფორმაში ვკითხულობთ, რომ სკოლაში ხდება კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია, რომ მონიტორინგის აქტივობებს აკვირდება და მონიტორინგს უწევს ხარისხის გავითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, სკოლის ადმინისტრაციის წევრები. მუშავდება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი სასკოლო სტრუქტურის ყველა დონისთვის. ითვალისწიბებენ მიღწევების თვითშეფასებას, SWOT-ანალიზს, წლიურ სამოქმედო გეგმას. თუმცა ამ ეტეპზე არ არის მითითებული რა სახით ხდება რეფლექსია, საჭიროებების კვლევა. კათედრა ხედავს კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შექმნის აუცილებლობას. მასწავლებლებს ესმით რომ არა სპონტანურად, არამედ თანმიმდევრულად უნდა წარიმართოს მიმდინარე წელს კურიკულუმის დანერგვის შესახებ მონაცემების შეგროვება და დამუშავება. რეფლექსიით და საჭიროებების კვლევით ისინი შეძლებენ წლის ბოლოს კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის ჩამოყალიბებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციისა და კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ, კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. სასწავლო წლის ბოლოს კათედრის წევრებს შორის განიხილება საგნობრივი კურიკულუმები და მოხდება მათი გადამუშავება, შედგება მომავალი წლის სამოქმედო გეგმა სადაც გათვალისწინებული იქნება რევიზირების შედეგად მიღებული მიგნებები. აღნიშნული მოემსახურება მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმების დაგეგმვასა და განხორციელებას. ახალი სასწავლო წლიდან პედაგოგები დანერგავენ მონიტორინგისა და შეფასების შედეგების კვლევის მექანიზმს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- თვითშეფასების კითხვარი;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი წარმოდგენილია სკოლის მიერ, სადაც ჩანს შეხედულებები,შესაძლებლობები და პრიორიტეტები ეროვნულ სასწავლო გეგმასთან მიმართებით. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების წევრების მასწავლებლების, მშობლების, მოსწავლეების ინტერესების, პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. გაწერილია კურიკულუმის განვითარების პროცესში მასწავლებლების ზოგადი ფუნქციები, რას და როგორ გაკეთებს მასწავლებელი; არ არის გაწერილი, ვინ და როგორ იყენებს შემუშავების, დანერგვისა და განვითარების ინსტრუმენტებს. სკოლა აგრძლებს აღნიშნულ დოკუმენტზე მუშაობას , რათა მოხდეს მისი დახვეწა, მშობელთა ჩართულობის გაზრდა და პასუხისმგებელი პირების ფუნქცია-მოვალეობების დეტალური გაწერა. ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარში სკოლა აფიქსირებს, კურიკულუმის შემუშავებისას. ითვალისწინებენ მოსწავლის ინტერესებს, შესაძლებლობებს და საჭიროებებს. - სსსმ მოსწავლეებისთვის კურიკულუმის შედგენაში აქტიურად არის ჩართული ისგ ჯგუფი. მათთვის ინდივიდუალურად დგება შეფასების რუბრიკა. აღიარებენ, რომ ამ ეტაპზე სასწავლო კურიკულუმის შედგენის პროცესში მშობელთა და მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხი დაბალია, თუმცა იმედოვნებენ, რომ გამოცდილება, პროცესებზე დაკვირვება უფრო დახვეწს მომავალში კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიას. გეგმავენ წაახალისონ მათი ჩართულობა მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის შექმნისას და ამისთვის გამოიყენონ საგნობრივი ექსპერტებისა და ქოუჩების ჩართულობა. კათედრა მზადაა გააგრძელოს მუშაობა, რათა კურიკულუმები მაქსიმაურად მორგებული იყოს სასკოლო საზოგადოებაზე. საშუალო საფეხურის მასწავლებლებთან გასაუბრებამ კი მეტნაკლებად გამოკვეთა, ვინ, რა სახით მონაწილეობს კურიკულუმის შემუშავებაში. მასწავლებლები საუბრობდნენ ამ პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობაზე. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია არ არის წარმოდგენილი, მასწავლებლები თანამშრომლობენ, კათედრებზე განიხილავენ განხორციელებულ აქტივობებს, მიმდინარე წლის პრობლემებს და მთელი წლის განმავლობაში შეგროვვებული მონაცემების საფუძველზე ქმნიან ახალ კურიკულუმებს. კათედრებზე აანალიზებენ განხორციელებულ კომპლექსურ დავალებებს და საჭიროებებიდან გამომდინარე ცვლიან მას, რისთვისაც იყენებენ

კომპლექსური დავალებების ბანკს. რადგან სკოლას არ აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია. **სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის თანახმად, 2023 წლის 23 ოქტომბრამდე განხორციელდა კურიკულუმის მეთოდოლოგიის დოკუმენტის შექმნა. აღნიშნული დოკუმენტი წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმასთან ერთად.**
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. პედაგოგებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ ისინი ცდილობენ პოზიტიური, სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერაზე ორიენტირებული სასკოლო კულტურის შექმნას; მოსწავლეზე ორიენტირებული, საფეხურის პროგრამების კურიკულუმში ასახვას; მოსწავლის სწავლის შედეგების ანალიზს; განმავითარებელი შეფასების სისტემის დახვეწას; არაფორმალური განათლების ხელშეწყობას; მშობლის ბარათებით მშობელთა ინფორმირებას თუ რისი სწავლა უწევთ მათ შვილებს - ეს ყველაფერი ბუნებრივად უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ყველა ინტერესების კურიკულუმში ასახვას, მომავალი სასწავლო წლიდან დაგეგმილი აქვთ ამ პროცესების გაძლიერება. სკოლის მიერ ვიზიტისას დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესი და მოტივაცია, თუმცა ძირითადი პასუხისმგებლობა გადადის საგნობრივ კათედრის რამდენიმე წევრებსა და დირექციაზე; ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარში სკოლა აცხადებს, მასწავლებლები ცდილობენ სადამრიგებლო პროგრამებში ასახონ სასკოლო პროექტის თემები, რომლებიც მორგებული იქნება სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებას დამრიგებლების მეშვეობით ახდენს. დამრიგებლები საგნის მასწავლებლებთან ერთად აქტიურად თანამშრომლობენ მშობელთან. აწვდიან ინფორმაციას და მათგან ღებულობენ უკუკავშირს. მსგავსი საკითხების განხილვა ხდება მშობელთა კრებებზეც. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
3. მათემატიკის კათედრის ინფორმაციით, სასკოლო საზოგადოების წევრები (ამ ეტაპზე ადმინისტრაცია, მასწავლებლები) მონაწილეობდნენ და ახლაც ჩართული არიან კურიკულუმის შემუშავების პროცესში, მათ ჩართულობას ფორმალური და ფრაგმენტული სახე არ აქვს. ისინი გუნდურად ცდილობენ სიახლეების დანერგვას, კურიკულუმების წესრიგში მოყვანას და ა.შ. გააზრებული აქვთ, რომ კურიკულუმის შემუშავება ციკლური პროცესია და მასში ჩართულობა გულისხმობს მთელი წლის მანძილზე მიმდინარე პროცესებში თანამონაწილეობას. კურიკულუმის მიმდინარე ვერსია, რომელიც ავტორიზაციის პროცესში წარმოადგინეს, გასაუბრებით დადასტურდა, რომ იყო გაზიარებული და შეთანხმებული. წარმოდგენილი დოკუმენტიდან გამომდინარე სკოლა გეგმავს სასკოლო კურიკულუმის განვითარების მიზნით მოხდეს ფუნქციების, პაუხისმგებლობების განაწილება სასკოლო საზოგადოებას შორის, რაც მოიაზრებს მათ ჩართულობას კურიკულუმის შემუშავების პრცესში. მასწავლებლებმა შეხვედრისას აღნიშნეს, რომ კათედრებზე ერთობლივი მუშაობის შედეგად მოხდა კურიკულუმების შემუშავება განვლილი წლების ანალიზზე დაყრდნობით.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის პედაგოგების მიერ საშუალო საფეხურის კურიკულუმები შემუშავებული და გაზიარებულია კათედრებზე.

კურიკულუმის გაზიარების და ინფორმაციის მიწოდების მიზნით, სკოლაში პერიოდულად ტარდება შეხვედრები მშობლებთან, რომელთაგანაც ღებულობენ ზეპირ უკუკავშირს. კურიკულუმის საბოლოო ვერსია განთავსებულია სკოლის facebook გვერდზე, მშობელთა დახურულ ჯგუფებში და საინფორმაციო დაფებზე, რომელზე ხედვაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აქვს. სკოლა სასკოლო კურიკულუმისა და ასევე სასწავლო პროცესებთან დაკავშირებული

ინფორმაციის საჯაროობის მიზნით გეგმავს გამოიყენოს სხვადასხვა საშუალებები, როგორიცაა სკოლის სოციალური ქსელი, ელექტრონული ფოსტა, ბეჭდვითი მასალები, სკოლის ვებ გვერდი, ასევე საჭიროების შემთხვევაში მშობლებთან გამართოს ინდივიდუალური შეხვედრები და უკუკავშირის საფუძველზე მოახდინოს კურიკულუმის განვითარება/გადამუშავება. ყველა მათემატიკის პედაგოგს აქვს მიკუთვნებულობის განცდა სასკოლო კურიკულუმის მიმართ, როგორც ყველას პროდუქტი - ასე აღიქვამენ. სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა თითეული მათგანისთვის, აღნიშნეს რომ აქვთ ამობეჭდილიც კათედრაზე, ჩანდა კადრშიც გასაუბრების დროს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შევსებული თვითშეფასების კითხვარი;
- მასწავლებლებთან ინტერვიუ;
- მშობელთა კომუნიკაციის კითხვარი (დანართი 3);
- დამრიგებლის მშობელთა კრების ოქმი (დანართი 4);

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. უცხოურ ენებში შედგენილი კურიკულუმები ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ

შუალედური მიზნების განსაზღვრისას იხელმძღვანელეს სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების,

შესაძლებლობების, წინარე ცოდნის და საჭიროებების შესაბამისად. სკოლის მათემატიკის საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი ძირითადად სასწავლო პროცესზე ორიენტირებული პროგრამაა, რომელიც აჩვენებს, თუ როგორ ხდება მოსწავლის მიერ ცოდნის კონსტრუირება მათემატიკაში. საშუალო საფეხურის წარმოდგენილი ორი კლასის კურიკულუმის დიზაინი აგებულია იმგვარად, რომ ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე: მათემატიკური მოდელი, კანონზომიერება და ლოგიკა. კურიკულუმებსი გრძელვადიან მიზნების დასახელება რომ არ ხდება ფორმალურად, ეს მასწავლებლებთან გასაუბრების დროსაც დაზუსტდა. ამ ეტაპზე არ წარმოუდგენიათ მე-11 კლასი კურიკულუმები, მას შემდეგ რაც გრიფირების შედეგები გაირკვა, მუშაობა დაიწყეს და მზად ექნებათ 15 სექტემბრამდე. ასევე დაამატებენ მე-12 კლაში შუალედურ მიზნებს-კომპლექსურ დავალებებს, მათ ესმით რომ კურიკულუმის დახვეწა მუშა და ცოცხალი პროცესია, შესაბამისად ხშირად შიტანენ ცვლილებებს, სანამ მათთვის ოპტიმალურ სახეს არ მიიღებს. საშუალო საფეხურზე მუსიკისა და ხელოვნების სწავლება მიმდიანროებს სავალდებულ პროექტის სახით. სკოლას 2023-2024 სასწავლო წელს პროექტის ჩარჩოები წარმოდგენილი აქვს როგორც ხელოვნებაში ასევე მუსიკაში . კათედრასთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ პროექტის მიზანი და შინაარსი ორიენტირებულია მოსწავლის ცხოვრებისეულ კონტექტებსა და პირად გამოცდილებაზე, პროექტის ფარგლებში დაგეგიმილია მოსწავლეზე ორიენტირებული აქტივობები. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.**

2. საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით წარმოდგენილია თემები, შუალედური მიზნები, რამდენიმე შუალედური მიზანი . კომპლექსური დავალების მიხედვით თემატური მატრიცა, საიდანაც იკითხება, რომ კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები); თვითშეფასების კითხვარში სკოლა აცხადებს, რომ მოსწავლეებში გლობალური უნარების განვითარებას, არა მარტო კომპლექსური დავალებებით, არამედ პროექტული სწავლებითა და თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების კითხვარების გამოყენებით ააქტიურებენ გლობალურ კოგნიტურ უნარებს. გასაუბრებისას მასწავლებლებმა გამოკვეთეს, რა კავშირია კურიკულუმი მორგებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, სამიზნე ცნებებს შედეგებსა და XXI საუკუნის ისეთი უნარებ შორის, როგორიცაა; კრიტიკული აზროვნება, ურთიერთობა, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ლიდერობა, დროის მოქნილობა, ხასიათი. დაწყებით კლასებში მასწავლებლები აქტიურად იყენებენ ხარაჩოს მეთოდს,რაც ხელს უწყობს მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურებას და ემსახურება კონსტრუქტივიზმის 5 პრინციპს. სკოლაში სამოქალაქო განათლების, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების მიერ დაარსებულია სასკოლო კლუბები, რომლებიც ხელს უწყობენ მოსწავლეებში 21-ე საუკუნის კომპეტენციების განვითარებას. წარმოდგენილი საშუალო საფეხურის წლიური საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმილია მათემატიკის საგნობრივი სტანდარტისა და გრიფირებული სახელმძღვანელოების მიხედვით, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სავალდებულო თემებით, რომლის ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება. ძირითადად ჩანს თუ რა საგნობრივ საკითხებს, თემებს, ძირითად რესურსებს, შეფასების ინსტრუმენტებს სთავაზობს სკოლა საკუთარ მოსწავლეებს პიროვნული განვითარებისთვის და ასევე ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად. კურიკულუმებში არ არის ასახული ყველა კომპლექსური დავალება, რომელიც უნდა შესთავაზონ მოსწავლეებს, თუმცა

გასაუბრებაზე დააზუსტეს, რომ უკვე შეჯერდნენ რომელ კომპლექსურ დავალებებს განახორციელებენ და უმოკლეს ვადაში ასახავენ კურიკულუმებშიც. შეიძლება ითქვას, სკოლის მიერ საშუალო საფეხურზე გააზრებულია შედეგები, სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები გრძელვადიან მიზნებად. ჩანს კორელაცია გრძელვადიან მიზნებსა და შეფასების ინსტრუმენტებს შორის. დასტურდება საგნობრივ კურიკულუმით, მოსწავლეთა შეფასების ამსახველი დოკუმენტებით, პედაგოგებთან გასაუბრებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს; სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც მოსწავლე განიხილება, როგორც კონკრეტული გამოცდილების, ინტერესებისა და მზაობის მქონე ინდივიდი, ეს კი თავის მხრივ გულისხმობს დიფერენცირებულ სწავლის მიდგომებს. მასწავლებლები სსსმ მოსწავლეებისთვის ადგენენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს, რომლის ფარგლებშიც მაქსიმალურად ხდება მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინება. ისინი თავიდანვე მუშაობენ კომპლექსური დავალებებისა და შეფასების ინსტრუმენტების მოდიფიცირებაზე, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიური გარემოს შექმნას სსსმ მოსწავლეებისთვის. სპეც მასწავლებელი, დამრიგებელი და საგნის მასწავლებელი ერთობლივად მუშაობენ სსსმ მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალებების მოდიფიცირებაზე. მათემატიკის სწავლების პროცესის შინაარსი მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე, კერძოდ საშუალო საფეხურის გადმოგზავნილი კურიკულუმები, მოსწავლეთა შეფასების დოკუმენტები ასახავს კონკრეტული მოსწავლეების ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს. კურიკულუმებში, შუალედური სასწავლო მიზნის მიღწევის აუცილებელ ინსტრუმენტად კომპლექსური დავალებებია დასამატებელი, რომელიც საშუალებას მისცემს მასწავლებლებს გაითვალისწინონ მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები. ამჟამად სკოლას აქვს გეგმა სსსმ მოსწავლეებთან სამუშაოდ, ასევე აქვთ მზობა კმპლექსური დავალების ადაპტირებული ვერსიები შექმნან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. თვითშეფასების კითხვარის ანალიზიდან ირკვევა, რომ განმავითარებელი შეფასებისას მასწავლებლები მოსწავლის შესახებ აგროვებენ მონაცემებს, რათა შეძლონ მოსწავლეთა საჭიროებების დადგენა. პედაგოგები ძირითადად იყენებენ განმსაზღვრელ შეფასებას და ზეპირ განმავითარებელ შეფასებას. მიმდინარე სასწავლო წელს სკოლაში იყენებდნენ განმსაზღვრელი შეფასების I მოდელს და 2023-2024 სასწავლო წლისთვისაც გადაწყვიტეს იგივე მოდელის გამოყენება. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში წარმოდგენილია ზოგადი შეფასების რუბრიკები, რომელთა გამოყენებაც ხდება პედაგოგების მიერ სასწავლო პროცესში. მათემატიკა წარმოდგენილი შეფასების სანიმუშო რუბრიკა საშუალო საფეხურზე ეფუძნება საგნობრივ კურიკულუმში, მოსწავლეთა შეფასების ამსახველ დოკუმენტებში გრძელვადიან მიზნებს. კათედრის წევრებთან ინტერვიუში გამოიკვეთა, რომ შეფასებას სწავლა-სწავლების პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. კათედრამ წარმოადგენია 1 სანიმუშო განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ცალკე ფაილად X კლასში. აქვთ მზაობა, სამივე კლასშიც შექმნან ყველა თემისთვის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ გააზრებული აქვთ განმსაზღვრელი შეფასების როლი სწავლის შედეგების აღწერასა და მიღწევის საერთო მაჩვენებელთან მიმართებით.

რაც შეეხება განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, ამ ეტაპზე არ წარმოუდგენიათ, თუმცა ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრას ესმის განმავითარებელი შეფასების როლი, ის მოსწავლის შესახებ აგროვებს მონაცემთა ფართო სპექტრს, რაც

ეხმარება მასწავლებელს უკეთესად იზრუნოს მოსწავლის შემდგომ განვითარებაზე. ამ რუბრიკებზე დაყრდნობით გაცემული განმავითარებელი შეფასებით შესაძლებელია თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკის კონტროლი და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. აქვთ მზაობა შექმნან და გამოიყენონ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. თვითშეფასების კითხვარიდან ირკვევა, რომ პედაგოგები დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას, კერძოდ, ახდენენ შედეგების ანალიზს და მის საფუძველზე ქმნიან განახლებულ კურიკულუმებს. მასწავლებლები უზიარებენ ერთმანეთს საკუთარი პედაგოგიური საქმიანობის წლიურ ანგარიშებს. აკეთებენ უკუკავშირს, რეფლექსიას, იზიარებენ კოლეგების გამოცდილებას კურუკულუმების, სასწავლო პროექტების, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებებისა, თუ სასწავლო პროცესში გამოყენებული აქტივობების შესრულების შესახებ. გასაუბრებისას სახელმწიფო ენის მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სამომავლოდ დაგეგმვის პროცესში უფრო მეტად გათვალისწინებენ წინარე გამოცდილების ანალიზს და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვებისა და ანალიზის ინსტრუმენტზე მუშაობენ. შეფასებისა და ანალიზის შედეგად მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირის, რეფლექსიის შედეგების და წინარე გამოცდილების გათვალისწინებით გადაამუშავებენ კურიკულუმებს. მათემატიკის სამივე საფეხურის კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღება მიაქციეს სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაცია გამოიკვეთა მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს. მათ კურიკულუმში სამივე საფეხურზე შეიტანეს ქოუჩების მიერ რექკომენდირებული კომპლექსური დავალებები. გამოთქვეს მზაობა რომ მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირის, რეფლექსიის შედეგების და წინარე გამოცდილების გათვალისწინებით გადაამუშავებენ და დახვეწავენ კურიკულუმებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის კურიკულუმი;
- სკოლის სასკოლო პროექტები
- სკოლის მასწავლებლებელთა პორტფოლიო;
- ინდ. გეგმის ნიმუშები
- სკოლის ინკლუზიური განათლების კონცეფცია და გეგმა
- კურიკულუმის შექმნის მეთოდოლოგია

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

სკოლაში არ არის საბუნებისმეტყველო ლაბორატორია**,** შესაბამისად**,** საფრთხე ექმნება საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფში შემავალი საგნების კურიკულუმის განხორციელებას საშუალო საფეხურზე**.** (საფუძველი**:** ავტორიზაციის დებულების მე**-5** მუხლის მე**-4** პუნქტი)

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები, რამდენიმე თემატური მატრიცა, პროექტები და სხვადასხვა აქტივობების დოკუმენტაცია, ასევე მასწავლებელებთან გასაუბრება საშუალებას გვაძლევს, ვივარაუდოთ, რომ კურიკულუმის

განხორციელებისას პედაგოგები დიდი ყურადღებას უთმობენ კონსტრუქტივისტულ პრინციპებს. მაქსიმალურად ცდილობენ შექმნან მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემო, სადაც მოსწავლეს შეუძლია დამოუკიდებლად აზროვნება, ცოდნის კონსტრუირება-შენება. მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ, რომ თავად ისინი ამ პროცესში ასრულებენ ფასილიტატორის როლს. პედაგოგების მხრიდან ხდება მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების გათვალისწინება და ამის შესაბამისი თემების, მასალების, კომპლექსური დავალებების, რესურსების და აქტივობების შერჩევა. სწავლა-სწავლების პროცესს ამდიდრებენ რესურსებით, კოგნიტური სქემებით, ასოციაციური რუკებით და ა.შ, რაც მოსწავლეს ეხმარება საკითხის კრიტიკულად გააზრებასა და შემოქმედებითი უნარების განვითარებაში. გასაუბრებისას მასწავლებლები თავიანთი პედაგოგიური გამოცდილებისა და წინარე სასწავლო წლის რეფლექსიის საფუძველზე გამოთქვამდნენ სურვილსა და მზაობას, რომ მათ მიერ დაგეგმილი სწავლა-სწავლების პროცესმა ხელი შეუწყოს აქტიურ სწავლებასა და მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გაღვივებას. ამისთვის დიფერენცირებული სწავლების პრინციპებს დაეფუძნებიან. მოსწავლებს შესთავაზობენ, ისეთ აქტივობებს, სადაც თვითონ მოსწავლემ უნდა შექმნას პროდუქტი და აქტიურ, შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას მისცემს მათ. ამდაგვარად შემოქმედებით პროცესთან ერთად ცოდნის კონსტრუირების პროცესსაც ეყრება საფუძველი. კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რომლებიც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს შეიძინონ ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. მოსწავლეები შუალედურ მიზანზე მუშაობენ, როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად, ინაწილებენ მოვალეობებს. ინოვაციური პროექტების განხორციელება და კლუბური მუშაობა ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებითი, სააზროვნო, გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევების წარმოჩენას. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ავტორიზაციის მაძიებლობის განაცხადის შევსებიდან ვიზიტამდე კურიკულუმის ჩარჩო გაამდიდრეს. სასურველია, სამივე საფეხურზე დაიგეგმოს უფრო მეტი კომპლექსური დავალება, რაც სასწავლო პროცესში კონსტრუქტივიზმის პრინციპების დამკვიდრებას უზრუნველყოფს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით; ინტერვიუს დროს კათედრის წევრებმა ისაუბრეს დაგეგმვის პროცესში წინარე გამოცდილების ანალიზზე, თუ როგორ ხდება სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეთა წინარე ცოდნის გათვალისწინება და მასზე დაყრდნობთ ახალ კურიკულუმის აგება, სადაც თითოეული მოსწავლის მზაობა, შესაძლებლობები და ინტერესებია გათვალისწინებული. წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმში კათედრას განსაზღვრული აქვს კომპლექსური დავალებები, როგორც შუალედური სასწავლო მიზნები და გეგმავენ კომპლექსური დავალებებით სწავლებას და პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით. მოსწავლე აქტიურია, ჩართულია შემოქმედებით პროცესში, აქცენტი კეთდება არამარტო რაიმეს დამახსოვრებაზე, არამედ მის სიღრმისეულ გააზრებაზე. სახელმწიფო ენის კათედრის მიერ მოწოდებული კურუკულუმის ჩარჩოები იძლევა შესალებლობას დავასკვნათ, რომ ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. ძირითად ნაწილში დაფარულია სამიზნე ცნება V-VI კლასებში სარეკომენდაციო თემების, ხოლო VII-XII კლასებში სავალდებულო თემატური ბლოკის ფარგლებში. მასწავლებლები მუშაობენ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით და აღნიშნავენ რომ მასწავლებლის წიგნიც

ეხმარებათ სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტული პრინციპების დანერგვაში. მასწავლებლები გამოთქვამენ მზაობას თემატური დაგეგმვისა და კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობის კუთხით. კურიკულუმი იგეგმება თემების მიხედვით, რომლებიც წარმოადგენენ სამიზნე ცნებების/ სწავლის შედეგების გააზრების კონტექსტს. თემა ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მის გამოცდილებას და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება. კურიკულუმებში მოცემულია კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც ეყრდნობა წინარე გამოცდილებას, ცხოვრებისეულ სიტუაციებს. წარმოდგენილ თემატურ მატრიცებში აქტივობებიც ისეა დალაგებული, რომ ეყრდნობა წინარე გამოცდილებას. ახალი ცოდნის გადასაცემა მასწავლებელი მუშაობს იმისათვის რომ მოიპოვოს ინფორმაცია თუ რა მიღწევიდ დონეს აჩვენებენ იმისთვის შედეგი იყოს უფრო უკეთესი და მოსწავლეების შემოქმედებითი პროცესებში ჩართვა ეფექტური. მოწოდებული კურიკულუმების პრაქტიკაში დანერგვა თავისთავად არის ცოდნის აგება წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. საგნობირივი კურიკულუმები გათვლილია მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, ყოველი თემა მუშავდება ეტაპობრივად, წინარე ცოდნის გააქტიურებით იწყება კომპლექსური დავალების პირობის გააზრება, ან მისთვის ნაცნობი კონტექსტითა თუ ცხოვრებისეული მაგალითით ეხმარება ახალი ინფორმაციის ძველთან დაკავშირებაში. მასწავლებლებმა ვიზიტის დროს ისაუბრეს, რომ იყენებენ ქვიზებს, ზეპირ გამოკითხვას, ,,გონებრივი იერიშის“ მეთოდებს რათა დადგინდეს წინარე ცოდნასთან მიმართებით მოსწავლეთა მიღწევის დონე და იმის მიხედვით დანერგონ სასწავლო პროცესი, საჭიროების შემთხვევაში ისევ შეჩერდენ გავლილი მასალის განსამტკიცებელი სამუშაოების წარმოებაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები და შესასვლელი და გასასვლელი ბარათების გამოყენება (ნიმუში გადმოგზავნილი აქვთ), მიანიშნებს, რომ სწავლის სწავლაზე კეთდება აქცენტი, რაც მოსწავლის მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს. მასწავლებლები ინტერვიუში ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ისინი სასწავლო პროცესში ფასილიტატორის როლს ირგებენ და მოსწავლეებს მრავალფეროვანი მეთოდების დახმარებით უბიძგებენ ცოდნის აგებისაკენ. სკოლის მიერ შექმნილი გარემო, ინფრასტრუქტურა, შემუშავებული კურიკულუმები, თემები, საკითხები, ჩაშენებული განსახორციელებელი კომპლექსური ტიპის დავალებები გათვლილია მოსწავლეთა საჭიროებებზე და მათ სასწავლო პროცესში აქტიურად ჩართულობაზე. მასწავლებლის გასაუბრების შედეგებიდან გამომდინარე სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ყოველთვის გათვალისწინებული იყო მოსწავლეთა არა მარტო ინტერესი და საჭიროებები, არამედ შესაძლებლობები. რაც ერთი და იგივე საკითხის სხვადასხვა ტიპის აქტივობებით შესრულებასაც გულისხმობს. მუსიკასა და ხელოვნებაში წარმოდგენილი პროექტული დავალებები სწავლის სწავლას შეუწყობს ხელს. მასწავლებელმა გასაუბრებისას აღწერა როგორ მოხდება კურიკულუმში წარმოდგენილი პროექტების განხორციელება და აქვე აღნიშნა პროექტის დროს როგორ განვითარდებოდა მეტაკოგნიტური უნარები.გამომდინარე აქედან შეიძლება დავასკვნათ რომ ,მასწავლებელი იაზრებს სასწავლო პროცესში ცოდნის კეთებით სწავლებით მნიშვნელობას აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. ამაზე მეტყველებს შუალედურ მიზნებად კომპლექსური დავალებების განხილვა. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი ხელს უწყობს მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას. მოსწავლეს უწევს იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას შემოქმედებითობა სჭირდება, დამოუკიდებელი მასწავლელის როლი, რეფლექსია და მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენება, მის ხასიათს და პიროვნებას აყალიბებს. წინარე ცოდნის გააქტიურების დროს აქცენტი კეთდება დეკლარატიულ ცოდნაზე, ამისთვის უფრო ხშირად იყენებენ სხვადასხვა მაორგანიზებელ სქემას. პრაქტიკული სავარჯიშოები შეესაბამება პროცედურებს, რომლებიც მოქმედებების განხორციელების საშუალებას იძლევა. პროცედურული ცოდნა უპასუხებს შეკითხვას: როგორ განვახორციელო? დინამიკური ხასიათისაა და მოქმედებათა განხორციელების საშუალებას იძლევა. პირობისეული ცოდნა აერთიანებს დეკლარატიულ და პროცედურულ ცოდნას და გულისხმობს ტრანსფერს ცხოვრებაში. სწავლებისას გამოყენებულია პროექტებით სწავლებაც, რაც ასევე ხელს უწყობს დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული ცოდნის ჩამოყალიბებას. ცოდნათა სამ კატეგორიის მნიშვნელობაზე კათედრამ ისაუბრა შეხვედრაზე და აღნიშნა, რომ ისინი შემაჯამებელ ტესტს აგებენ ისე რომ მოხდეს ფაქტობრივი ცოდნის გახსენება რაც ძირითადად ტერმინოლოგიის გახსენებას, ინფორმაციის მიზნობრივ დასახელებას გულისხმობს ასევე ფორმულის ჩაწერა, წესის გახსენება, ხოლო პროცედურული ცოდნისათვის მის გამოყენებაზე გააკეთეს ყურადღება მაგ; როგორ ახდენს მოსწავლე გამოსახულების გამარტივებას, რა კანონზომიერებებს ამჩნევს საკითხებს შორის, ამის შემდგომ მოხდეს საკითხის ტრანსფერის უნარით სხვადასხვა სამეცნიერო დარგში გამოყენების უნარების განვითარება. ამ პროცესებში ასევე მნიშვნელოვანია გამოიყოს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესები რომელიც წარიმართება ცოდნათა სამი კატეგორიის გააქტიურების ხარჯზე. სასწავლო პროცესისისთვის დაგეგმილი კურიკულუმები ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე (პროცედურულ,პირობისეულ და დეკლარატიული) წარმოდგენილ შუალედურ მიზნებზე დაყრდნობით და გასაუბრებით შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული). მასწავლებელთა პორტფოლიოებში ასახული მოსწავლეთა შესრულებული კომპლექსური დავალებებიდანაც იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი ააქტიურებს სამივე სახის ცოდნას. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები
პედაგოგებთან საუბრისას და წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან გაირკვა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სასწავლო პროცესი საბუნებისმეტყველო საგნებში სრულყოფილად ვერ იძლევა ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირების საშუალებას, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვილობის არ არსებობის გამო. ამიტომ პროცედურული ცოდნის გაძლიერების მიზნით, სკოლამ შეიძინოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვილობა თანამედროვე ტექნიკითა და ინვენტარით, რომელიც მისცემს უსაფრთხო გარემოში რეალური და ვირტუალური ექსპერიმენტების განხორციელების საშუალებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5.კომპლექსური ტიპის დავალებებზე მუშაობა მოითხოვს ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას, რადგან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შექმნაზე და ა.შ. ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. ყველა ეს აქტივობა კი მისგან მოითხოვს ყველა გამოცდილების მობილიზებასა და ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნას. იგივე როლს ასრულებს პროექტული სწავლებაც, რომელიც ხელს უწყობს ცოდნათა ორგანიზებას და დაკავშირებას. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებელი სასწავლო პროცესში უზრუნველყოფს მოსწავლეების ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. გასაუბრებისას მასწავლებლები აღნიშნავდნენ, რომ შეეცდებიან კომპლექსური ბუნების დავალებებით ასწავლონ, რადგან ამ ტიპის დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე და ა.შ. ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. უცხოური ენების კათედრის ინფორმაციით, კომპლექსური დავალებები და სხვადასხვა სასკოლო პროექტები ისეა აგებული, რომ მოსწავლემ გააერთიანოს ყველა ის უნარი და ცოდნა, რაც მას გამოადგება პრობლემის გადაჭრისას. იგეგმება სამომავლოდ იმ უნარების განვითარება, რომელიც მნიშვნელოვნად საჭიროა გამოწვევებთან გამკლავებისას და პროდუქტის შექმნისას, ცოდნის ინსტრუმენტად გარდაქმნისთვის.2023-2024 სასწავლო წელს იგეგმება ადგილობრივ პროექტებსა და კონფერენციებში მოსწავლეების ჩართვა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიია; (დრაფტ-ვერსია)
- კლასების კურიკულუმი;
- მასწავლებლთა პორტფოლიოები;
- ინკლუზიური განათლების განხორციელების გეგმა;
- ინდივიდუალური გემის ნიმუში ქართული (დამატებით წარმოდგენილი)

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; პარალელი კლასები ერთად ქმნიან საგნობრივ კურიკულუმებს, სადაც სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათვალისწინებით არჩევენ საგნობრივ საკითხებს. ამის განსახორციელებლად იყენებენ კომპლექსურ დავალებებს და ინტეგრირებულ გაკვეთილებს. სასწავლო პროცესი დაგეგმილია შემდეგნაირად: მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხს, ისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. მასწავლებლები გეგმავენ მკაფიოდ განსაზღვრონ გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის.დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ ყოველივე ამას უზრუნველყოფს ერთი მხრივ კარაგად დანახული და გაწერილი საგნობრივი კურიკულუმი, მეორე მხრივ,რეალიზებული კომპლექსური დავალებები და რეფლექსია მათზე. ასევე, აცნობიერებენ,რომ ამ მხრივ საჭიროებენ განვითარებას. საშუალო საფეხურზე გასათვალისწინებელია სავალდებულო თემატური ბლოკისა და ნაწარმოებების საკითხი. სპორტის კათედრის მიერ მოწოდებულ კურიკულუმებში მხოლოდ კომპლექსური დავალების პირობაა წარმოდგენილი, მასწავლებლებმა ისაუბრეს უკვე განხორციელებული კომპლექსური დავალებების ეტაპებზე, რომელსაც გადიან უშუალოდ ფესტივალის/მოძრავი თამაშების ჩატარებისას, ხოლო მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, რეფლექსიები, თვითშეფასება, ურთიერთშეფასება დაეხმარება მოსწავლეებს სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების გააზრებასა და გათავისებაში. საშუალო საფეხურის ერთი კლასების კურიკულუმის ჩარჩოდან იკვეთება ის, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. მომავალი სასწავლო წლისთვის დაგეგმილია სრულად შევსებული კურიკულუმები მე-11 კლასის ჩათვლით და კომპლექსური დავალებების ფირმირება. მათი გამოყენებით წარმართული სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენის გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; საშუალო საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში ძირითადი თემებია განსაზღვრული. კათედრას ამ ეტაპზე საგნობრივი კონტექსტების ნაწილი აქვს შერჩეული კონკრეტული დავალების განხორციელებისათვის, თუმცა ინტერვიუს დროს

გამოიკვეთა და ისაუბრეს მასწავლებლებმა თუ როგორ წარმიმართება მათი სასწავლო პროცესი კურიკულუმის მიხედვით, რაც თავის

მხრივ უზრუნველყოფს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო - სოციალურ განვითარებას. სკოლაში იყენებენ როლურ თამაშებს, სიტუაციურ მაგალითებს და პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდებს, რაც ეხმარება მოსწავლეებს კომუნიკაციის უნარის განვითარებასა და მათი ინტერესების განსაზღვრაში. არაფორმალური განათლების მიმართულებით სკოლაში შექმნილია კლუბი სახელწოდებით - „განათლება მომავლისათვის", რომელიც თანამშრომლობს USAID სამოქალაქო განათლების პროგრამასთან. კლუბს აქვს წესდება და ჰყავს ლიდერი. მასში გაწევრიანება ხდება მოსწავლის განცხადების საფუძველზე. თითოეული მონაწილის ფუნქციები განსაზღრულია კლუბის წესდებით. ყოველივე ეს ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სასკოლო სასწავლო გეგმიდან, მასწავლებელთა გასაუბრებიდან და თვითშეფასების ფორმიდან ჩანს რომ მასწავლებლები იყენებენ განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას, თუმცა უცხოურ ენებში არა არის წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები, მხოლოდ მოსწავლეთა თვითშეფასების რუბრიკების ნიმუშებია საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებული ფრაგმენტულად. გასაუბრებაზე მასწავლებლებმა აღნიშნეს , რომ მუშაობენ კომპლექსური დავალებებისთვის განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნაზე, თუმცა არ წარმოუდგენიათ უკვე შექმნილი ნიმუშის სახით. საშუალო საფეხურის მათემატიკის მასწავლებლები მოსწავლეებს აფასებენ როგორც ზეპირსიტყვიერი-განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებით. მასწავლებლებთან ინტერვიუმ დაადასტურა, რომ მათ გააზრებული აქვთ, რომ შეფასება არის მრავალმხრივი პროცესი. ისინი ითვალისწინებენ ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებულ შეფასების პრინციპებს, იაზრებენ შეფასების სისტემის მნიშვნელობას და ახალი სასწავლო წლისთვის გეგმავენ უფრო დეტალიზებული შეფასების რუბრიკების შექმნას. საშუალო საფეხურზე მოსწავლეთა მრავალმხრივი უნარების განვითარების ხელშეწყობის მიზნით სკოლა იყენებს შეფასების მრავალფეროვან რუბრიკებს,რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციითაც. მასწალებლებთან გასაუბრების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ რომ მასწავლებელი სასწავლო პროცესში მოსწავლის განვითარებისთვის მიზანმიმართულად იყენებს შეფსებას . მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება და მზაობა სასწავლო პროცესში შეფასება ორიენტირებული იყოს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე .

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ იყენებენ ზოგადი ხასიათის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, რომელიც მოსწავლეებთან თანამშრომლობით არის შექმნილი. შესაბამისად, მათ წინასწარ იციან რაში როგორ ფასდებიან ისინი და რაზე უნდა გაამახვილონ ყურადღება. პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა ძირითადი პრიორიტეტები, რომ შეფასების სისტემა უნდა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. სხვადასხვა საგნის მასწავლებლები მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების შესაფასებლად იყენებენ შეფასების სხვადასხვა ტიპებს: პრეზენტაცია, ექსპერიმენტი, ესე, რეფერატი, პროექტული სწავლება, დისკუსია, დებატები. 2023-2024 სასწავლო წელს იგეგმება ახალი შეფასების რუბრიკების შექმნა/დახვეწა და მოსწავლეთა შესაძლებლობების მაქსიმალური გათვალისწინება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5.სკოლაში ამ ეტაპზე სკოლაში არ ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, თუმცა, გასაუბრების დროსგამოიკვეთა, რომ შეინიშნება ცალკეული მცდელობები მის შექმნასთან დაკავშირებით. **სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის თანახმად, შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი შემუშავებული იქნება 2023 წლის**

30 დეკემბრამდე.

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას მატერიალური ფორმით, კერძოდ, კათედრის ხელმძღვანელთან ინახება მოსწავლეების ნამუშევრები მატერიალური სახით და

ასევე შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმები. პედ. საბჭოს ოქმები, კათედრის ოქმები, გაკვეთილზე დაკვირვების ფორმები ინახება სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- თვითშეფასების კითხვარი;
- კლუბის წესდება (დანართი 11);
- მოსწავლეთა მიერ შექმნილი პროდუქტები (დანართი 8);
- ინტერვიუ პედაგოგებთან;

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში ჩანს რომ სკოლის მისია და ხედვა ორიენტირებულია მოსწავლეზე. მასწავლებელთა გასაუბრებაზე აღინიშნა , რომ სკოლაში არის ნაყოფიერი სივრცე თანამშრომლობითი და პოზიტიური კომუნიკაციისთვის სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. სკოლის დირექცია ღიაა მასწავლებლების, მოსწავლეების, მშობლების იდეების მიმართ, წაახალისებს მოქმედების თავისუფლებას, მათ ჩართულობას და მონაწილეობას სკოლის განვითარებაში. ნებისმიერი პრობლემა და გამოწვევა განიხილება როგორც გაზიარებული პასუხისმგებლობით მისაღები გადაწყვეტილება. იგივე ხდება მასწავლებლებს შორის: თანამშრომლობითი ურთიერთობები, გამოცდილების გაზიარება, გამოწვევებისადმი გუნდური მიდგომა წამყვანი პრიორიტეტებია მათი საქმიანობის პროცესში. ისინი სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებთან ერთად ერთობლივი ძალისხმევით ზრუნავენ მოსწავლეთა აკადემიურ და პიროვნულ წინსვლაზე. მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით იმართება სპორტული შეჯიბრებები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების გაანალიზების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით იგეგმება და ხორციელდება მრავალფეროვანი აქტივობები, პროექტები, კომპლექსური ხასიათის დავალებები. ყოველივე ეს კი ორიენტირებულია მოსწავლეთა განვითარებასა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე. მასწავლებლები და მოსწავლეები ერთობლივად მუშაობენ სასწავლო გეგმის შესაქმნელად, რომელიც საუკეთესოდ შეესაბამება თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს. სწავლების მეთოდები, გაკვეთილის სტრუქტურა, უკუკავშირის ფორმები, მოსწავლეთა ღირებულებითი მიდგომები თითოეული მოსწავლის განვითარებას ემსახურება. სასკოლო კურიკულუმები, სადამრიგებლო პროგრამები ესგ-ს შესაბამისია . მასწავლებლები ქმნიან მოსწავლეთა ორიენტირებულ სასწავლო გარემოს, სადაც საშუალება ეძლევათ თავისუფლად გამოხატონ თავიანთი სურვილები, ინტერესები, მასწავლებლები საჭიროების მიხედვით თავიანთ საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვისას იყენებენ სხვადასხვა ფორმებსა და მეთოდებს: თანამშრომლობითი სწავლების ფორმას, ინტერაქტიული სწავლების მეთოდს, რომელიც ზრდის მოსწავლეთა ჩართულობას სასწავლო პროცესში. მასწავლებლები ქმნიან მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოს, სადაც საშუალება ეძლევათ თავისუფლად გამოხატონ თავიანთი სურვილები, ინტერესებიასეთი. ასეთი მიდგომები მასწავლებელს ეხმარება სასურველი შედეგის მიღწევაში. სკოლას ჰყავს „ჩემი პირველი კომპიუტერის“ ფარგლებში გამარჯვებული მოსწავლეები (3 მოსწავლე); ოქროსა და ვერცხლის მედალოსნები (3 მოსწავლე). აღნიშნული ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს მოსწავლეზე ორიენტირებულად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.თვითშეფასების კითხვარიდან ირკვევა, რომ საშუალო საფეხურის პედაგოგები მჭიდრო ურთიერთანამშრომლობენ ერთმანეთთან. იცნობდნენ ერთმანეთის განხორციელებულ პროექტებსა და კომპლექსურ დავალებებს. ერთად გეგმავენ და ახორციელებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს, პროექტებს. იზიარებენ ერთმანეთის მოსაზრებებს და ამის შესაბამისად გეგმავენ ახალ სასწავლო პროცესს. გარდა ამისა, ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ წახალისებულია თითოეული მოსწავლის ინიციატივა, რომლის გათვალისწინებითაც სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა შინაარსის პროექტი. პედაგოგები რეგულარულად თანამშრომლობენ სწავლებისა და კლასის მართვის სტრატეგიების გაუმჯობესების მიზნით, გეგმავენ და ახორციელებენ ერთობლივ პროექტებს, კონფერენციებს, სასკლო ღონისძიებებს. კათედრაზე ხდება გაკვეთილების დაგეგმვა. ერთობლივად დაგეგმილ გაკვეთილებზე კი შემდგომ ხდება დაკვირვება და რეფლექსია. პერიოდულად მასწავლებლები ესწრებიან პროფესიული განვითარების ტრენინგებს და მიღებულ ცოდნას და სიახლეებს მუდმივად უზიარებენ ერთმანეთს. მათემატიკის კათედრის წევრთა შორის ხდება გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება. ამის უზრუნველყოფისთვის კი მეტად მნიშვნელოვანია თანამშრომლობა, გუნდურობა. დასტურდება ინტერვიუთი. სასწავლო პროცესი დაფუძნებულია თანამშრომლობაზე და გუნდურობაზე, სასკოლო საზოგადოების წარმატებას, ერთობლივი მუშაობა, გუნდურად პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, გამოცდილების გაზიარება წარმოადგენს, კერძოდ კათედრების წევრების ერთობლივი გადაწყვეტილებების მიღება, საგანთა შორის

კავშირების დამყარება, რაც გამოიხატება ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარებაში და სხვადასხვა სასკოლო პროექტებში .გასაუბრებისას მასწავლებლებმა დაასახელეს მათ მიერ ჩატარებული ინტეგრირებული გაკვეთილები და პროექტები,ისაუბრეს განვლილ და განხორციელებულ ნაბიჯებზე .რაც დასტურდება დოკუმენტაციით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. წარმოდგენილი დოკუმენტაცია და პედაგოგებთან გასაუბრება გვაფიქრებინებს, რომ სკოლაში არის თანამშრომლობითი კავშირები სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის, რომელიც ეფუძნება ღირებულებებსა და ნორმებზე დაფუძნებულ პოლიტიკას. სკოლის თითოეული პედაგოგი იზიარებს თანამედროვე განათლების სისტემის გამოწვევებს და გაცნობიერებული აქვთ, რომ სწავლების ხარისხი გულისხმობს მოსწავლეთათვის ცოდნის მიცემას და პრაქტიკული ცხოვრებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას. მოსწავლეებთან ერთად იგეგმება და ხორციელდება შემეცნებითი, შემოქმედებითი, ინტელექტუალური და სპორტილი ღონისძიებები. სკოლაში კეთილგანწყობილ და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფს სკოლის დირექცია, კლასის ხელმძღვანელები და თითოეული იქ დასაქმებული პირი. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ მიუხედავად არსებული განსხვავებებისა და თავისებურებებისა, სკოლაში არსებობს ჯანსაღი, ნდობაზე დაფუძნებული თანამშრომლობითი გარემო მათი სრულფასოვანი განვითარებისათვის. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი, როგორც კლასის, ისე სკოლის დონეზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის კურიკულუმები (ისტორია, საქართველოს ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა);
- თვითშეფასების კითხვარი;
- მასწავლებლებთან ინტერვიუ;
- სადამრიგებლო პროგრამა (დანართი 12);
- მასწავლებლის შეფასების რუბრიკა (დანართი 14);
- შესაბამისობის გეგმა

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ დირექცია ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების წევრებს პროფესიულ განვითარებაში. კერძოდ, დროულად უზიარებს ინფორმაციას დაგეგმილი ტრენინგების შესახებ. დირექტორისა და ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერი ჯგუფის მიერ ხორციელდება მონიტორინგი. შემუშავებულია გაკვეთილებზე დასწრების გრაფიკები, უკუკავშირები შესაბამისი რეფლექსიებით, ხორციელდება ფასილიტაცია საჭიროებისამებრ. საშუალო საფეხურზე მონიტორინგი და შეფასება ეფუძნება მასწავლებელთა მხრიდან საკუთარი პრაქტიკის ანალიზს, განხორციელებული აქტივობების რეფლექსიებს, კათედრაზე გაწეული სამუშაოების წლიურ ანგარიშებს. ჯგუფის წევრები მონიტორინგს უწევენ ისეთ აქტივობებს, როგორებიცაა: ურთიერთდასწრება გაკვეთილზე, პროექტები და სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები. მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში ახლა ინერგება კომპლექსური დავალებებით სწავლება, აქვთ დიდი გამოცდილება გაკვეთილის გეგმის შექმნის, რეფლექსიისა და მასზე გაცემული უკავაშირის სწორი ფორმის შერჩევის, რასაც გამოიყენებენ ახალი კურიკულუმით სწავლებისას. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ 2023-2024 სასწავლო წლიდან დიაგნოსტირებას ისტორიასა და მოქალაქეობაში განახორციელებენ I ინსტრუმენტის საშუალებით, წელიწადში ორჯერ, ხოლო გეოგრაფიის პედაგოგს არ ჰქონდა აღნიშნულთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიღებული, რასაც შეათანხმებს კათედრის წევრებთან და ჩამოყალიბდებიან საბოლოო ვერსიაზე. კურიკულუმის შეფასებისა და მონიტორინგის

მიზნით შეიმუშავებენ მექანიზმს, რომელიც დაეხმარებათ დაადგინონ, რამდენად სწორად მიმდინარეობს კურიკულუმის დანერგვის პროცესი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლაში არის ურთიერთდასწრების გამოცდილება, რომლის დროსაც საშუალო საფეხურის პედაგოგები აკვირდებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, მსჯელობენ ხარვეზებსა და გამოვლენილ საჭიროებებს, რასაც ერთობლივად განიხილავენ და ისე გეგმავენ მომავალ აქტივობებს. მხარდამჭერთა ჯგუფის წევრები, ასევე „კრიტიკული მეგობარი“ ახორციელებს დაკვირვებასა და შეფასებას საგაკვეთილო პროცესზე. მიღებული უკუკავშირი მასწავლებელს ეხმარება პროფესიულ ზრდაში მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მონიტორინგი და შეფასება საჭიროა მიღწევებისა და არსებული გამოწვევების გამოსაკვეთად, რათა ამის შემდგომ პროცესები იმგვარად დაიგეგმოს, რომ შესაძლებელი იყოს ეფექტიანი პრაქტიკის გათვალისწინება და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, ამ პროცესებში მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის ჩართულობა, რაც უნდა უზრუნველყოს სკოლამ. 2023-2024 სასწავლო წლიდან იგეგმება მონიტორინგისა და შეფასების უფრო მოქნილი და დახვეწილი მექანიზმის შექმნა, რომლის პრიორიტეტი თითოელი მასწავლებლის პროფესიული ზრდა-განვითარება იქნება. სკოლა გეგმაცს მონიტორინგი და შეფასება განხორციელდეს კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად; სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციის მიხედვით სკოლაში არსებული შეფასების ჯგუფისა და კათედრის მიერ ხორციელდებოდა ურთიერთდასწრებები, რომელიც ორიენტირებული იყო სასკოლო საზოგადოების დახმარებასა და მხარდაჭერაზე. მომავალი წლიდან სკოლა გეგმავს შექმნას ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც შეიმუშავებს დებულებას და წინასწარ შედგენილი გრაფიკით განახორციელებს გაკვეთილზე დასწრებას მთელი წლის განმავლობაში. დაკვირვების განხორციელების შემდეგ მოხდება პოზიტიური უკუკავშირი, რაც მნიშველოვანია მასწავლებლის პროფესიული განვითარების კუთხით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. კათედრებისა და დირექტორის მოადგილის, ხარისხის მართვისა და განვითარების ჯგუფის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის საფუძველზე ხდება სასწავლო პროცესის მონიტორინგი, არსებული პრობლემების გამოკვეთა. პრობლემის გამოკვეთის შემდეგ ხდება ერთობლივად, მისი გადაჭრის გზების ძიება და მისი აღმოფხვრა.კ ათედრის დონეზე არ ჩანს, რომ მონიტორინგი და შეფასება რამდენად განსაზღვრავს, პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. ქოუჩინგის ეტაპზე დაიწყეს ფიქრი კონკრეტულად რა ფორმითა და ინსტრუმენტით განახორციელებენ პედაგოგიკური პრაქტიკის კვლევას, სადიაგნოსტიკო შეფასებასა და თვითშეფასებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- თვითშეფასების კითხვარი;
- საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;

- ინტერვიუ მასწავლებლებთან;

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კათედრებმა ინტერვიუსას განმარტეს, რომ აქვთ ასეთი პრაქტიკა (მაგ: კათედრის შეხვედრის ოქმი, ურთიერთდასწრების ფორმები) რომელიც წარმოაჩენს წყაროებსა, მასალებს და ამ მასალების საფუძველზე გამოკვეთილ დასკვნებს, რომლების საფუძველზეც სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი მიმდინარეობს. პროცესს გააძლერებენ მომავალი სასწავლო წლიდან. სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან და მასწავლებლის შედეგებიდან გამომდინარე შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს; სკოლაში არსებული შეფასების სისტემა, შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. საშუალო საფეხურზე მნიშვნელოვანია როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი შეფასება ,რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლესა და პედაგოგის ინფორმირებას სწავლის პროცესში განხორციელებული პროგრესის შესახებ, რაც თავის მხრივ უადვილებს როგორც დაინახოს მასწავლებელს მოსწავლის პროგრესი, ასევე მოსწავლეს დაფიქრდეს თავის სწავლის-სწავლაზე. უცხოურ ენების კათედრის წევრებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ საშუალო საფეხურზე იყენებენ მხოლოდ განმსაზღვრელ შეფასებას. სამწუხაროდ არ არის წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები გარდა მოსწავლეთა თვითშეფასების რამდენიმე რუბრიკისა, რომელიც კურიკულუმის ჩარჩოებში აქვთ ჩაშენებული.2023-2024 სასწავლო წელს იგეგმება ტრენინგები მასწავლებლებისთვის რათა გაეცნონ განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებს, შეიმუშავებენ შეფასების რუბრიკების სხვადასხვა აქტივობებისთვის. თითოეული კომპლექსური დავალებისთვის შექმნიან განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს , მონიტორინგს გაუწევენ მოსწავლეთა მიღწევების შეფასებას.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. მასწავლებლები საუბრობენ მრავალფეროვან კომპლექსურ დავალებებს მაგ: პოსტერების შექმნა; პრეზენტაცია, პრობლემური საკითხის წარმოდგენა იმიტირებული სიტუაციის (მინისპექტაკლის,როლური თამაშის და სხვ.) საშუალებით; ნაწარმოების ინსცენირება. ტექსტის შეცვლა: გავრცობა-შევსება, ახალი პერსონაჟ(ებ)ის შემოყვანა, დასასრულის შეცვლა,

თხრობის გაგრძელება, წერილი ავტორს, პერსონაჟს; ერთი პერსონაჟის წერილი მეორის მიმართ; წარმოსახვითი ინტერვიუ

ავტორთან, პერსონაჟთან და ა.შ მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სამომავლოდ საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევისას, აუცილებლად გაითვალისწინებენ და შეისწავლიან რამდენად ეფექტურია, მათ მიერ შემუშავებული ინტერვენცია სწავლის შედეგების თვალსაზრისით. ამგვარი კვლევა მოიაზრებს, ისეთ კონტექსტს, როგორიცაა კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწვალეთა ინტერესები და ა.შ. დასკვნის ვალიდაციას სწორედ მრავალი კოტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს, რაზეც კათედრას სამუშაო აქვს. საშუალო საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ შეფასება ხორციელდება მრავალი კომპონენტის გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს თითოეულ მოსწავლეზე მაქსიმალურად სრულყოფილი და ამომწურავი ინფორმაციის მოპოვებას; შემდგომ კი ამ ყველაფრის სასწავლო პროცესში გათვალისწინებას, სასწავლო თემების, საკითხების, შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბების სახით. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სკოლაში შეფასების მექანიზმი დასახვეწი აქვთ, რაზეც მუშაობა უკვე დაწყებულია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. მასწავლებლევი იყენებენ მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდს. კერძოდ, მონაცემთა შეგროვების თვისებრივ და რაოდენობრივ მეთოდებს. თვისებრივი მეთოდებიდან იყენებენ დაკვირვებას, ფოკუსჯგუფებს და ინტერვიუს. რაოდენობრივიდან - გამოკითხვას. მოსწავლეები ფასდებიან სხვადასხვა ფორმებით. მასწავლებლები თანამშრომლობენ მშობლებთან და კლასის დამრიგებლებთან. მათი დახმარებით ადგენენ მოსწავლეების ინტერესების სფეროს, რისი საშუალებითაც ექმნებათ სრული წარმოდგენა მოსწავლეების შესახებ. პედაგოგები ფიქრობენ რომ სკოლაში დასახვეწია მონაცემთა შეგროვების მეთოდები. ნაკლებად ჩანს წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, ასევე ინტერვიუშიც, შეფასებისას მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები..2023-2024 სასწავლო წლის განმავლობაში უცხოური ენების კათედრა გეგმავს ჩაატაროს სადიაგნოსტიკო შეფასება, რისთვისაც შეარჩიეს შეფასების N3 ინსტრუმენტი, რაც გულისხმობს კომპლექსური დავალების შესრულების შემდეგ მოსწავლეების მიერ თვითშეფასების ფორმის შევსებას, რომელსაც თავის მხრივ აფასებენ მასწავლებლები. შემდეგ სკოლაში შექმნილი ჯგუფის წევრები(დირექცია, მასწავლებლები) ეცნობიან მასწავლებლების მიერ შევსებულ ანგარიშის ფორმებს და გამოკვეთენ მოსწავლეების ტიპურ პრობლემებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. მასწავლებლები შეფასებისას ეყრდნობიან, როგორც მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, ასევე მათ პიროვნულ მახასიათებლებსა და სოციალურ უნარებს. საგნის მასწავლებლები აქტიურ კომუნიკაციაში არიან მშობელთან, დამრიგებელთან და კლასში შემავალ სხვა მასწავლებელებთან. ეს პროცესი ხორციელდება ვერბალური კომუნიკაციის დონეზე. მასწავლებლებს აქვთ გააზრებული, რომ მოსწავლეზე, მის სასწავლო სიტუაციაზე, გარემოებაზე გავლენას ახდენს, არა მხოლოდ უშუალო გარემომცველი მიკროსისტემა, არამედ ფაქტორთა მთელი რიგი სხვადასხვა სისტემებიდან: ოჯახი, ჯანდაცვა, ფასეულობები, ტრადიციები და ა. შ. თვითშეფასების ანგარიშშიც აღნიშნავენ, რომ ყველა ზემოთ აღნიშნული გათვალისწინებული იქნება მომდევნო სასწავლო წელს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- თვითშეფასების კითხვარი;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან;
- შეფასების რუბრუკა (დანართი 7);

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ავტორიზაციის თვიშშეფასების ფორმაში ვკითხულობთ, რომ სკოლაში ხდება კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია, რომ მონიტორინგის აქტივობებს აკვირდება და მონიტორინგს უწევს ხარისხის გავითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, სკოლის ადმინისტრაციის წევრები. მუშავდება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო

საჭიროებათა პაკეტი სასკოლო სტრუქტურის ყველა დონისთვის. ითვალისწიბებენ მიღწევების თვითშეფასებას, SWOT-ანალიზს, წლიურ სამოქმედო გეგმას. თუმცა ამ ეტეპზე არ არის მითითებული რა სახით ხდება რეფლექსია, საჭიროებების კვლევა. კათედრა ხედავს კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შექმნის აუცილებლობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციისა და კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ, საშუალო საფეხურის კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. სასწავლო წლის ბოლოს კათედრის წევრებს შორის განიხილება საგნობრივი კურიკულუმები და მოხდება მათი გადამუშავება, შედგება მომავალი წლის სამოქმედო გეგმა სადაც გათვალისწინებული იქნება რევიზირების შედეგად მიღებული მიგნებები. აღნიშნული მოემსახურება მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმების დაგეგმვასა და განხორციელებას. ახალი სასწავლო წლიდან პედაგოგები დანერგავენ მონიტორინგისა და შეფასების შედეგების კვლევის მექანიზმს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- თვითშეფასების კითხვარი;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან;

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ტარიელ სივსივაძე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

წევრები:

1.ინა ბიწაძე-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

2.ინგა ლომაძე-საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საგნობრივი ექსპერტი

3.ხათუნა ჯიმშიაშვილი-საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნობრივი ექსპერტი



4.თერი ხობუა-უცხო ენათა საგნობრივი ექსპერტი



5.ნინო ზირაქიძე-ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი



7.ლელა კვირტია-სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი



8.ჯულიეტა ტაბეშაძე-მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი

9.ლია ნეფარიძე-სპორტის საგნობრივი ექსპერტი

10.ნათია კოხოძე-ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივიექსპერტი

30.10.2023 წ.
თარიღი